

დათო მაღრაძე ბესიკ ხარანაულის ახალი წიგნის გამო A7



ტორტი, ოშო და სუზუ A7







"მის-საქართველო 2005-ის" კონკურსანტები A8


www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 21 სექტემბერი, 2005 წელი. №210 (1070)

ფასი 50 თეთრი


## ამბები

### საქართველოს ქალაქების თვითმმართველობის კავშირი

საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ სააკაშვილს, საქართველოს პარლამენტს

A2

## ამბები

### "საქართველოს ბანკის" მორიგი ნოვაცია - პლასტიკური "არტ ბარათი"

გუშინ "საქართველოს ბანკში" ქართულ საბანკო სისტემაში ხელოვნებისა და საბანკო პროდუქტის სინთეზის პირველი მცდელობის დამასრულებელი სტადია აღინიშნა. ამიერიდან, "საქართველოს ბანკი" ოთხი ახალგაზრდა მხატვრის ნამუშევრით გაფორმებულ პლასტიკურ ბარათებს გთავაზობთ.

A2

## ამბები

### "გაზპრომი" საქართველოში გაზმომარაგების შემცირების თაობაზე იტყობინება

საქართველოს გაზმომარაგებაში შეიძლება პრობლემები შეიქმნას. როგორც ცნობილი გახდა, "გაზექსპორტიდან" საქართველოს ხელისუფლებაში შეტყობინება მოვიდა, რომლის თანახმადაც, "გაზპრომი" საქართველოში გაზმომარაგების შემცირებას გეგმავს.

A3

## ამბები

### ლაშა და პატრული

დღეს ჩვენი გადაცემა მიეძღვნება პატრულს. ჩვენი სტუმარია მაიზერ ლიპარტელიანი, და ყველასთვის ცნობილი მუსიკოსი პანჩო.

A3

## ამინდი

| | 21/09 | 22 /09 |
|---|---|---|
| თბილისი | 29 | 29 |
| ტყიბული | 28 | 29 |
| სოხუმი | 27 | 30 |
| დმანისი | 23 | 25 |
| გორი | 23 | 25 |
| ონი | 22 | 22 |
| ზუგდიდი | 31 | 34 |
| ახმეტა | 28 | 28 |
| გაგრა | 25 | 25 |
| სამტრედია | 31 | 33 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7852 |
| ევრო | 2.1651 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.2126 |
| რუბლი | 0.0627 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| ტენდერი | A 4 |
| ჩანართი | A 5 |
| ჩანართი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |


# GAME OVER

რევაზ საყევარიშვილი

*მოგეხსენებათ, სწორედ ამ ფრაზას წერს კომპიუტერი, როცა ამა თუ იმ თამაშს დაამთავრებ ან დროზე ადრე დაგამთავრებინებენ. ამის შემდეგ უკვე არჩევანი გაქვს: ან თამაშს თავი უნდა დაანებო და სხვა საქმე მოძებნო, ან თავიდან დაიწყო და სხვა სტრატეგია ეძებო, რომ ეს წარწერა ეკრანზე დროზე ადრე არ გამოჩნდეს.*

საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებაში, ერთი ცნობილი არტისა არ იყოს, ინგლისურს და კომპიუტერს კარგად იცნობენ. ყოველ შემთხვევაში, გაცილებით უკეთ, ვიდრე მათი წინამორბედები. შესაძლოა, "სტრატეგიას", "იმპერიას" და მსგავს რაციონალურ თავსატეხებსაც კარგად თამაშობენ და ამ მეთოდით ბევრი ქვეყანაც აუშენებიათ (ან დაუქცევიათ, გააჩნია, ვინ თამაშობს). ნებისმიერ შემთხვევაში, ის ნამდვილად ყველამ იცის, რომ ეკონომიკა სახელმწიფოს ხერხემალია, კეისარი კი მის განვითარებაზე უნდა ზრუნავდეს, რათა ხალხიც კმაყოფილი ჰყავდეს, ჯარიც და ქვეყანაც თავზე არ დაემხოს საკუთარი უხეირობის თუ მოთარეშე მეზობლების მავნებლობის ხელშეწყობით.

ცხადია, როცა საქმე კომპიუტერულ თამაშს ეხება, ძალიან იოლია ყველაფრის თავიდან დაწყება. რეალურ ცხოვრებაში ყველაფერი გაცილებით რთულია და მხოლოდ კლავიშების მარტივი მანიპულაციით საქმე ვერ სწორდება - ამას თვეები და წლები, ზოგჯერ კი თაობებიც სჭირდება. ამდენად, ყველა იმ შანსს, რომელიც, სამწუხაროდ, არცთუ ხშირად ჩნდება, მაქსიმალური გამოყენება სჭირდება.

გაგრძელება A3 გვერდზე

# უკანონო ზეიმი





*სამხრეთ ოსეთმა დამოუკიდებლობის დღე აღნიშნა. გაიმართა სამხედრო აღლუმი და სხვა საზეიმო ღონისძიებები. ყველაფერმა ცოტა კომუნისტურად, ძალიან ანტიქართულად და პრორუსულად ჩაიარა. სამთავრობო ტრიბუნაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი, აფხაზეთისა და ყარაჩაი-ჩერქეზეთის ლიდერები სერგეი ბაგაფში და მუსტაფა ბატდიევი. დნესტრისპირეთისა და მთიანი ყარაბაღის სამთავრობო და პარლამენტის დელეგაციები, მოსკოვის ხელისუფლების წარმომადგენლები, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები, ფრაქცია "როდინას" წევრები დეპუტატ მიხაილ მარგელოვის ხელმძღვანელობით. მოკლედ, მთელი სეპარატისტული ელიტა და მათი უკანონობის მხარდამჭერთა ჯგუფი.*

ნინო გომართელი

**"სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის ინტეგრირების გაღრმავება სტრატეგიული მიზანია, რომელიც, პოლიტიკური კონიუნქტურის მიუხედავად, უნდა შესრულდეს,"** - ამცნო შეკრებილ საზოგადოებას ტრიბუნიდან არაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითიმ. მანვე, "მშვიდობისა და მეგობრობის ხელი" გამოუწოდა საქართველოს, თუმცა იქვე მიუთითა, რომ პრობლემის ძალისმიერი მეთოდით გადაჭრის მცდელობის შემთხვევაში, პასუხი შესაბამისი იქნება.

თუმცა, მსმენელთა ყველაზე დიდი აღფრთოვანება და მქუხარე ტაში კოკოითის რუსეთის მიმართ წარმოთქმულმა მადლობებმა გამოიწვია.

გაგრძელება A2 გვერდზე

# როდესაც კეზერაშვილი არ მიდის თევდორაძესთან, მაშინ...

გიორგი ასანიშვილი

გუშინ პარლამენტში ფინანსური პოლიციის უფროსს ამაოდ ელოდნენ. დავით კეზერაშვილი არ მივიდა ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის სხდომაზე, რომელზეც რამდენიმე თვის წინათ "ნიკალაში" მისი უწყების თანამშრომლების შეჭრის ფაქტის გარშემო უნდა ემსჯელათ.

როდესაც მთავრობის წარმომადგენელი არ მიდის დეპუტატებთან, მაშინ დეპუტატები მიდიან მთავრობის წარმომადგენელთან. **"ჩვენი კომიტეტის გასვლითი სხდომა ფინანსურ პოლიციაში ხომ არ ჩაგვეტარებინა?"** - ასეთ "გამოსავალს" სთავაზობს პარლამენტარი ვან ბაიბურთი კოლეგებს. თუმცა, ვან ბაიბურთის "გზა" დეპუტატებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს ელენე თევდორაძეს გადაწყვეტილი აქვს, საქმეს ბოლომდე მიჰყვეს და იმედოვნებს,

გაგრძელება A2 გვერდზე



*ელენე თევდორაძეს გადაწყვეტილი აქვს, საქმეს ბოლომდე მიჰყვეს.*

# არასამთავრობოები მინისტრისგან ბოდიშს ითხოვენ

*"ქართული პენიტენციური სისტემა - მონანიების ადგილი, სადაც სასჯელს ორმაგად იხდიან," - ასე ახასიათებენ საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოში არსებულ საპატიმრო დაწესებულებებს.*

ინგა ალავიძე

**"ციხეში დღე და ღამე არეულია და არ არსებობს პატიმარი, რომელიც წყნარადაა. ვიღაცის რიგია და სძინავს, ვიღაც ჭამს, ვიღაც ტელევიზორს, რადიოს ან მუსიკას უსმენს, ზოგი თამაშობს, ზოგი მღერის, ჩხუბობს, ტირის, იცინის და ეს ყველაფერი ერთმანეთის პარალელურად მიმდინარეობს. რეჟიმზე საუბარიც ზედმეტია, ეს აუტანელი ხმაურია, პანიკა, რომელიც განგრევს და ეს ციხის რიტმია, რასაც არსებული უმძიმესი პირობები იწვევს. განსაკუთრებით უმძიმესია ზაფხულის პერიოდი, როცა უადგილობა და უჰაერობა, ისედაც აუტანელ ყოფას გაუსაძლისს ხდის..."**

**"ვარდების რევოლუციის" შემდეგ, იმედი გვქონდა, რომ რაღაც შეიცვლებოდა, მაგრამ სიტუაცია უცვლელია, ზოგ შემთხვევაში დამძიმდა კიდეც. აი, ახლა თქვენ წერილის მომზადებას აპირებთ, გეტყვით რაც მოხდება. იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექცია შეისწავლის წერილში მოყვანილ ფაქტებს და დაასკვნის, რომ ფაქტები სიმართლეს არ შეეფერება. აზრი არ აქვს ამ ყველაფერს, რადგან თქვენი წერილით ოდნავაც არ შემსუბუქდება სიტუაცია, მეტიც, გართულდება და ეს ყველაფერი ისევ პატიმრების ხარჯზე მოხდება. ცოტა ხნით გამკაცრდება რეჟიმი, დაიწყება სპეცჩხრეკები და ა.შ. რის გამოც გაიზრდება "სტავკები", ამიტომაც, იქნებ ჯობდეს, არაფერი დაწეროთ, რადგან მსხვერპლი ისევ პატიმრები იქნებიან,"** - ამ სიტყვების ავტორი სტაჟიანი პატიმარია, ადამიანი, რომელმაც ციხეში 11 წელი გაატარა. ქართულ საპატიმროში გატარებული ამ უმძიმესი პერიოდის მანძილზე მან და სხვა დანარჩენმა 10 ათასმა პატიმარმა გამოიცვალა იუსტიციის 8 მინისტრი, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 7 თავმჯდომარე, ორთაჭალის ციხის 33 უფროსი და სხვადასხვა საპატიმრო დაწესებულების იმდენი დირექტორი, რომ სათვალავი აგერევა. ეს სტატისტიკა არცთუ მწირია. თუმცა, სასჯელაღსრულების სისტემაში პოლიტიკური "ამინდის ცვლილების" შესაბამისად წარმოქმნილ ცვალებად სიტუაციას, რაც მხოლოდ ხელმძღვანელი პირების გადაყენება-გადმოყენებაში გამოიხატებოდა, საბჭოურ რელსებზე აწყობილი სისტემა სარეფორმო სვლისკენ ნამდვილად არ წაუყვანია. ქართულ პენიტენციურ სისტემაში ამ ხნის მანძილზე არაფერი შეცვლილა. ანუ, ქართული პენიტენციური სისტემა რეფორმისა და საერთაშორისო სტანდარტებისგან ჯერ კიდევ შორსაა. ციხეს კვლავ "კანონიერი ქურდები" მართავენ, კვლავ გროვდება "ობშიაკი" - პატიმრები კვლავ იხდიან არაოფიციალურ გადასახადებს, აქ კვლავ შიმშილი, უწამლობა, განუკითხაობაა, აქ კვლავ არსებობს პატიმართა პრივილეგირებული კასტა, რომელიც ფუფუნებაში ცხოვრობს, მეფობს ქურდული კანონები და არა სახელმწიფოს იურისდიქცია. ანუ, პატიმრები, რომელზე პასუხისმგებელიც სახელმწიფოა, კვლავ გაუსაძლის პირობებში იმყოფებიან.

გაგრძელება A2 გვერდზე

# 200 ლარიანი ბანკნოტის დიზაინის შემქმნელი გამოვლენილია

200 ლარის ნომინალის ბანკნოტის დიზაინის შესაქმნელად გამოცხადებულ საერთაშორისო კონკურსში ქართველმა დიზაინერმა ნოდარ მალაზონიამ გაიმარჯვა.

ეროვნულ ბანკში შექმნილმა კომისიამ გუშინ 12 დიზაინერის მიერ წარმოდგენილი ესკიზები განიხილა და აქედან სამი საუკეთესო დაასახელა. ნოდარ მალაზონიამ პრიზად 3000 ლარი მიიღო. მეორე ადგილზე გავიდა ევროს დიზაინის ავტორი - ავსტრიული კომპანიის წარმომადგენელი რობერტ კალინა, რომელიც 1500 ლარით დაჯილდოვდება და მესამე ადგილი დაიკავა შვეიცარულმა კომპანიამ, რომელიც 500 ლარით დაჯილდოვდება.

როგორც საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ განაცხადა, გამარჯვებული ესკიზი დაბეჭდვამდე გასაიდუმლოებული იქნება, რათა მისი ფალსიფიცირება არ მოხდეს.

**"სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ საქართველოს ეროვნული ვალუტის - ლარის ნიშნების დამზადების სურვილი უმსხვილესმა ევროპულმა კომპანიებმა პირველად გამოთქვეს, რის გამოც კონკურსი საერთაშორისო გახდა. მეორე მხრივ, 200 ლარის ნომინალის ბანკნოტზე ყველა ქართველისთვის ძვირფასი, სოხუმის ხედი უნდა იყოს გამოსახული. ეს იმას ნიშნავს, რომ ბანკნოტის სოხუმის ხედი დაამზადეს არა მარტო ქართველებმა, არამედ წამყვანმა ევროპელმა დიზაინერებმა,"** - განაცხადა რომან გოცირიძემ.

ცნობისათვის, ეროვნულ ბანკში ლარის დიზაინის შექმნის კონკურსში მონაწილეობის სურვილი 12-მა დიზაინერმა გამოთქვა. მათ შორის ხუთი უცხოური კომპანია იყო.

200 ლარის ნომინალის ბანკნოტის ავერსზე საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის პორტრეტი უნდა იყოს გამოსახული, რევერსზე კი - სოხუმის ხედი. **24 საათი**

# ტყეების დაცვას გარემოსდაცვითი ინსპექცია შეუდგება

*გარემოსდაცვით სფეროში არალეგალური და დანაშაულებრივი საქმიანობის აღკვეთის მიზნით, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში ერთიანი მაკონტროლებელი სამსახური - გარემოსდაცვითი ინსპექცია ჩამოყალიბდა. პირველ ეტაპზე ახალი უწყება 90 საშტატო ერთეულითაა დაკომპლექტებული.*

თამარ დვალი

დღეიდან, მთელი საქართველოს მასშტაბით, გარემოს დაცვის ინსპექციის 80 თანამშრომელი თავისი საქმიანობის შესრულებას შეუდგება. ინსპექციას კომპანიებზე გაცემული სალიცენზიო პირობების შემოწმება, დაბინძურების პრობლემებზე მუშაობა, ხე-ტყის უკანონო ჭრის, უკანონო ნადირობისა და თევზჭერის აღკვეთა ევალება. ახალი სამსახურის პრეზენტაციას გუშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრი და მინისტრთა კაბინეტის წარმომადგენლები დაესწრნენ.

გაგრძელება A3 გვერდზე

# საქართველოს ქალაქების თვითმმართველობის კავშირი

## საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ სააკაშვილს, საქართველოს პარლამენტს

ქართული სახელმწიფოს ნორმალური განვითარებისთვის აუცილებლად მიგვაჩნია გადაიდგას გადამწყვეტი ნაბიჯები ქვეყანაში სრულფასოვანი თვითმმართველობის ჩამოსაყალიბებლად, რომელსაც ექნება უფლებები და შესაბამისი ფინანსური შესაძლებლობები ადგილობრივი პრობლემების მოსაგვარებლად. აღნიშნულ სფეროში მოსალოდნელი რეფორმის პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ პროცესის სწორად წარმართვა. აუცილებელია, რომ შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შემუშავება და განხილვა მოხდეს საჯაროდ, საზოგადოებრიობისა და დაინტერესებულ მხარეთა აქტიური მონაწილეობით.

სწორედ ამ მიზნით, 2005 წლის 19-20 სექტემბერს გაიმართა საქართველოს ქალაქების კავშირის კონფერენცია, სადაც განიხილებოდა ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და თვითმმართველობის რეფორმის საკითხები. კონფერენციის მონაწილეები შევთანხმდით, რომ საწყის ეტაპზე, უმჯობესია, განისაზღვროს ქვეყნის ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის მოდელი, სადაც გაიმიჯნება უფლებამოსილებები, ქონება და ფინანსები ცენტრს, რეგიონსა და პირველი დონის თვითმმართველობას შორის. ერთიანი საკანონმდებლო პაკეტი კი სწორედ ამ კონცეფციის ბაზაზე უნდა შეიქმნას.

ჩვენს შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ სახელმწიფო ორგანოებმა რეფორმის მომზადების პროცესში, ფაქტობრივად, უარი განაცხადეს საქართველოს სახელმწიფო მოწყობის სხვადასხვა კონცეფციების განხილვაზე. იგნორირებულია თავად თვითმმართველობის წარმომადგენელთა მნიშვნელოვანი ნაწილის პოზიციაც. ხოლო პარლამენტართა ერთი ჯგუფის მიერ შემუშავებული დოკუმენტის, "კონცეფცია საქართველოს ადმინისტრაციულ ტერიტორიული რეფორმისთვის", პრინციპები გასატარებელი რეფორმის საფუძვლად ყოველგვარი განხილვის გარეშე იქნა მიღებული.

კონფერენციაზე ვიმსჯელეთ საქართველოში დღეს არსებულ სხვადასხვა კონცეფციაზე. სახელმწიფო კომისიის სახელით გავრცელებულ დოკუმენტში ჩვენთვის განსაკუთრებით მიუღებელია საქართველოს ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში თვითმმართველობის გაუქმების იდეა. ასეთი გადაწყვეტილება, ფაქტობრივად, დაასამარებს ერთეულების განვითარების პერსპექტივას. ჩვენი აზრით, არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის მიერ მომზადებულ "საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის და ხელისუფლების დონეებს შორის ადმინისტრაციული, ფინანსური, ქონებრივი და სამართლებრივი უფლებამოსილებების გამიჯვნის კონცეფციასა და საკანონმდებლო პაკეტში მკაფიოდაა გამიჯნული უფლებამოსილებები, ქონება და ფინანსები ცენტრს, რეგიონსა და პირველი დონის თვითმმართველობას (ქალაქი, დაბა, სოფელი, თემი) შორის. ეს დოკუმენტი უფრო მეტად პასუხობს ადგილებზე ეფექტური ხელისუფლების ჩამოყალიბების მოთხოვნებს. მაშინ, როცა პარლამენტართა ერთი ჯგუფის მიერ შემოთავაზებულ დოკუმენტში ეს საკითხები ამორფულად და დაუკონკრეტებლად არის მოცემული.

მოგმართავთ წინადადებით, რომ ქვეყნის ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და თვითმმართველობის რეფორმის მომზადებისას მოხდეს სახელმწიფო მოწყობის ალტერნატიული პროექტების განხილვა და სერიოზული გააზრება. ჩვენი მხრივ, მზად ვართ, აქტიუარდ ვითანამშრომლოთ ყველა იმ ორგანოსთან, რომელსაც დაევალება ამ ფუნქციის შესრულება.

**საქართველოს ქალაქების თვითმმართველობათა კავშირი**

1. ქალაქ გორის საკრებულოს თავმჯდომარე - ზაქარია დემეტრაშვილი
2. ქალაქ კასპის საკრებულოს თავმჯდომარე - ზურაბ თაყაიშვილი
3. ქალაქ ქარელის საკრებულოს თავმჯდომარე - ილია გოგიჩაიშვილი
4. ქალაქ ქარელის გამგებელი - აკაკი მარჯანიძე
5. ქალაქ დუშეთის საკრებულოს მდივანი - თამარ გოგინაშვილი
6. ქალაქ მცხეთის საკრებულოს თავმჯდომარე - პაატა მირზიაშვილი
7. ქალაქ ბორჯომის გამგებელი - ბესარიონ ფოფხაძე
8. ქალაქ ახალციხის საკრებულოს თავმჯდომარე - ვალიკო ბალიაშვილი
9. დაბა ასპინძის საკრებულოს თავმჯდომარე - მერაბ ველიჯანაშვილი
10. ქალაქ ახალქალაქის გამგებლის მოადგილე - არარატ ქამალიანი
11. ქალაქ საგარეჯოს საკრებულოს თავმჯდომარე - ჭაბუკა ჭანტურია
12. ქალაქ საგარეჯოს გამგებელი - გელა კევლიშვილი
13. ქალაქ წნორის გამგებელი - არჩილ მჭედლიშვილი
14. ქალაქ ლაგოდეხის საკრებულოს თავმჯდომარე - დიმიტრი ლოლაძე
15. ქალაქ დედოფლისწყაროს საკრებულოს აპარატის უფროსი - მანანა ყატაშვილი
16. ქალაქ ლანჩხუთის საკრებულოს თავმჯდომარე - დავით წულაძე
17. დაბა ჩოხატაურის საკრებულოს თავმჯდომარე - მამია ბარამიძე
18. ქალაქ ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარე - იოსებ ნაკაიძე
19. ქალაქ სამტრედიის საკრებულოს თავმჯდომარე - კახა უჯმაჯურიძე
20. ქალაქ სამტრედიის გამგებელი - სოსო ახობაძე
22. ქალაქ ზესტაფონის საკრებულოს თავმჯდომარე - გიორგი კობახიძე
23. ქალაქ ზესტაფონის საკრებულოს მდივანი - ზაზა მახათაძე
24 ქალაქ ხონის გამგებელი - რევაზ ფარცხალაძე
25. ქალაქ ბაღდათის გამგებლის მოადგილე - ვლადიმერ ფურცელაძე
26. ქალაქ ხარაგაულის საკრებულოს თავმჯდომარე - გიორგი თხელიძე
27. ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე - თეიმურაზ წურწუმია
28. ქალაქ ზუგდიდის საკრებულოს თავმჯდომარე - დავით სოსელია
29. ქალაქ ზუგდიდის საკრებულოს მდივანი - მერაბ დანელია
30. ქალაქ ხობის საკრებულოს მდივანი - მალხაზ ბუბუტეიშვილი
31. ქალაქ ხობის საკრებულოს წევრი - ვახტანგ გერგაია
32. ქალაქ წალენჯიხის გამგებელი - ნანი შამუგია
33. ქალაქ მარტვილის საკრებულოს თავმჯდომარე - ირინა გადელია
34. ქალაქ მარტვილის საკრებულოს აპარატის უფროსი - ლელა კვესელავა
35. ქალაქ წალენჯიხის საკრებულოს თავმჯდომარე - მელორ ზარქუა
36. ქალაქ გარდაბნის საკრებულოს თავმჯდომარე - ალექსანდრე კალანდაძე
38. ქალაქ თეთრიწყაროს გამგებელი - ივანე წიკლაური
39. ქალაქ მარნეულის საკრებულოს თავმჯდომარე - ისრაფილ ბაირამოვი
40. ქალაქ ტყიბულის საკრებულოს თავმდჯომარე - შოთა ჯინჯიხაძე

20.09.2005 წელი

# არასამთავრობოები მინისტრისგან ბოდიშს ითხოვენ

პირველი გვერდიდან

**"ეს არის ადგილი, სადაც მონანიებაზე საუბარიც ზედმეტია. ეს არის სამყარო, სადაც მგლური კანონებია გამეფებული. აქედან ისეთი გაცხოველებული გადიხარ, რომ გამოსწორებაზე და ნორმალური ცხოვრების რიტმისთვის ფეხის აწყობაზე საუბარიც ზედმეტია. თუმცა, ძლიერი ფსიქიკის მქონე პირები ადაპტაციას მაინც გადიან, მაგრამ ამისთვის წლებია საჭირო,"** - აცხადებენ პატიმრები, რომელთა განცხადებას, ადამიანები, რომელთაც ერთხელ მაინც შეუვლიათ საპატიმრო დაწესებულებებში, აუცილებლად დაეთანხმებიან.

მიუხედავად მოლოდინისა, პენიტენციური სისტემა ვერც იუსტიციის მეცხრე მინისტრმა კოტე კემულარიამ დაალაგა. **"პენიტენციური სისტემის სამართლიანი მართვა და ე.წ. ქურდული სამყაროს ავტორიტეტების იზოლაცია, ამ სისტემისთვის სასიკვდილო განაჩენია და აქამდე აუცილებლად მივალთ,"** - ასეთი განცხადება გააკეთა "24 საათისთვის" მიცემულ ინტერვიუში ახლად დანიშნულმა იუსტიციის მინისტრმა რვა თვის წინ. მაშინ კოტე კემულარია რევოლუციური რეფორმების ჩატარების პირობასა და ამ სისტემის კორუმპირებული და კანონიერ ქურდებთან შეკრული მაღალჩინოსნებისგან გაწმენდის პირობასაც იძლეოდა. თუმცა, სამწუხაროდ, პირობა პირობად დარჩა.

**"დღეს შოთა კოპაძე უკვე მეათეხარისხოვანი გახდა, რადგან დაპირისპირებაში იუსტიციის მინისტრი ჩაერთო და თავისი უპასუხისმგებლო განცხადებებით საკუთარი პიროვნება გამოააშკარავა. სამწუხაროდ, ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ ქვეყანაში, სადაც კემულარიასნაირი პიროვნებები ხელმძღვანელობენ ისეთ მნიშვნელოვან სისტემას, როგორიც იუსტიციის სამინისტროა. ისინი კი ზიანს აყენებენ არა მარტო საზოგადოებას, არამედ, პირველ რიგში - პრეზიდენტის ავტორიტეტს,"** - განაცხადა იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დაწესებულებების მონიტორინგის საბჭოს თავმჯდომარემ, თავისუფლების ინსტიტუტის წევრმა თეა თუთბერიძემ.

მოვლენებში, რომელსაც, პირობითად, თუთბერიძე-კოპაძის დაპირისპირება დაერქვა, იუსტიციის მინისტრი კოტე კემულარია რამდენიმე დღის წინ ჩაერთო და როგორც ჩანს, აღნიშნული ბრძოლის სიმძიმეც საკუთარ თავზე აიღო. ბოლო პერიოდში სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებულ განუკითხაობაზე მონიტორინგის საბჭოს და სახალხო დამცველის წარმომადგენლების მიერ გაკეთებულ თითქმის ყველა განცხადებას მინისტრი პირადად გამოეხმაურა. იუსტიციის მინისტრი სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული კორუფციული გარიგებებისა და სხვა უმძიმესი სიტუაციის საამკარაოზე გამომტან არასამთავრობო ორგანიზაციებს დაუპირისპირდა და იუსტიციის სამინისტროსა და თავად მინისტრის მხრიდან ბოლო დღეებში ყველაზე ხშირად მონიტორინიგის საბჭოს წევრების - თეა თუთბერიძის, მარიამ ჯიშკარიანის და ლანა გალდავას სახელები გაისმოდა, რომლებსაც, თურმე, როგორც მინისტრმა განაცხადა, პატიმრები უკანონოდ გადაჰყავდათ ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში და საერთოდ, იუსტიციის მინისტრი თვლის, რომ პრეზიდენტის ნდობით აღჭურვილი საბჭოს წევრები თავად მფარველობენ კორუფციას, ხოლო სახალხო დამცველის აპარატი უკანონოდ ერევა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ფუნქციებში.

მონიტორინგის საბჭო და სახალხო დამცველის აპარატი თუ აქამდე მხოლოდ შოთა კოპაძის დანაშაულებრივ საქმიანობაზე საუბრობდნენ და იუსტიციის მინისტრს მისი თანამდებობიდან მოხსნისა და პასუხისგებაში მიცემის რეკომენდაციით მიმართავდნენ. არასამთავრობოები ახლა უკვე კატეგორიულად ითხოვენ კოტე კემულარიას მინისტრობიდან გადაყენებას.

იუსტიციის მინისტრის მიერ ბრალდებული მონიტორინგის საბჭოს წევრი მარიამ ჯიშკარიანი კოტე კემულარიას ქონებრივი დეკლარაციის გამოქვეყნებას ითხოვს და იუსტიციის მინისტრს მის მიერ გაკეთებული განცხადებების გამო სასამართლოში უჩივის. ჯიშკარიანი აცხადებს, რომ კემულარია საქართველოს საერთაშორისო იმიჯს ლახავს და ხელისუფლებამ, რომელსაც პრეტენზია დემოკრატიულობაზე აქვს, იგი თანამდებობიდან უნდა გადააყენოს. **"დროა, ხელისუფლებამ ლუსტრაციის კანონი მიიღოს და კემულარიას ვინაობა გამოავლინოს,"** - აცხადებს ჯიშკარიანი, რომლის თქმითაც, იგი მზადაა, კემულარიას პასუხი სტრასბურგის სასამართლოში აგებინოს.

იუსტიციის მინისტრობიდან კოტე კემულარიას გადაყენებას თეა თუთბერიძეც მოითხოვს. **"კემულარია კლოუნია და მისი მინისტრობა სახელმწიფოებრივი პრობლემაა,"** - აცხადებს თუთბერიძე.

თინათინ ხიდაშელის აზრით კი, კოტე კემულარიას ადგილი ციხეშია და იგი მიესალმება, თუკი ხელისუფლება ორმაგი სტანდარტებით აღარ იმოქმედებს და გადაწყვეტილებას დროულად მიიღებს. **"კემულარიამ თავი იმით გადაირჩინა, რომ ოპოზიციის ბანაკში გადაბარგდა. ამის გამო მან თანამდებობა მიიღო. თუმცა რეფორმების გეგმა ვერ შემოგვთავაზა. კემულარიას აწყობს, რომ ციხეში ის რეალობა იყოს, რაც ამჟამად არის,"** - აცხადებს თინათინ ხიდაშელი.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ხელმძღვანელის ანა დოლიძის განცხადებით, რომელიც მარიამ ჯიშკარიანის წარმომადგენელია, ჯიშკარიანი მინისტრისაგან ან ბოდიშის მოხდას, ან ზიანის ანაზღაურებას მოითხოვს. **"ჯიშკარიანის პროფესიონალიზმსა და მის პატიოსნებაში ეჭვის შეტანა არ შეიძლება,"** - განაცხადა ანა დოლიძემ. **"სამწუხაროდ, როგორც ვხედავთ, შოთა კოპაძე, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის სისტემაში ასეთი საშინელი მდგომარეობის შექმნაში, არის და რჩება ხელშეუხებელ სუბიექტად. აქ უკვე გადაწყვეტილება უმაღლეს დონეზე არის მისაღები და აღნიშნულ კითხვაზე პასუხი საქართველოს პრეზიდენტმა უნდა გასცეს. რომ არა სერიოზული მფარველები, შოთა კოპაძე ამ თანამდებობაზე არ იქნებოდა. კემულარია თავად გახდა განუყოფელი ნაწილი იმ სისტემის, რომელიც ციხეებში შექმნილი სავალალო მდგომარეობით კარგად სარგებლობს,"** - აცხადებს ანა დოლიძე.

არასამთავრობო ორგანიზაციებსა და იუსტიციის მინისტრს შორის დაწყებულმა დაპირისპირებამ პიკს მიაღწია. მონიტორინგის საბჭოს წევრები აპირებენ, საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც იუსტიციის სამინისტროსთან თანამშრომლობენ, კონტაქტების შეწყვეტისკენ მოუწოდონ, მანამდე, სანამ იუსტიციის მინისტრი კოტე კემულარია იქნება.

იუსტიციის სამინისტრო კომენტარის გაკეთებისგან თავს იკავებს, არასამთავრობო ორგანიზაციათა ზოგიერთ წარმომადგენელს კვლავ მექრთამეობაში ადანაშაულებს და როგორც იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური აცხადებს, "იუსტიციის მინისტრი სამინისტროში იმყოფება და მუშაობას ჩვეულ რეჟიმში განაგრძობს".

# რადამ ეხანუროვის კანდიდატურას მხარი არ დაუჭირა

იური ეხანუროვის კანდიდატურა, რომელიც უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშენკომ წარადგინა პრემიერ-მინისტრის პოსტზე, პარლამენტმა არ დაამტკიცა. უმაღლეს რადაში ეხანუროვის კანდიდატურას მხოლოდ 223 დეპუტატმა დაუჭირა მხარი, პრემიერის პოსტის დასაკავებლად მას 3 ხმა დააკლდა.

უმაღლეს რადაში სიტყვით გამოსვლისას ეხანუროვმა სამთავრობო შემადგენლობის გადახალისების აუცილებლობაზე ისაუბრა. გარდა ამისა, შეეხო საკუთრების უფლებასა და მის დაცვასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას კანონზე დაყრდნობით.

პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნამდე იური ეხანუროვს დნეპროპეტროვსკის ოლქის გუბერნატორის პოსტი ეკავა.

საკანონმდებლო ორგანოში გამართულ კენჭისყრამდე კი სიტყვით ქვეყნის პრეზიდენტი ვიქტორ იუშენკო გამოვიდა, რომელმაც ოპონენტების "ცინიკურ გეგმაზე" ისაუბრა. როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, მათ შორის, ვინც "ნარინჯისფერი რევოლუციის" დროს ედგა მას მხარში, ისეთებიც აღმოჩნდნენ, რომლებიც ახლა ყოფილ ოპონენტებთან ამჯობინებენ გაერთიანებას. ეს კი პრეზიდენტის ადმინისტრაციის დანაწევრების მიზანმიმართული გეგმის ნაწილია.

სახელმწიფოს მეთაურმა წინა მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკაც გააკრიტიკა. მისი თქმით, იულია ტიმოშენკოს მინისტრთა კაბინეტი პროფესიონალიზმით არ გამოირჩეოდა, რამაც ქვეყნის მაკროეკონომიკური მაჩვენებლების შემცირება გამოიწვია.

**"2005 წლის რვა თვის განმავლობაში მთლიანი ეროვნული პროდუქტის ზრდის ტემპი თითქმის ორჯერ შემცირდა, ჩვენ გასულ წელზე ნაკლები დინამიკა გვაქვს,"** - აღნიშნა პრეზიდენტმა.

ვიქტორ იუშენკოს თქმით, ეკონომიკური მაჩვენებლების შემცირებას ხელი სახელმწიფო საბაჟოს რეფორმირების "უნიჭო პოლიტიკამ" შეუწყო, რაც მთავრობამ რამდენიმე თვის წინ განახორციელა.

# "უკანონო ზეიმი"

პირველი გვერდიდან

**"სწორედ რუსეთი არის მთელს კავკასიაში მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტი, კავკასიის ხალხთა მთავარი გამაერთიანებელი,"** - აღნიშნა დე ფაქტო პრეზიდენტმა და "დახმარებისა თუ მუდმივი ყურადღებისთვის" მოსკოვის ხელისუფლებას, კერძოდ კი, მერს, იური ლუჟკოვს დიდი მადლობა გადაუხადა.

**"ჩვენი რესპუბლიკა რუსეთის ფედერაციასთან და მის სუბიექტებთან, განსაკუთრებით კი - ჩრდილოეთ ოსეთთან, ურთიერთობების განვითარების ახალ ეტაპზე დგას. ამის საბოლოო წერტილი კი ოსი ერის გაერთიანება იქნება,"** - ხაზი გაუსვა ედუარდ კოკოითიმ. ამასთან, იმედი გამოთქვა, რომ შემდგომ იუბილეს სამხრეთ ოსეთი მსოფლიო საზოგადოების მიერ აღიარებული და აყვავების გზაზე მყოფი შეხვდება.

აფხაზეთის არაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა კი "იუბილარებს" დღესასწაული თბილად და მთელი გულით მიულოცა. **"მოვიდა დრო, როდესაც ჩვენ არა ჩრდილოეთი ან სამხრეთი, არამედ, უბრალოდ, ოსეთი გვერქვას,"** - სიტყვა ჩააგდო რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს წევრმა არსენ ფადზაევმა. დსთ-ს სახელმწიფოთა ინსტიტუტის დირექტორმა კონსტანტინ ზატულინმა კი მეტი ემოციებით აღნიშნა, რომ **"სხვა გზა არ არსებობს, ოს ხალხს უფლება უნდა მიეცეს იცხოვროს ისე, როგორც უნდა, და ამასთანავე, ვისთანაც საჭიროდ ჩათვლის."**

გამოსვლების შემდეგ, "დამოუკიდებლობის დღის" აღსანიშნავად, ცხინვალის თეატრალურ მოედანზე სამხედრო აღლუმი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის თავდაცვის, შინაგან საქმეთა, უშიშროების სამსახურის სპეცდანიშნულების ქვედანაყოფებმა მიიღეს.



მისი დასრულების შემდეგ, თეატრალურ მოედანზე მშრომელთა დემონსტრაცია გაიმართა. მასში მონაწილეობა სკოლებისა და კოლეჯების მოსწავლეებმა, სტუდენტებმა, ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეებმა, შრომისა და ომის ვეტერანებმა მიიღეს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე კი სადღესასწაულო ღონისძიებებს თბილისში გამოეხმაურა და სამხედრო აღლუმს "უკანონო ზეიმი" უწოდა.

**"ცხინვალში გამართული სამხედრო აღლუმი 1992 წლიდან ხელმოწერილი ყველა შეთანხმების დარღვევას ნიშნავს. ეს იყო უკანონობის, მსოფლიო საზოგადოების დამცირების ზეიმი და სამშვიდობო ძალების იგნორირება,"** - აღნიშნა მან გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

ამასობაში, კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გოგა ხაინდრავა საქართველოში აშშ-ს ელჩს ჯონ ტეფტს შეხვდა და სწორედ კონფლიქტურ ვითარებებზე და მათი მშვიდობიანი გადაწყვეტის აუცილებლობაზე ესაუბრა.

**"აშშ მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მზად არის, საქართველოს მთავრობას აღმოუჩინოს დახმარება კონფლიქტების მშვიდობიანად დარეგულირების საქმეში,"** - განუცხადა შეხვედრის დასრულების შემდეგ ჯონ ტეფტმა ჟურნალისტებს.

ხაინდრავას თქმით, მან დეტალურად გააცნო დიპლომატს საქართველოს მთავრობის ის სამოქმედო გეგმა, რომელიც სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას ისახავს მიზნად.

მიუხედავად ამისა, "დამოუკიდებლობის" დღესასწაული ცხინვალში მაინც ჩატარდა და თეატრალურ მოედანზე კონცერტით და ცხინვალის დრამატული თეატრის წარმოდგენით "ფაშიზმის გასამართლება" დასრულდა.

თუმცა, პატარა ხმაური კონფლიქტის ზონაში მაინც დაფიქსირდა. მაშინ, როცა ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლება ე.წ. დამოუკიდებლობის 15 წლის იუბილეს აღნიშნავდა, საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში იმყოფებოდა და არსებულ ვითარებას ადგილზე ეცნობოდა.

მინისტრის ვიზიტის დროს თამარაშენი-კეხვის გზაზე კონტროლი გამკაცრდა. ირაკლი ოქრუაშვილი აცხადებდა, რომ ქართული მხარე აღკვეთს უკანონო გადაადგილებებს კონფლიქტის ზონაში. მოგვიანებით, საქართველოს ტერიტორიაზე უკანონო ყოფნის გამო დაკავებული იქნენ რუსი დეპუტატების თანაშემწეები, რომლებიც მალევე გაუშვეს.

**"ვეცდებით, უფრო საინტერესო ადამიანები ვიპოვოთ - ალექსეი მიტროფანოვი, ბაგაფში და ასე შემდეგ,"** - განუცხადა ჟურნალისტებს ირაკლი ოქრუაშვილმა.

მას კონფლიქტის ზონაში თან ახლდა შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი ლევან ნიკოლეიშვილი და პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, დეპუტატი გიორგი არველაძე, რომლის თქმითაც, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს უფლება აქვთ, არსებული ვითარების გასაცნობად ნებისმიერ ადგილზე ჩავიდნენ.

# ბრიტანელი ჯარისკაცების გათავისუფლების სისხლიანი ოპერაცია

ორი ბრიტანელი ჯარისკაცის გასათავისუფლებლად სამხედრო პირებს ბასრის საპყრობილის აღება შტურმით მოუწიათ, - იუწყება ერაყის ხელისუფლება. დიდი ბრიტანეთის ინფორმაციის სამინისტროს თანახმად კი, დაკავებულთა გათავისუფლებას წინ აქტიური მოლაპარაკებები უსწრებდა.

ერაყის პოლიციის წარმომადგენელთა განცხადებით, ორი ბრიტანელის დაკავება მხოლოდ მას შემდეგ მოხდა, როდესაც ისინი გამშვებ პუნქტზე შეჩერების ბრძანებას არ დაემორჩილნენ. ერაყელთა თქმით, დამორჩილების ნაცვლად, ბრიტანელებმა ცეცხლი გახსნეს, რასაც ერაყელთა მხრიდან ანალოგიური რეაქცია მოჰყვა. ბრიტანელები ტრადიციულ არაბულ სამოსში იყვნენ გადაცმულნი. მათ თან ჰქონდათ პირადობის დამადასტურებელი უცხოური დოკუმენტები. გარდა ამისა, დაკავების შემდეგ მათ ავტომობილში იარაღი და ასაფეთქებელი მოწყობილობები იქნა აღმოჩენილი.

როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი და რასაც არც ბრიტანეთის თავდაცვის უწყება უარყოფს, დაკავებული ბრიტანელები სპეცსამსახურების წარმომადგენლები იყვნენ.

დაკავებული ბრიტანელების გასათავისუფლებლად ბასრის ციხეში ბრიტანულმა მხარემ ორი ტანკი გაგზავნა, მაგრამ დანიშნულების ადგილზე მისვლამდე მძიმე ტექნიკას გზა ათობით ადგილობრივმა მცხოვრებმა გადაუკეტა და ხელნაკეთი ხელყუმბარებით იერიში მიიტანეს. დიდი ბრიტანეთის თავდაცვის უწყების ინფორმაციით, ტანკში მყოფმა სამმა ჯარისკაცმა სხეულის მსუბუქი დაზიანება მიიღო.

ორ საათში შემთხვევის ადგილისაკენ უკვე 6 ტანკი გაემართა, რომლებმაც ზონის გარღვევა მოახერხეს. სააგენტო "ესოშიეითიდ პრესმა" თვითმხილველთა მონათხრობზე დაყრდნობით საპყრობილიდან გაქცეული 150 პატიმრის შესახებ გაავრცელა ინფორმაცია, რასაც არ ადასტურებს ერაყული მხარე.

ადგილობრივ შიიტ ამბოხებულებსა და ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებს შორის შეიარაღებული დაპირისპირება ბასრაში კვირას დაიწყო და ჯერ კიდევ გრძელდება. კვირას ბრიტანელმა სამხედროებმა შიიტური ორგანიზაციის "არმია მაჰდის" ერთ-ერთი ხელმძღვანელი დააკავეს. ამ შემთხვევას ორი მშვიდობიანი ადგილობრივი მცხოვრები ემსხვერპლა.

აქამდე ბასრაში შედარებით მშვიდი ვითარება იყო. ერაყის ომის დასრულების შემდეგ ამ ქალაქში მდგომარეობას კოალიციური ძალების ბრიტანული ნაწილი აკონტროლებდა.

უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში განვითარებული მოვლენების ფონზე, გაერთიანებულ სამეფოში კვლავ აქტუალური გახდა ერაყის ომთან დაკავშირებული საკითხების განხილვა. **24 საათი**

## მოკლედ

### იყიდება რუსთავის "მეტალურგიული კომბინატი"

12 ოქტომბერს, რუსთავის მეტალურგიული კომბინატი აუქციონზე უპირობოდ გაიყიდება. დაინტერესებულ კომპანიებს განაცხადის გაკეთება ეკონომიკის სამინისტროში 7 ოქტომბრამდე შეუძლიათ. ოფიციალური ინფორმაციით, ჯერ დაინტერესება არავის დაუფიქსირებია. საწარმოს საწყისი ღირებულება 20,5 მილიონი დოლარია.

აუქციონზე ცალკე გაიყიდება კირისა და დოლონიტის საამქრო. იგი ერთ მილიონ დოლარადაა შეფასებული. ასევე, დედოფლისწყაროში მდებარე კირის საბადო, რომლის საწყისი ღირებულება ნახევარი მილიონი დოლარია.

მეტალურგიულ კომბინატს კრედიტორები 339 მილიონ ლარს ედავებიან. ოფიციალური ინფორმაციით, გაკოტრების მმართველი მალხაზ ალბორიშვილი აქედან მხოლოდ 160 მილიონ დოლარს აღიარებს, რომლის დიდი ნაწილი 98 მილიონი ლარი საბიუჯეტო დავალიანებაა. გაკოტრების მმართველის მალხაზ ალბორიშვილის განცხადებით, საწარმოს გაყიდვისთანავე, თავდაპირველად მთლიანად დაიფარება საპენსიო დავალიანება, რომელიც 900 ათას ლარს შეადგენს. შემდეგ გაიცემა სამი თვის სახელფასო დავალიანება.

საწარმოს ყოფილი ინვესტორის "არუშ ინტერნეიშენელის" ერთ-ერთი წარმომადგენლის გოჩა ცეკვაშვილის განცხადებით, მათი კომპანია აუქციონში აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას და შეეცდება, საწარმოს პროფილი შეუნარჩუნოს. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ბენდუქიძე: მაღალი დონის თანამდებობის პირების კორუფციის დონე გაცილებით საშიშია

გუშინ სახელმწიფო მინისტრმა კახა ბენდუქიძემ საერთაშორისო ორგანიზაციებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს ანტიკორუფციული სტრატეგიის სამოქმედო გეგმა გააცნო. სტრატეგია, რომლის ავტორიც სახელმწიფო მინისტრი თავად არის, მაღალი თანამდებობის პირების მიმართ სპეციალური ანტიკორუფციული სისტემის შექმნას ითვალისწინებს.

ბენდუქიძის აზრით, საჭიროა პროკურატურასა და შსს-ში სპეციალური დანაყოფის შექმნა, რომელიც მაღალი რანგის საჯარო მოხელეების მონიტორინგს განახორციელებს.

**"საჯარო მოხელეთა სამი დონე უნდა გამოიყოს. მათ შორის, ყველაზე მაღალი რანგის პირებს ყველაზე მეტი ყურადღება უნდა მიექცეს,"** - განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა.

მისი აზრით, მაღალი დონის თანამდებობის პირების კორუფციის დონე ბევრად უფრო საშიშია.

მინისტრის განცხადებით, უნდა შეიცვალოს დეკლარაციის შევსების ფორმა და მისი შევსება სავალდებულო უნდა გახდეს მსხვილი სახელმწიფო საწარმოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელებისთვისაც. ბენდუქიძის აზრით, სხვადასხვა რანგის მოხელე დეკლარაციას არამარტო თანამდებობაზე ყოფნის დროს, არამედ მისი დატოვების შემდეგაც უნდა ავსებდეს. **"ეს, ცხადია, თავისუფლების შეზღუდვაა, მაგრამ არავინ აიძულებს მოხელეს, იყოს მაღალი რანგის თანამდებობის პირი,"** - აღნიშნა სახელმწიფო მინისტრმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

# როდესაც კეზერაშვილი არ მიდის თევდორაძესთან, მაშინ...

პირველი გვერდიდან

რომ კეზერაშვილი მომავალი სამშაბათისთვის დანიშნულ კომიტეტის მორიგ სხდომაზე მაინც გამოცხადდება.

კეზერაშვილის გამოუცხადებლობაზე მეტად, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წევრები გუშინ იმ ფაქტმა აღაშფოთა, რომ ფინანსური პოლიციის უფროსმა წერილობითი ინფორმაცია იურიდიულ საკითხთა კომიტეტს მიაწოდა, ელენე თევდორაძის კომიტეტი კი ამის ღირსად არ ჩათვალა.

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წევრები იურიდიულ საკითხთა კომიტეტისთვის გაგზავნილი წერილის შინაარსმაც გააღიზიანა. **"აღნიშნული საკითხი** ("ნიკალაში" შეჭრა, - ავტ.) **განხილულ იქნა ფინანსური პოლიციის უფროსთან გამართულ თათბირზე, სადაც მკაცრი შეფასება მიეცათ ღონისძიების ხელმძღვანელებს, გამოეცხადათ მათ საყვედურები, ასევე მიეცათ მითითება, რომ აღნიშნული სახით ღონისძიების განმეორების შემთხვევაში, ისინი დატოვებენ თანამდებობას. ზემოქმედების ასეთი მცირე ზომის გამოყენება გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ ღონისძიების შედეგად გამოვლენილი იქნა დაახლოებით ნახევარ მილიონ ლარზე მეტი გადასახადებისგან თავის არიდების ფაქტი,"** - ნათქვამია წერილში.

**"ეს არის თავხედური განცხადება. მასში, ფაქტობრივად, გამართლებულია "ნიკალაში" შეჭრა. დავით კეზერაშვილი ქართული ბიზნესისთვის პრობლემად იქცა,"** - მიიჩნევს ადამიანთა უფლებების დაცვის კომიტეტის წევრი, ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენელი კოკა გუნცაძე.

# "საქართველოს ბანკის" მორიგი ნოვაცია - პლასტიკური "არტ ბარათი"

*გუშინ "საქართველოს ბანკში" ქართულ საბანკო სისტემაში ხელოვნებისა და საბანკო პროდუქტის სინთეზის პირველი მცდელობის დამასრულებელი სტადია აღინიშნა. ამიერიდან, "საქართველოს ბანკი" ოთხი ახალგაზრდა მხატვრის ნამუშევრით გაფორმებულ პლასტიკურ ბარათებს გთავაზობთ.*

გიორგი გაგოშიძე, ნიკა სახანბერიძე, თეა ბოტკოველი და გიორგი აბუაშვილი ის ბედნიერი, თანამედროვე მიმდინარეობის ქართველი მხატვრები არიან, რომელთა ნამუშევრებიც საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი "საქართველოს ბანკის" პლასტიკურ ბარათებს დაამშვენებს. **"ადრე საფრანგეთში და სხვა განვითარებულ ქვეყნებში მომსახურების სხვადასხვა ბარათებზე ხშირად შევხვედრივარ ხელოვნების ნიმუშებს, რაც ჩემში დიდ მოწონებას იწვევდა. მიხარია, რომ მსგავსი სიახლე საქართველოშიც გაჩნდა. ამისთვის დიდ მადლობას ვუხდით "საქართველოს ბანკს,"** - აცხადებდა გუშინ "საქართველოს ბანკის" არტ-აქციის ერთ-ერთი გამარჯვებული თეა ბოტკოველი. ეს უკანასკნელი და დანარჩენი სამი გამარჯვებული "საქართველოს ბანკის" პრეზიდენტმა ლადო გურგენიძემ მათივე ნამუშევრებით გაფორმებული პლასტიკური ბარათებით დაასაჩუქრა.

**"ბანკი ამ გადაწყვეტილებით კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ საბარათე ბიზნესის განვითარება საქართველოში აუცილებელია. მომსახურების სტანდარტიზაციის მიზნით, ბანკმა უკვე შეიძინა უახლესი მოდელის ბანკომატები და პოსტ-ტერმინალები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე ასეულობით სავაჭრო, თუ მომსახურების წერტილში განთავსდა,"** - აცხადებდა გუშინ გურგენიძე.

"საქართველოს ბანკის" მიერ გამოშვებული, პირველი 40 ათასი პლასტიკური ბარათი (VISA Electron და Maestro) სწორედ ამ ახალგაზრდა მხატვრების ნამუშევრებით არის გაფორმებული. როგორც გუშინ გამართულ პრეზენტაციაზე "საქართველოს ბანკის" პრეზიდენტმა განაცხადა, "საქართველოს ბანკი" ნებისმიერ კლიენტს, ბანკში ანგარიშის გახსნის შემთხვევაში, საბანკო ბარათს უფასოდ შესთავაზებს. ბარათები გადაეცემათ როგორც ახალ, ისე ბანკის მომსახურებაში მყოფ 40 ათასზე მეტ კლიენტს, ვისაც გახსნილი აქვს ანგარიში, მაგრამ არა აქვს სადებეტო ბარათი.

როგორც გურგენიძემ განაცხადა, აღნიშნული აქცია არ იქნება ერთჯერადი და, ახალგაზრდა მხატვრების სტიმულირების მიზნით, იგი მომავალშიც გაგრძელდება.

გუშინ, საქართველოს ბანკში კიდევ ერთი სიახლის შესახებ გახდა ცნობილი. Bank Austria Creditanstalt-მა "საქართველოს ბანკის" 1,212,000 ჩვეულებრივი აქცია შეისყიდა. **"ეს მოვლენა "საქართველოს ბანკის" აქციებს კიდევ უფრო ხელმისაწვდომს გახდის ინსტიტუციონალური ინვესტორებისთვის,"** - განაცხადა "საქართველოს ბანკის" პრეზიდენტმა ლადო გურგენიძემ. გუშინვე, ბანკის პრეზიდენტმა ისიც განაცხადა, რომ ბანკმა East Capital Holding AB-ს ახლად ემიტირებული 500 ათასი აქცია მიჰყიდა.

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# GAME OVER

პირველი გვერდიდან

დღეს, სამწუხაროდ, უნდა დავასკვნათ, რომ ყველაზე ხელსაყრელი დრო რეფორმებისთვის - პირველი ორი რევოლუციისშემდგომი წელი, როდესაც პრეზიდენტ სააკაშვილის რეიტინგი პიკური იყო, პრაქტიკულად, დაკარგულია. პრეზიდენტი და მისი გარემოცვა ამ პერიოდში დაკავებული იყო ყველაფრით - ქონების გადანაწილებით, ხელისუფლების მოწყობით, სიმბოლიკის ცვლილებით, კადრების გადაჯგუფებით, სპორტული მოედნებით, პატრიოტული ბანაკებით... ერთი სიტყვით, ყველაფრით - ძირეული ეკონომიკური რეფორმების გარდა. ყველა ის რესურსი, რაც 2003 წლის ნოემბრიდან იყო მობილიზებული, დღეს უკვე შარშანდელი თოვლივით დნება, ქვეყანა კი ძალიან აქტიურად ებმება უწყვეტი საარჩევნო მარათონების ციკლში, როდესაც რეფორმების აუცილებლობას ხშირად პოლიტიკური მოზანშეწონილების, სხვა სიტყვებით, დემაგოგიისა და პოპულიზმის სიმრავლე სწონის. შესაბამისად, ეკონომიკა მეორე ან კიდევ უფრო უკანა ეშელონის პრობლემა ხდება.

ამ მხრივ ჩვენი ქვეყანა ნამდვილად არ არის ორიგინალური. ისევე, როგორც ვერ იქნება ორიგინალური ბევრ სხვა საკითხში და ორგანულად ჩაჯდება ყველა იმ ფორმულაში, რომელიც ეკონომიკური მეცნიერების ანალიზმა ათწლეულების განმავლობაში გამოიყვანა და არაერთ მაგალითზე ამ ფორმულის სისწორე დაამტკიცა.

ამერიკელი სოციოლოგი რენდალ კოლინზი, რომელმაც 1980 წელს საბჭოეთის სწრაფი კრიზისი სწორედ ეკონომიკურ ფაქტორთა ანალიზის მეშვეობით იწინასწარმეტყველა, მკაცრ სამეცნიერო გათვლებს ეყრდნობოდა. საქმე, უპირველესად, სახელმწიფო ეკონომიკას ეხება. პირველ რიგში კი სახელმწიფო ფინანსებს - ეს უმთავრესი მომენტია. საქართველოში, სადაც სახელმწიფო ფინანსების კრიზისი წლების განმავლობაში პერმანენტული იყო, შემდეგ ვითარება გამოსწორდა, მაგრამ ამჟამად დესტაბილიზაციის ნიშნები კვლავაც გაჩნდა, ეს მით უფრო მნიშვნელოვანია.

სახელმწიფო გადატრიალებების და რევოლუციების გამოკვლევები ცხადყოფს, რომ მსგავსი დრამატული მოვლენები ხდება არა მხოლოდ იმიტომ, რომ ქვედა ფენები უკმაყოფილონი არიან ცხოვრებით, არამედ სახელმწიფო მართვის, უპირველესად სახელმწიფო ფინანსების კრიზისის გამო. ფინანსები ხომ სახელმწიფოს უმთავრესი სუსტი წერტილია. როცა დგება ფინანსური კრიზისი, ტრადიციულად, ელიტები იხლიჩება: ვერ თანხმდებიან, ასეთ სიტუაციაში რა გადაწყვეტილება მიიღონ და საით მიმართონ ფული. როგორც წესი, ელიტის ერთი ჯგუფი ეკონომიკურ რესურსებს აკონტროლებს, მეორე - სახელმწიფო ადმინისტრაციას. მათი ინტერესები საწინააღმდეგოა და გახლეჩაც გარდაუვალი ხდება.

სახელმწიფოს ჩამოყალიბებიდან მისი ყველაზე ხარჯტევადი ინსტიტუტი სამხედრო ძალებია. ისიც ფაქტია, რომ არაფერი ამყარებს ნაციონალურ იდენტურობას ისე, როგორც ომი ან თუნდაც მისთვის მზადება (ამას თვით ყველაზე აქტიური პაციფისტებიც აღიარებენ). ასე რომ, ეს წმინდა არჩევანის საკითხია - როგორ უნდა მოიქცეს ქვეყანა?

რომელი ქვეყნის ზრდა არის დღეს ყველაზე თვალში საცემი მსოფლიოში? ბუნებრივია, ჩინეთის. ცხადია, აქ ბევრი ფაქტორია: მოსახლეობის ოდენობა, იაფი მუშახელი, შეკვეთების სიდიდე, ინვესტიციების შედინება და ა.შ. მაგრამ, არის კიდევ ერთი უპირატესობა, რაც აქვს ჩინეთს ისევე, როგორც ჰქონდა თუნდაც ომის შემდგომ გერმანიას და იაპონიას - ქვეყანა ბევრს არ ხარჯავს სამხედრო საჭიროებებზე.

რაზე ხარჯავს ბიუჯეტის საკმაოდ დიდ წილს ომისშემდგომი საქართველო? სამარჩიელო არაფერია: უკვე დოკუმენტურად დადასტურებულია, რომ 2006 წლის 3-მილიარდიანი ბიუჯეტიდან 300 მილიონზე (ანუ 10 პროცენტზე) მეტი სამხედრო საჭიროებებზე წავა. მაგრამ რას ნიშნავს ეს ჩვენს პირობებში? ჩვენს პირობებში სამხედრო ხარჯების ზრდა (ანუ ომისთვის თუნდაც პასიურად მზადება) ეკონომიკის ტოტალურ რეორგანიზაციას გულისხმობს. ეს კი თავისუფალი ბაზრისკენ სვლის და პრივატიზების აშკარა შენელებასა და ეკონომიკის მაქსიმალურ ცენტრალიზებაზე მიუთითებს. ასეთ ვითარებაში სახელმწიფოს გაცილებით მეტი ბერკეტი სჭირდება თავისუფალ ეკონომიკაზე, კერძო ბიზნესზე გავლენის განსამტკიცებლად, რათა სამხედრო ფრთა შეუფერხებელი ფულით უზრუნველყოს.

სიმპტომები უკვე აშკარაა: სახელმწიფო მკვეთრად ამბობს უარს მისსავე შემოტანილ კერძო არბიტრირების იდეაზე. ახსნა მარტივია: როცა მას გარანტირებულად სჭირდება ფული, გადამხდელისთვის დარიცხული თანხის სამართლიანობის დადგენას სხვას არ ანდობს (მით უფრო, რომ გამოცდილება ნეგატიურია: რამდენჯერაც ანდო, იმდენჯერ გამტყუნდა). ფული საჭიროა და ეს ნაკადი სისტემის შემადგენელმა საფინანსო უწყებამ ან, უკიდურეს შემთხვევაში, მაღალი ხარისხით კონტროლირებადმა სასამართლომ უნდა უზრუნველყოს. ხოლო იმისთვის, რომ გადამხდელის მორჩილება უფრო მეტად იყოს გარანტირებული და საპროტესტო განწყობა მაქსიმალურად ჩაიხშოს, მას გისოსების შიშიც უნდა გაუმძაფრდეს: თუ აქამდე 100 ათას ლარს ზემოთ გადასახადის გადაუხდელობისთვის ემუქრებოდა ნარის ხეხვა, ახლა ამისთვის 25 ათასიანი შეცოდებაც საკმარისი უნდა იყოს.

და სამწუხაროდ, ეს არ არის მხოლოდ ერთეული შემთხვევა, რომელიც ეკონომიკური კლიმატის გამკაცრებაზე და მის მომეტებულ ცეტრალიზებაზე მიუთითებს. ამის დასტური ყოველ ნაბიჯზეა თუნდაც იმავე ლიბერალურად წოდებულ ახალ საგადასახადო კოდექსში. აღარაფერს ვამბობ საფინანსო წესრიგზე პასუხისმგებელი უწყებების საქმიანობაზე, რომელთა ქმედებები თავისუფალი ეკონომიკის პრინციპების დაცვისგან იმდენად შორია, რომ მათი მოახლოების, პრაქტიკულად, არანაირი იმედი არ არსებობს. ისევე, როგორც უკვე ნაკლებად არსებობს თვითმმართველობების დამოუკიდებელი აქტივობის იმედი, რასაც მოგების გადასახადის ცენტრალურ ბიუჯეტში წამოღებით ეკონომიკური საფუძველი მოესპო.

ასეთ ვითარებაში ძალიან რთულია ეკონომიკის გაჯანსაღებაზე ლაპარაკი. ძნელია, გქონდეს იმედი, რომ ასეთ დაშინება-დასჯის ეფექტზე აგებული ეკონომიკა დიდხანს შეინახავს თუნდაც იმავე ჯარს მშვიდობიან დროს და მით უფრო (ღმერთმა არ ქნას) საომარ ვითარებაში. ომს ხომ ყოველთვის ზურგი იგებს. ისეთი ზურგი კი, როგორიც დღეს ქართულ არმიას ჰყავს, ძალიან მალე შიშვლდება და წარმატების მიღწევას შეუძლებელს ხდის.

**სააკაშვილსაც სწორედ ახლა ელის "გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოსთვის". თემა, რომელიც პრეზიდენტმა თეორიულად საკმაოდ შთამბეჭდავად გაშალა თავის წიგნში, ახლა პრაქტიკულ განხორციელებას მოითხოვს - ახალი სტრატეგიით, ახალი სახეებით და ახალი თამაშის წესებით.**

და ეს, ცხადია, არ ეხება მხოლოდ ჯარს. ეკონომიკის ასეთ მარწუხებში მოქცევა ნიშნავს, რომ არა მხოლოდ მისი ცალკეული სეგმენტების, არამედ კონკრეტული მოქალაქეების მდგომარეობაც არ უმჯობესდება. ეს კი კიდევ უფრო მძიმე საფრთხის შემცველია.

ნიუ იორკის უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ურთიერთკავშირების ერთ-ერთი აღიარებული მკვლევარი ადამ პშევორსკი მიიჩნევს, რომ დემოკრატია მდგრადი მხოლოდ ეკონომიკური განვითარების გარკვეულ დონეზე შეიძლება იყოს. ქვეყნები შემოსავლების უფრო მაღალი დონით მხარს დემოკრატიის არსებობას უჭერენ, დაბალშემოსავლიან ქვეყნებში კი მმართველობის უფრო მეტად ავტოკრატიული ფორმებია დამკვიდრებული.

ეს თეზაც სამეცნიერო გათვლებს ემყარება: ალბათობა იმისა, რომ ქვეყანა, სადაც ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი მსყიდველუნარიანობის პარიტეტის მიხედვით 4,9 ათასი დოლარია, უარს იტყვის დემოკრატიაზე ავტორიტარიზმის სასარგებლოდ, ნულს უახლოვდება. თუ ეს შემოსავალი 6 ათასი დოლარი და მეტია, მაშინ ეს ალბათობა სულაც ნულის ტოლია, რასაც ვერ ვიტყვით გაჭირვებულ სახელმწიფოებზე - იქ დემოკრატია რაღაც ეტაპზე უიმედოდ განწირულია.

მართალია, დიქტატურებს, რომელთაც გაცილებით მეტი განვითარების შანსი აქვთ გაჭირვებულ სახელმწიფოში, ხშირად მოუხდენიათ ეკონომიკური სასწაულები, მაგრამ ამას ხშირადვე მოჰყოლია უმძიმესი კატასტროფები. დემოკრატია კი სტაბილურად საშუალო ზრდის ტემპების მიღწევის საშუალებას იძლევა.

დემოკრატია ხომ ამომრჩეველთან ურთიერთობას, ჭკუის დაკითხვას და, შესაბამისად, ფინანსური რესურსების უფრო რაციონალურად ხარჯვას ითხოვს. და რაც მთავარია, ის უზრუნველყოფს, რომ სახელმწიფოს გააჩნდეს აუცილებელი დღის წესრიგი განვითარების ამა თუ იმ მიმართულებასთან დაკავშირებით.

მაგალითები აქაც უამრავია. ორიოდე ათწლეულში თავბრუდამხვევი ტემპით განვითარებული სამხრეთ კორეა 70-80-იან წლებში სამ უმსხვილეს პროექტს შეეჭიდა: ააშენა მსოფლიოში უდიდესი მეტალურგიული წარმოება, როცა მსოფლიოში მეტალურგიული კომბინატები იკეტებოდა; ააგო მსოფლიოში სიდიდით მეორე გემთსაშენი, როცა ეს სფერო მსოფლიოში ეცემოდა; პარალელურად, ქვეყანა ნავთობქიმიური მრეწველობის განვითარებას შეუდგა. შედეგი? ნავთობქიმიაზე ათწელიწადში უარი ითქვა, დანარჩენი ორი პროექტი კი ზეწარმატებული გამოდგა. ეს, გარკვეული თვალსაზრისით, ლატარია იყო, მაგრამ დემოკრატიის განხორციელებულმა ეფექტურმა ინვესტიციამ გაიმარჯვა. ინვესტიციამ, რომლის აუცილებლობაც საკმაოდ მძაფრ და ხანგრძლივ დისკუსიაში იშვა.

აქედან გამომდინარე, იმას, თუ რაში ინვესტირებს ქვეყანა, უდიდესი, ზოგჯერ კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მისი შემდგომი განვითარებისათვის.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს დღეს ისევე არ აქვს ასეთი დღის წესრიგი, როგორც მთელი პოსტსაბჭოთა ისტორიის მანძილზე არ ჰქონია. ერთადერთი სფერო, სადაც ნამდვილად ჩანს და წახალისებულიც არის ინვესტირება, ისევ და ისევ სამხედრო სფეროა. ცხადია, ეს სახელმწიფოს ერთ-ერთი უცილობელი ატრიბუტია, მაგრამ, სამწუხაროდ, ისიც ფაქტია (და არაერთგზის დადასტურებული), რა ეფექტი მოსდევს სამხედრო ძალების გაძლიერებას ისეთ პირობებში, როცა მას ვერ ეწევა ეკონომიკა. რა შეიძლება მოხდეს, როცა სამხედრო სფერო უკონტროლოდ ძლიერდება და მასში ასეულობით მილიონი ილვრება მაშინ, როცა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროები დეფიციტს განიცდიან.

ცხადია, როცა ქვეყანას საკუთარ სხეულზე ჩაუმქრალი კონფლიქტების კერები "ექავება", სამხედრო ძლიერება აუცილებელია. მაგრამ შეიარაღებული გზით მათი ჩაქრობა რომ არ მოხდება, ამაზე ქვეყანამ უკვე არაერთი მკაცრი მინიშნება მიიღო, თან ყველა შესაძლო მხრიდან და ფორმით. ესეც არ იყოს, ისტორია იმასაც ცხადყოფს, რომ კონფლიქტური ტერიტორია იმ მომიჯნავისკენ მიიწევს, რომელიც უფრო ძლიერია და აქ ლაპარაკია უპირველესად არა სამხედრო, არამედ ეკონომიკურ სიძლიერეზე. დღეს რუსეთი საქართველოზე ობიექტურად ბევრ პარამეტრში მეტად ძლიერია და სულ არ არის გასაკვირი, რომ კონფლიქტური ტერიტორიები მისკენ მიისწრაფვიან (ცხადია, ყველა სხვა ცნობილ ფაქტორებთან ერთად). აღარაფერს ვამბობ გახსნილობის ფაქტორზე, როცა რუსეთმა ლამის ბოლომდე "შეიწოვა" აფხაზეთი, საქართველოში კი რკინიგზის გახსნის თემაზეც სერიოზულად არავინ ფიქრობს, რუსული მობილური კავშირგაბმულობის კომპანიები ცხინვალში "კეთილი იყოს თქვენი მობრძანება რუსეთში!"-ს გიწერენ, სახელმწიფო კი ამას ჯიუტად ვერ ამჩნევს და საპირწონედ მხოლოდ ფქვილის და სასუქის დარიგებას ახერხებს.

ამ და კიდევ უამრავი სხვა გარემოების გამო სწორედ ეკონომიკა უნდა გამხდარიყო ის ყველაზე სერიოზული ბაზისი, რომელზეც საქართველოს ახალგაზრდა პრეზიდენტს და მის კიდევ უფრო ახალგაზრდა გუნდს წარმატების ისტორია უნდა აეგო. სწორედ ამაზე უნდა დახარჯულიყო პრეზიდენტის რეიტინგის უდიდესი ნაწილი. უხეშად რომ ვთქვათ, ის იმ არაპოპულარულ ნაბიჯებზე უნდა "გადახურდავებულიყო", რომელსაც ყველა საფუძვლიანი რეფორმა უხვად გულისხმობს.

სამწუხაროდ, საქართველოში რეფორმამ ამჯერადაც ძალიან თავისებური იერსახე მიიღო. იმდენად თავისებური, რომ არანაირ ჩარჩოში არ მოთავსდა. მაგალითად, არის კორუფცია სტანდარტებში? არის. როგორ ვებრძოლოთ? გავაუქმოთ სტარდარტები! ცხადია, ცხელ გულზე შესაძლოა ეს კარგი მოსასმენიც იყოს, მაგრამ საბოლოოდ მსგავსი პრიმიტიული მიდგომა პოზიტიურ შედეგს რომ არ გამოიღებს, არც ეს არის ძნელი დასათვლელი. იმავე ევროსივრცეში, სადაც საქართველო ყველანაირად ცდილობს ფეხის ჩაყოფას და საგანგებო სახელმწიფო მინისტრიც კი ჰყავს ამ საკითხებში, სტანდარტების მთელი წყება არსებობს და საქართველოს, სხვათა შორის, თავისი კანონმდებლობის მათთან ჰარმონიზება საერთაშორისო ხელშეკრულებით აქვს ნავალდებულები. ასე რომ, ასე ხელაღებით სტანდარტების გაუქმება მთლად კარგი საქმე არ უნდა იყოს. რაც შეეხება კორუფციის გამო რაიმე სტრუქტურის გაუქმებას, შეიძლება, არც ეს იყოს ურიგო იდეა, მაგრამ არცთუ დიდი ხნის წინათ კორუფცია-გამოძალვისთვის ერთი პარლამენტარიც დააკავეს, დანომრილ ფულზე დახარბებულ მოსამართლეებს, პოლიციელებს, მებაჟეებს და გადასახადების ამკრეფებს ხომ სულაც ბოლო არ უჩანთ და ნუთუ ყველა ეს სისტემაც გასაუქმებელია?

ქვეყანამ ხომ წელს კიდევ ერთხელ მიიღო პასუხი, რა შედეგებს უნდა ელოდო, როცა საჭირო სამსახურები არ არსებობენ ან მათ აზრს ანგარიშს არ უწევენ. გარემოსდაცვითი სამსახურები ან პარალიზებულია, ან იგნორირებული. შედეგი? ქვეყნის ეკონომიკამ გაზაფხული-ზაფხულის პერიოდში ერთი მეორის მიყოლებით რამდენიმე უმძიმესი დარტყმა მიიღო. ახლა, როცა ურემი გადაბრუნებულია, უკვე ნაკლებად აინტერესებს ვინმეს, ვის ეძინა, როცა დუშეთის ტყე იჩეხებოდა ან ყვარლის დამბა ირღვეოდა. ახლა უფრო საინტერესო ის არის, რანაირად უნდა ანაზღაურდეს წყალდიდობით თუ მეწყერით მიყენებული ზარალი იმ 4 ათას ლარად, რომელსაც მთავრობა თითო სახლდანგრეულ და მოსავალგაჩანაგებულ ოჯახს გამოუყოფს. ამ კითხვის უკან ხომ ათასობით გაკოტრებული ოჯახი და საქართველოს აგროსექტორი დგას, რომელიც წელს, თავისთავად ცხადია, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაში კუთვნილ, ტრადიციულად მაღალ წილს ვეღარ შეიტანს.

თუმცა, რატომ მარტო აგროსექტორი? ბუნებრივი კატაკლიზმების გამო, რომელთაც თითქმის მთელი საქართველო მოიცვეს, პრაქტიკულად, ყველა სექტორი დაზარალდა. ეს კი ნიშნავს, რომ მოსახლეობის უმეტესობა უფრო დაუცველი იქნება გამძაფრებული ჯანდაცვითი თუ სხვა, ელემენტარული სოციალური პრობლემების წინაშე, რაც ცხოვრების დონის კიდევ უფრო მეტად დაცემის საწინდარია.

კიდევ ერთი მაგალითი ისტორიიდან: 1750 წელს ბრიტანეთის კუნძულების საშუალო მცხოვრებს დღე-ღამეში პროდუქტიულად მხოლოდ 5 საათის განმავლობაში შეეძლო საქმიანობა, რადგან მხოლოდ ამის სამყოფ კალორიებს იღებდა. ექსპერტების გათვლით, 1750-დან 1900 წლამდე ეკონომიკური ზრდის ნახევარს სწორედ ის განაპირობებდა, რომ კვება და ჯანდაცვა გაუმჯობესდა. და ეს ხდებოდა ინდუსტრიული რევოლუციის საუკუნეში. ასე რომ, პირობები, რომელშიც ცხოვრობს მოსახლეობა, უმნიშვნელოვანესია. თუ ის ვერ იღებს საკმარის საკვებს და აქვს პრობლემები ჯანდაცვასა და განათლებაში, ნებისმიერ ზრდაზე ლაპარაკი ზედმეტია.

ასეთ ფონზე გაცილებით საშიშია ისეთი ლუმპენ-პროლეტარული იდეებით საზრდოობა და არსებობა, როგორიც, მაგალითად, ყბადაღებული საწვავის დარიგება ან ფართოდ აფიშირებული უფასო სასწრაფო დახმარების თემა იყო. კერძო სექტორის მოზიდვისა და რისკის განაწილების ნაცვლად, სახელმწიფომ ეს ტვირთი კვლავაც ერთპიროვნულად აიკიდა და, ცხადია, ჩაფლავდა კიდეც.

ხარისხიანი სასწრაფო დახმარება ისევე აღმოჩნდა უფასო, როგორც ყველი, რომელიც მხოლოდ სათაგურშია. რაც შეეხება საწვავის დარიგებას, ეს კიდევ ერთი დასტური იყო იმისა, რომ ხელისუფლებამ, სამწუხაროდ, ვერ ჩააბარა ტესტი ანტიკორუფციულ მდგრადობაზე. საწვავის დარიგების სქემა ყველა საფეხურზე კორუფციის უშრეტ წყაროდ იქცა, რაც მხოლოდ განმხორციელებელთა უზნეობით არ ყოფილა გამოწვეული. არანაკლები მიზეზი თავად მეთოდის სოციალისტურობა იყო, რაც თავის თავში უკვე დიდი დოზით მოიცავს კორუფციის ალბათობას. და ასეთი მეთოდები, რომლის დემონსტრირებაც ხელისუფლებამ არასრული ორი წლის განმავლობაში მოახდინა, საკმაოდ ბევრი დაგროვდა.

სწორედ ასეთ მეთოდებზე დაიხარჯა საკმაოდ დიდი ნაწილი იმ პროფიციტისა, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში დაფიქსირდა. სწორედ ასეთ ნაბიჯებზე იხარჯება პრივატიზებიდან მიღებული თანხებიც. ანუ ის რესურსები, რომლებიც ნამდვილად არ არის ამოუწურავი. შესაბამისად, მათი ხარჯვაც უფრო მომგებიან და ნაკლებად პოპულისტურ პროექტებში იქნებოდა გაცილებით სახარბიელო. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ეს ქვეყანაში იმ პროგნოზირებადი და მიმზიდველი გარემოს ჩამოყალიბებას დააჩქარებდა, რაც ესოდენ მწვავედ აკლია დღევანდელ ქართულ ეკონომიკურ სივრცეს.

სწორედ ამის გამოა, რომ საქართველოში ხმაურისა და სკანდალის გარეშე ვერც ერთი დიდი საპრივატიზებო გარიგება ვერ განხორციელდა. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ყოფილი სახელმწიფო საკუთრებით ნაკლებად ინტერესდებიან სერიოზული კომპანიები, ქონება კი გაუგებარი წარმომავლობისა და ისტორიის მქონე კომპანიების ხელში გადადის, რომელთა ბიზნესუნარიანობა ყოველ ეტაპზე სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

ამის მიზეზი სწორედ ქვეყანაში შექმნილი ყოვლად უპროგნოზო ბიზნესგარემოა, რომელიც შევარდნაძის დატოვებულ ნაფუძარზე ვითარდება. და თუ შევარდნაძის დროს არსებული თამაშის წესები ცალსახად მიუღებელი და არაცივილური იყო, დღეს ხშირად იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს წესები საერთოდ აღარ არსებობს, რაც კიდევ უფრო დიდი პრობლემაა ბიზნესის საწარმოებლად.

თამაშის წესების ჩამოუყალიბებლობა, გაუმჭვირვალე სისტემა, მემარცხენეობის მოძალება, აქცენტი გასამხედროებაზე, სახელმწიფოს მეტი ჩარევა ეკონომიკაში, კერძო საკუთრების ყოველ ნაბიჯზე ხელყოფა და ამ რიგის კიდევ არაერთი მოვლენის გაჭიანურება ნიშნავს, რომ საქართველოს ეკონომიკა განვითარების თვისებრივად ახალ საფეხურზე კიდევ დიდხანს ვერ გადავა და მის გაჯანსაღებას ვერც ჯორჯ ბუშ-უმცროსის ჩამოსვლა უშველის და ვერც ბენედიქტ მეთექვსმეტესი. ბიზნესიც ისევ მხოლოდ რუსული მოვა და არა იმიტომ, რომ მას, როგორც გავრცელებული ლეგენდა იუწყება, სახმინისტრი ბენდუქიძე გაუწევს ლობირებას, არამედ ვითარება იქნება ისეთი, რომელში შემოსვლასაც მხოლოდ რუსული კაპიტალი გარისკავს - სახელწიფოს, ბიზნესისა და ორგანიზებული დანაშაულის სინდიცირების შედეგად დაგროვილი რუსული კაპიტალი. ეს კი ნამდვილად არ არის ის შედეგი, რომლის მისაღწევადაც მიიღო პრეზიდენტმა სააკაშვილმა ნდობის, პრაქტიკულად, უსაზღვრო მანდატი.

რა თქმა უნდა, არ შეიძლება ყველაფრის მუქ ფერებში დანახვა და მიღწევაც აუცილებლად უნდა აღინიშნოს. ის, რომ საქართველოს, პრაქტიკულად, 3-მილიარდიანი ბიუჯეტი აქვს, უდიდესი მიღწევაა. მაგრამ ქვეყნის ეკონომიკა არ არის მხოლოდ ბიუჯეტი. რასაკვირველია, შესანიშნავია, როცა ბიუჯეტი იზრდება და თანაც სრულდება და ყოველი თვის ბოლოს ყველა კალკულატორს აღარ უჩხაკუნებს დანაკლისის დასათვლელად, მაგრამ როცა წლის შუა პერიოდში მთავრობა მოულოდნელად აცხადებს, რომ დავალიანებების დაფარვა ჩერდება, ეს ოპტიმიზმს ნამდვილად არ ბადებს; როდესაც სახელმწიფო სტატისტიკაც კი ადასტურებს, რომ წელს ინვესტიციების მოცულობა შარშანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა, ეს უკვე საგანგაშოა; ის, რომ "საერთაშორისო გამჭვირვალობამ" 146 ქვეყანას შორის კორუფციის ინდექსით 133-ე ადგილი გვარგუნა, რაც შევარდნაძის დროსაც კი არ ყოფილა, აშკარად დამაფიქრებელია; ფაქტი, რომ ფონდმა "ჰერითიჯმა" საინვესტიციო მიმზიდველობის მიხედვით 91-ედან მე-100 პოზიციაზე ჩამოგვაქვეითა, ნამდვილად საგულისხმოა; დაბოლოს, ის, რომ განვითარების ინდექსით ასევე "საპატიო" მეასე ადგილი შეგვიფარდა გაერომაც, უკვე ღიად მიუთითებს, რომ საქართველოს ეკონომიკაში ყველაფერი კარგად არ მიდის. ხომ არ შეიძლება, ყველა ეს ინსტიტუტი, რომელიც თავის შეფასებებს ჰაიჰარად ნამდვილად არ ისვრის და უამრავი კომპონენტის გათვალისწინებით აკეთებს დასკვნას, ერთდროულად ცდებოდეს და მართალი მხოლოდ ის სარეკლამო კლიპები იყოს, რომლებიც ყოველდღიურად გვამცნობენ, რომ "საქართველოში ინვესტირების დროა" და "ქვეყნის ეკონომიკურ სივრცეში სამართლიანობა დამკვიდრდა"?

საბედნიეროდ, ეკონომიკა არ არის პოპ-მუსიკა, სადაც ცოცხლად თუ ფონოგრამით შესრულებით დაახლოებით ერთნაირ ეფექტს შეიძლება მიაღწიო და გულუბრყვილო მაყურებელი თუ მსმენელი მოატყუო. ეკონომიკა მეცნიერებაა, რომელსაც თავისი ულმობელი კანონები გააჩნია და ეს კანონები ადრე თუ გვიან თავს აუცილებლად იჩენს. და თუ ეფექტი მყისიერად არ გამოიკვეთა, სულაც არ ნიშნავს, რომ ის საერთოდ არ არსებობს. სწორედაც რომ არსებობს და, შესაძლოა, ისეთ დროს გამოვლინდეს, როცა ამას ყველაზე ნაკლებად ელი.

პრეზიდენტი სააკაშვილი არ არის ეკონომისტი და ეკონომიკურ პოლიტიკას ცალსახად მხოლოდ ის არ განსაზღვრავს. მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ მეფეს კარისკაცები თამაშობენ და ამ კარისკაცებს მეფე ირჩევს. ყველაზე მეტადაც სწორედ მეფე აგებს პასუხს კარისკაცების ჩადენილზე.

ალბათ, წარმოუდგენელია, სააკაშვილისთვის იმაზე დიდი ანტირეკლამა, რაც მისი დღევანდელი გარემოცვაა. და აქ არ არის საჭირო კონკრეტული პირების ჩამოთვლა - სააკაშვილის გარემოცვის, პრაქტიკულად, ყველა ფრთა თავისი ლიდერის ანტირეკლამის ნაწილში ერთმანეთს ტოლს არ უდებს. ამ საკითხში მათ რიგებში მჯობნის მჯობნი ნამდვილად არ დაილევა.

ცხადია, რომ პოსტრევოლუციურ პერიოდს მსგავსი რამ ახასიათებს. ხშირია, როცა ასეთ სიტუაციაში მატროსები კომისრებად ინიშნებიან, მაგრამ ეს ტენდენცია სუსტდება ან სულაც წყდება, როცა რევოლუცია მთავრდება. სამწუხაროდ, პრეზიდენტი სააკაშვილი რევოლუციას არ ამთავრებს. ან, რაც უფრო საშიშია, ვერ ამთავრებს. და აქ არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, რა არის მიზეზი: ნების არქონა, გაუსტუმრებელი ვალდებულებები თუ სხვა ხილული თუ უხილავი მიზეზები. საყოველთაოდ ცხადია, რომ რევოლუციის დასრულება უფრო ძვირი (ყველანაირი გაგებით) ჯდება, ვიდრე მისი დაწყება. ისიც ნათელია, რომ რევოლუციის დასრულებას ყოველთვის ვერ ახდენენ ისინი, ვინც მის სათავეებთან იდგნენ. ფაქტი მხოლოდ ერთია: რევოლუციური ეიფორია არ შეიძლება გაგრძელდეს უსასრულოდ.

ეკონომიკისთვის რევოლუცია ნამდვილად არ არის მისწრება. მით უფრო, დაუსრულებელი რევოლუცია, რადგან ის პირდაპირი გზაა ეკონომიკური განვითარების შეფერხებისა. საქმიანი სამყარო ვერ ბედავს გრძელვადიან დაგეგმარებას, რაც ბიზნესის წარმატების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ყველაფერი მხოლოდ მოკლე დროზე ითვლება და ამიტომაც არის, რომ ის ეფემერული წარმატებებიც, რაც ქართულ ეკონომიკას დღეს აქვს, შესაძლოა, ასეთივე მოკლევადიანი აღმოჩნდეს. მოსალოდნელი კრიზისი კი იმაზე ბევრად მძიმე, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება წარმოვიდგინოთ.

ქვიშის საათი უკვე ამობრუნებულია და თითოეული დაკარგული დღე იმ მარცვალს ჰგავს, რომელიც წარსულში უკანმოუხედავად ჩაედინება. მიაქვს დრო და მიაქვს ნდობა. საფინანსო ამნიტიის რეჟიმში მოსახვედრად გამოჩენილი გადამხდელების აქტივობა (არც ერთი განაცხადი) კიდევ ერთი დასტურია, რომ ხელისუფლებისადმი გადამხდელების ნდობა არ ამაღლებულა. არც არის გასაკვირი: ნიღბიანების შოუებით და პოლიციური წნეხით თავისუფალი ეკონომიკა არ შენდება, უნდობლობის და შიშის პირობებში თავისუფალი ბაზარი არ იქმნება. ასე მხოლოდ ის საეჭვო ღირებულებების მქონე სისტემა ყალიბდება, რომელსაც ზოგიერთ წყაროებში სახელმწიფო კაპიტალიზმი ჰქვია, რომლისკენაც, საპირისპირო მტკიცებების მიუხედავად, ქართული ეკონომიკა ძალიან სწრაფი ტემპით მიექანება.

სამწუხაროდ, ამის შემაკავებელი ფაქტორი ჯერ არ ჩანს. ქვეყანაში ოპოზიციის სისუსტის გამო, "გარედან" ამ საფრთხეზე მითითება ან ნაკლებად ხდება, ან უშედეგოა. ამ მხრივ განსაკუთრებული რეფორმატორობით არც შიდასახელისუფლო რესურსი გამოირჩევა. შესაბამისად, მთელი პასუხისმგებლობა ერთპიროვნულად პრეზიდენტზეა, რომელსაც, მართალია, უწინდელზე ნაკლებად, მაგრამ ჯერ კიდევ აქვს შერჩენილი რეფომატორის იმიჯი.

მიხეილ სააკაშვილს ხშირად გამოუვლენია უნარი, კრიტიკულ სიტუაციებში მისთვის და ქვეყნისთვის სწორი ნაბიჯი გადაედგა, თუნდაც ეს საკმაოდ მტკივნეული და რთული ყოფილიყო. დღეს, როდესაც საზოგადოებაში რევოლუციური ეიფორია უკვე საბოლოოდ იწურება, ხელისუფლება სულ უფრო მტკივნეული დარტყმების მისაღებად უნდა მოემზადოს. ამ ახალ რეალობაში პრეზიდენტს ახალი დღის წესრიგი სჭირდება, ახალი მოქმედი პირები და ბევრი საკითხის მიმართ სრულებით ახლებური მიდგომა, რისი საკმაოდ შთამბეჭდავი მაგალითიც მას მეგობარმა უკრაინელმა კოლეგამ უჩვენა.

სააკაშვილსაც სწორედ ახლა ელის "გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოსთვის". თემა, რომელიც პრეზიდენტმა თეორიულად საკმაოდ შთამბეჭდავად გაშალა თავის წიგნში, ახლა პრაქტიკულ განხორციელებას მოითხოვს - ახალი სტრატეგიით, ახალი სახეებით და ახალი თამაშის წესებით.

ეს რეალობის გამოწვევაა. მასზე ადეკვატური რეაგირება კი - პასუხი არა მხოლოდ ქართული საზოგადოებისთვის, არამედ ყველასთვის, ვისთვისაც ვარდების რევოლუციის მონაპოვარი ჯერ კიდევ რჩება ახალი დემოკრატიის შეუქცევადობის სიმბოლოდ.

## ტყეების დაცვას გარემოსდაცვითი ინსპექცია შეუდგება



მინისტრი და პრემიერ-მინისტრი ახალი სამსახურის პრეზენტაციაზე.

პირველი გვერდიდან

როგორც გარემოს დაცვის მინისტრმა გიორგი პაპუაშვილმა განცხადა, ახალ უწყებას დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება, რადგან მან სწრაფად და რადიკალურად უნდა აღკვეთოს უკანონო ხე-ტყის ჭრისა და ბრაკონიერობის შემთხვევები. მისივე თქმით, ორი, სამი წლის წინათ მსგავსი სამსახურის შექმნა წარმოუდგენლად ჩანდა, დღეს კი სახეზე გვაქვს ერთიანი მაკონტროლებელი სისტემა, რომელიც აქამდე არასდროს გვქონია.

გარემოს დაცვის ინსპექციის სწრაფი რეაგირების ჯგუფი პირველი ეტაპისთვის მუშაობას, ხე-ტყის ჭრის მხრივ ყველაზე რთულ რეგიონებში - სამცხე-ჯავახეთში, კახეთში, იმერეთსა და სამეგრელოში დაიწყებს. თანამშრომელთა საშუალო ხელფასი 500 ლარამდე იქნება. ინსპექტორების ჩაცმულობასა და აღჭურვილობაზე დონორმა ორგანიზაციებმა იზრუნეს.

**"სამწუხაროდ, არის რეგიონები, სადაც ჩვენი ბიუროები ჯერ არ გვექნება. აქცენტი შედარებით ცხელ წერტილებზე გავაკეთეთ. ეს არის დასავლეთი, ანუ იმერეთი, სამეგრელო, ფოთი, სამცხე-ჯავახეთი, ბორჯომი, ადიგენი და კახეთი. ცენტრალურ აპარატში სწრაფი რეაგირებისთვის 14 თანამშრომელი გვეყოლება. იმედი გვაქვს, რომ ბიუჯეტი გაიზრდება და მივიღებთ შესაბამის დაფინანსებას. ამის შემდეგ კადრებს 300 თანამშრომლამდე გავზრდით. გარემოს დაცვის ინსპექცია უფლებამოსილია, გამოიყენოს ფიზიკური იძულება, შეადგინოს ოქმი, განიხილოს საქმეები და აღკვეთოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევა. მოახდინოს უკანონოდ მოპოვებული ბუნებრივი რესურსების, ასევე, სამართალდარღვევის ჩადენის იარაღისა და საშუალებების ამოღება,"** - განაცხადა გარემოს დაცვის ინსპექციის უფროსმა შალვა აბუსერიძემ.

გარემოს დაცვის ინსპექციაში ფუნქციონირებს მუდმივმოქმედი ცხელი ხაზი, რომელიც დარღვევებზე ოპერატიულ რეაგირებას მოახდენს. ცხელი ხაზის ნომერია: 98 83 08

საზოგადოების ინფორმირებისთვის ტელევიზიით გავა სპეციალური კლიპები. ოპერატიული გამოძახებების გარდა, გარემოს დაცვის ინსპექცია ინტენსიურად ჩაატარებს რეიდებს. აქამდე, მსგავსი მაკონტროლებელი ორგანო არ არსებობდა. ადრე ამ ფუნქციას შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებული ეკოპოლიცია ითავსებდა. მისი გაუქმების შემდეგ, გარემოს დაცვაზე კონტროლი პატრულს დაევალა. თუმცა, საკანონმდებლო ვაკუუმის გამო, მასზე დაკისრებულ მოვალეობას ვერც პატრული ასრულებდა. გარემოს დაცვის პოლიცია ასევე იმუშავებს დაბინძურების პრობლემებზეც. **"სამწუხაროდ, ამ ეტაპზე არ გაგვაჩნია კარგი ლაბორატორიები. ჯერ იმით დავიწყებთ, რაც გვაქვს, შემდეგ კი დონორების დახმარების იმედი გვაქვს. ახალ ლაბორატორიებში შემოწმდება როგორც წყალი, ასევე ჰაერი,"** - აღნიშნა აბუსერიძემ.

### მოკლედ

## "მემარჯვენე ოპოზიცია" მოსალოდნელ ანგარიშსწორებაზე საუბრობს

"მემარჯვენე ოპოზიციის" ლიდერ დავით გამყრელიძესა და პარტიის სხვა გამოკვეთილ ფიგურებზე, კრიმინალურ-ყაჩაღური მოტივით, შენიღბული ანგარიშსწორება იგეგმება.

ამასთან დაკავშირებით განცხადება გუშინ "მემარჯვენე ოპოზიციის" პრესსამსახურმა გაავრცელა. "მემარჯვენების" მონაცემებით, პოლიტიკურ თავდასხმებს შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნები გეგმავენ და ე.წ. არარეგისტრირებული შეიარაღებული ჯგუფების მეშვეობით ახორციელებენ. ეს დაჯგუფებები ოფიციალურად არც ერთ ძალოვან უწყებაში არ ირიცხებიან, თუმცა ხელშეუხებლობის მყარი გარანტიებით სარგებლობენ.

როგორც "მემარჯვენე ოპოზიციის" მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, დეპუტატ გელაშვილზე ანგარიშსწორების ფაქტის მიჩუმათებამ, ამ ადამიანებს პოლიტიკური ტერორის გაგრძელებისთვის ხელ-ფეხი გაუხსნა.

"ამის პარალელურად, მიმდინარეობს მუშაობა მაკომპრომეტირებელი ინფორმაციის შეთხზვა-გავრცელებაზე, პოლიტიკური რეპუტაციის შელახვის მიზნით. ამ მიმართულებით მომუშავე ჯგუფებს უშუალო მითითებებს აძლევს და ხელმძღვანელობს საბჭოთა სუკ-ის ცნობილი მუშაკი, პრეზიდენტ სააკაშვილის ბიძა და გავლენიანი მრჩეველი თემურ ალასანია," - აღნიშნულია განცხადებაში.

"მემარჯვენე ოპოზიცია" აფრთხილებს საქართველოს პრეზიდენტს და მისი ხელისუფლების მაღალჩინოსნებს, ხელი აიღონ ამგვარ განზრახვაზე. "პოლიტიკურ ტერორს არც ერთი ქვეყნის ხელისუფლებისთვის სიკეთე არ მოუტანია. ჩვენ არ ვართ ის ხალხი, ვისაც ანგარიშსწორებით დააშინებენ და გააჩუმებენ," - აცხადებენ "მემარჯვენეები". **ინტერპრესნიუსი**

## "გაზპრომი" საქართველოში გაზმომარაგების შემცირების თაობაზე იტყობინება

საქართველოს გაზმომარაგებაში შეიძლება პრობლემები შეიქმნას. როგორც ცნობილი გახდა, "გაზექსპორტიდან" საქართველოს ხელისუფლებაში შეტყობინება მოვიდა, რომლის თანახმადაც, "გაზპრომი" საქართველოში გაზმომარაგების შემცირებას გეგმავს.

სარწმუნო წყაროს ცნობით, საქართველოს გაზმომარაგება 1/3-ით შემცირდა, რაც ხელისუფლების მიერ "გაზპრომის" წინაშე აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობას უკავშირდება. საუბარია ზამთრის სეზონის განმავლობაში დაგეგმილი მოხმარების ბალანსზე, რომელიც საქართველოს მთავრობას "გაზპრომისათვის" უნდა მიეწოდებინა.

რუსულ მხარეს 19 სექტემბრამდე უნდა მიეღო ზამთრის მოხმარების ბალანსი, თუმცა საქართველოს ხელისუფლებამ ბალანსის "გაზპრომისათვის" დათქმულ ვადაში მიწოდება ვერ მოახერხა.

აღნიშნულ ინფორმაციას უარყოფენ ენერგეტიკის სამინისტროში და აცხადებენ, რომ საქართველოს გაზმომარაგებაში პრობლემები ამჟამად არ არსებობს და არც მომავალში შეექმნება. რაც შეეხება ბალანსის საკითხს, ენერგეტიკის სამინისტროში აცხადებენ, რომ დათქმულ ვადად 19 სექტემბერი იურიდიულად არ ყოფილა გაფორმებული. ამიტომ, მოდავება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით "გაზპრომის" მხრიდან გაუმართლებელი იქნებოდა.

ამასთან, როგორც პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა, საქართველო ზამთრის სეზონის განმავლობაში 2 მილიარდ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს მიიღებს, ამის შესახებ ბალანსი უკვე შედგენილია და იგი "გაზპრომს" მიეწოდება. ქართულმა მხარემ მოსკოვში ვიზიტისას აიღო ვალდებულება, 19 სექტემბრამდე "გაზპრომს" წარუდგინოს უახლოესი 10 წლის განმავლობაში საქართველოში გაზის მოხმარების ბალანსები, ამასთან, ძველი დავალიანების დაფარვის გრაფიკი. **ინტერპრესნიუსი**

### ორი სიტყვით

**თბილისი.** სახელმწიფო მინისტრი კახა ბენდუქიძე მედიის პირდაპირი და ირიბი სუბსიდირების აკრძალვის ინიციატივით გამოდის. "მედიის განვითარებისთვის საჭიროა, მედიის პირდაპირი და ირიბი სუბსიდირება აიკრძალოს. ჩემი აზრით, ეს უნდა გაკეთდეს, მაგრამ არ ვარ დარწმუნებული, რომ ამაში მხარს დამიჭერენ," - განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა გუშინ სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში". მისივე თქმით, მედია-ბიზნესი მისი მფლობელების ერთადერთი საქმიანობა უნდა იყოს და მას სხვა ბიზნესი არ უნდა გააჩნდეს. "მოდელი, რომელიც ჩვენ გვაქვს, არის უკუღმართი, როდესაც მედია-ბიზნესი სხვა ბიზნესიდან ფინანსდება. ეს არათანაბარ პირობებში აყენებს მედიას, რაც ხელს უშლის ამ ბიზნესის განვითარებას," - აღნიშნა ბენდუქიძემ. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "მუსავათის" პარტიამ თურქეთსა და საქართველოში აკრედიტებული, აზერბაიჯანის დიპლომატიური მისიების თანამშრომლები პარტიის ლიდერის ისა გამბარის წინააღმდეგ დეზინფორმაციის გავრცელებაში დაადანაშაულა.

როგორც ინტერნეტ-საიტ "Day.Az"-ის კორესპონდენტს პარტია "მუსავათის" წყარომ განუცხადა, ისა გამბარის სომეხ ბიზნესმენთან შეხვედრის და მისგან დიდი თანხის მიღების შესახებ ხმები პირველად თურქეთში აზერბაიჯანის საელჩოს თანამშრომელმა სპეცსამსახურების დავალებით გაავრცელა.

ეს ჯერ კიდევ მაშინ მოხდა, როცა გამბარი თურქეთში იმყოფებოდა. ორი დღის შემდეგ აზერბაიჯანის საელჩოს სხვა თანამშრომელმა - ახლა უკვე საქართველოში - ეს დეზინფორმაცია ქართული მასმედიის მეშვეობით გაავრცელა. საქართველოდან ეს ცნობა სომხეთში, შემდეგ კი აზერბაიჯანში მოხვდა.

წყაროს აზრით, ეს ყველაფერი არჩევნების წინ "მუსავათის" პარტიის ლიდერების დისკრედიტაციისთვის კეთდება. **ინტერპრესნიუსი**

# მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე

## საქართველო

### საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი

### ხონი-სამტრედიის საირიგაციო სისტემის სათავე ნაგებობის ფარის რეაბილიტაცია

საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტი N3542-GE
პროექტის საიდენტიფიკაციო N PO55068

საქართველოს მთავრობამ მიიღო საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტი ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტის დასაფინანსებლად და განზრახული აქვს ამ კრედიტის სახსრების ნაწილი გამოიყენოს ნებადართული ხარჯების დასაფარად ხონი-სამტრედიის საირიგაციო სისტემის სათავე ნაგებობის ფარის რეაბილიტაციისათვის NPCC/IDCDP/CW/SW/10-2005 კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდებისათვის.

ხონი-სამტრედიის საირიგაციო სისტემა მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, ხონის რაიონში, სოფ. მათხოჯში, მდ. ცხენისწყალზე, ქ. ხონიდან 15 კმ მანძილზე. ობიექტზე მისვლა შესაძლებელია ქუთაისი-ხონი-მარტვილის საავტომობილო გზით.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე მონაწილეობის უფლების მქონე ორგანიზაციებს, რომელთაც უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები დალუქულ კონვერტებში, ხონი-სამტრედიის საირიგაციო სისტემის სათავე ნაგებობის ფარის რეაბილიტაციისათვის (NPCC/IDCDP/CW/SW/10-2005).

პროექტი ითვალისწინებს სათავე ნაგებობის ფარებიანი კაშხლის წყალდიდობით დაზიანებული მარჯვენა სარეგულაციო ფარის აღსადგენად საჭირო ჰიდრომექანიკურ და ელექტროტექნიკურ სამუშაოებს, კერძოდ:

- **არსებული ლითონკონსტრუქციების და მოწყობილობების დემონტაჟი - 7 ტ;**
- **ახალი ფარის (ფოლადის ბრტყელი ფარი 14X4,5 მ, გადასახსნელი სარქველით h+1,5მ) დამზადება და მონტაჟი - 34,55 ტ;**
- **ჰიდრომძრავების (რდ-50) მონტაჟი (2 ცალი) - 86 კგ;**
- **სატვირთო ბაგირების (=22მმ) დემონტაჟი და მონტაჟი - 500მ;**
- **ჩასატანებელი ნაწილების და ამწე მექანიზმების დეტალების დამზადება და მონტაჟი - 0,7ტ;**
- **ელექტრომოწყობილობების მონტაჟი - 4 ცალი.**

საკონკურსო ვაჭრობა ჩატარდება 2001 წლის 5 ოქტომბერს საქართველოსა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის დადებულ N3542-GE საკრედიტო ხელშეკრულების დანართი ბ-ს, მესამე თავის გ ნაწილის 6-ე პარაგრაფში აღწერილი მცირე სამუშაოების საკონკურსო ვაჭრობის პროცედურების შესაბამისად.

დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომელთაც აქვთ კონკურსში მონაწილეობის უფლება, შეუძლიათ დამატებითი ინფორმაციის მიღება და საკონკურსო დოკუმენტაციის გაცნობა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტის ტექნიკურ ერთეულში ქვემოთ მითითებულ მისამართზე სამუშაო დღეებში 10 საათიდან 16 საათამდე.

კონტრაქტორი, რომელიც გამოიხმობს საკონკურსო წინადადებას მისი ძალაში ყოფნის პერიოდის (30 დღე) განმავლობაში და/ან მისი გამარჯვების შემთხვევაში უარს იტყვის კონტრაქტის დადებაზე, დისკვალიფიცირებული იქნება ამ პროექტისათვის ორი წლით.

საკონკურსო წინადადება ძალაში რჩება კონკურსის გახსნიდან 30 დღის განმავლობაში. დაინტერესებულ კონსკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ საკონკურსო დოკუმენტაციის სრული კომპლექტი ქართულ ენაზე ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარდგენისა და თითოეული კომპლექტისათვის არაანაზღაურებადი 40 ლარის გადახდის შემდეგ, რასაც დაემატება კურიერის მომსახურების ხარჯები (კურიერის საჭიროების შემთხვევაში). გადახდა ხორციელდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის ანგარიშზე თანხის გადარიცხვით. სალარე ანგარიშის ნომერია 115714714, მიმღები ბანკი - "თი ბი სი ბანკი", მარჯანიშვილის ფილიალი,თბილისი, საქართველო.

საკონკურსო წინადადება დალუქულ კონვერტებში მიტანილ უნდა იქნეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტის ტექნიკური ერთეულის ოფისში, ქვემოთ მითითებულ მისამართზე, 2005 წლის 12 ოქტომბერს 13 საათამდე, როდესაც მოხდება საკონკურსო წინადადებების გახსნა კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც დასწრებას მოისურვებენ. დაგვიანებული წინადადებები არ მიიღება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი
საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის ირიგაციისა და
დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტის ტექნიკური ერთეული
**საქართველო, თბილისი, 0123, კოსტავას ქ. 41, ოთახი 224**
**ტელ: +995 32 989924 / 935169.**
**ფაქსი: +995 32 934921 / 989924**
**ელ-ფოსტა: idcdp@adpcc.org.ge**

სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ყაზბეგის რაიონის სოფ. სნოს თემის ცენტრის შენობის რემონტი**.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება სოფ. სნოს განვითარების სათემო კავშირთან "სნო", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი "სნო" იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველო, ყაზბეგის რაიონი,
სოფ. სნოს, გამგეობის შენობა
საკონტაქტო პირი გივი ღუდუშაური -სათემო კავშირი "სნო"-ს თავჯდომარე

2005 წლის 22 სექტემბრიდან 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით 1800 ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველო, ყაზბეგის რაიონი,
სოფ. სნოს, გამგეობის შენობა
საკონტაქტო პირი გივი ღუდუშაური -სათემო კავშირი "სნო"-ს თავჯდომარე

2005 წლის 22 ოქტომბრის 13 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **13:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

**საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი**
**ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო**
**ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79**
**ფაქსი: (995 32) 23 01 03**

"სი-არ-ეს-საქართველოს" თანამშრომლებს წარმატებული და პროდუქტიული შეხვედრები ჰქონდათ პროგრამა "ვაშენოთ მომავალი"-თ დაინტერესებულ ორგანიზაციებთან და პირებთან. კონსულტაციები გაიმართა როგორც პროგრამაში ჩართულ ქართულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, ასევე იმ მხარეებთან, რომლებიც გარკვეულ ყურადღებას უთმობდნენ პროგრამის განვითარებასა და მონიტორინგს უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე. გარდა ამისან, შეხვედრა შედგა "მართლმადიდებელ მშობელთა ასოციაციის" წარმომადგენლებთან, რომლებმაც საკუთარი შეხედულებები, რჩევები და რეკომენდაციები მიაწოდეს პროგრამის ხელმძღვანელობას.

ამჟამად, აშშ-ს განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროგრამა "ვაშენოთ მომავალი" ერთი წლის მანძილზე განხორციელებული საქმიანობის შეჯამებისა და შემდგომი გეგმების ახლებურად ჩამოყალიბების ეტაპზეა. მიღებული კონსულტაციების საფუძველზე, განმახორციელებელმა ორგანიზაციებმა დროებით გადაავადეს პროგრამის ღონისძიებები. ისინი პროგრამის განხორციელებასა და ადმინისტრირებაში ცვლილებების შეტანას გეგმავენ, რომლის თაობაზეც ინფორმაცია დამატებით მიეწოდება დაინტერესებულ ორგანიზაციებსა და ფართო საზოგადოებას.

# შპს "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური" აცხადებს ტენდერს

ბათუმის საზღვაო ნავსადგური იწვევს დაინტერესებულ პირებს საკაბელო ხაზის მშენებლობის მიზნით ტენდერში მონაწილეობისთვის.

შესასრულებელი სამუშაოს მოკლე დახასიათება:

დამტკიცებული პროექტის მიხედვით შპს "აჭარის ენერგოკომპანიის" ბათუმი-1 ქვესადგურიდან ნავსადგურის ქვესადგურამდე 6 კილოვოლტიანი ორი საკაბელო ხაზის მშენებლობა (გაყვანა) ერთ საკაბელო არხში.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილეობის მსურველებს შეეძლებათ ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, 2005 წლის 22 სექტემბრიდან 2005 წლის 28 სექტემბრის ჩათვლით, 10 საათიდან 17 საათამდე ნავსადგურის ადმინისტრაციაში მისამართზე: ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ. N1, იურიდიული განყოფილება.

**ტენდერში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო კომისიას უნდა წარუდგინონ შემდეგი დოკუმენტები:**

- განცხადება ტენდერში მონაწილეობისათვის;
- პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- საკაბელო ხაზის მშენებლობის ლიცენზიის ასლი;
- მოკლე ინფორმაცია პირის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულებისა და გამოცდილების შესახებ;
- ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;
- სამონტაჟო სამუშაოებისა და მოწყობილობების დეტალური ჩამონათვალი შესაბამისი ღირებულებების მითითებით (გარდა კაბელისა).

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა ზემოაღნიშნული დოკუმენტები დალუქული პაკეტით უნდა წარმოადგინონ ნავსადგურის ოფისში (ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ. N1, მეორე სართული, იურიდიული განყოფილება) ამა წლის 29 სექტემბრიდან 3 ოქტომბრის ჩათვლით.

სატენდერო კომისია განიხილავს დაინტერესებულ პირთა მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას 2005 წლის 05 ოქტემბერს და შედეგები 5 დღის განმავლობაში ეცნობება წარმომდგენ პირებს.

**გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები:**

ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ნავსადგურისათვის ყველაზე ხელსაყრელი პირობებითა და ღირებულებით საკაბელო ხაზის მშენებლობა.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ მისამართზე: ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ. N1, იურიდიული განყოფილება, ტელ: 74914 ან მთავარი ენერგეტიკოსი 74912 (11-93).

**შპს "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური"**

ფრაისვოთერჰაუსკუპერსი ხსნის ოფისს საქართველოში!

თქვენი ბიზნესის პრობლემების გადაწყვეტა შესაძლებელია. უბრალოდ უნდა იცოდეთ ვის მიმართოთ.*

ზოგჯერ ძალიან ძნელია იცოდე საიდან დაიწყო. ჩვენ ვიცით და ამიტომ გთავაზობთ პროფესიონალებს აუდიტორულ, საკონსულტაციო და საგადასახადო სფეროებში. ისინი ორიენტირებული იქნებიან თქვენი ბიზნესის საკითხებზე და მოგცემენ საჭირო რჩევებს სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე:

ფრაისვოთერჰაუსკუპერსი
ბამბის რიგის ქ. №7
მანთაშევის ბიზნეს ცენტრი
საქართველო, თბილისი, 0105
ტელეფონი: [995] 32 508050
ფაქსი: [995] 32 508060

კლიფორდ აისეკი, მმართველი დირექტორი
clifford.isaak@ge.pwc.com

იური დოლიძე, დირექტორი, აუდიტორული და საკონსულტაციო მომსახურება yuri.dolidze@ge.pwc.com

იზაბელა გუტიძე, დირექტორი, საგადასახადო მომსახურება
bela.gutidze@ge.pwc.com

*connectedthinking

PRICEWATERHOUSECOOPERS

©2005 PricewaterhouseCoopers. PricewaterhouseCoopers refers to the individual member firms of the worldwide PricewaterhouseCoopers organization. *connectedthinking is a trademark of PricewaterhouseCoopers. All rights reserved.

შემოთავაზება უსწრებს დროს!

უპროცენტო 3 წლიანი განვადება

ქალაქის ნებისმიერ უბანში

ტელ.: 23 25 36
25 30 80
25 32 16
91 25 07



ცენტრ პოინტი

ვაშენოთ მომავალი

# თაობა, რომელიც მომავლის შენებისთვის ემზადება!



"გავხდეთ უფრო აქტიურები, შევიძინოთ მეტი გამოცდილება, მიღებული ცოდნა გადავცეთ თანატოლებს და დავეუფლოთ გუნდური მუშაობის პრინციპებს" — სწორედ ამ მისიას ემსახურება პროგრამა "ვაშენოთ მომავალი", რომლის განხორციელებაც შარშან სექტემბერში დაიწყო და უკვე მოიცვა ქვეყნის რამდენიმე ცენტრალური რაიონი.

ხუთწლიანი პროგრამა, რომლის მთლიანი ღირებულება 5,5 მილიონი აშშ დოლარია, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით (USAID - 4,8 მილიონი აშშ დოლარი) ხორციელდება და მიზნად ისახავს მოზარდთა ჩართვას ქვეყნის დემოკრატიის მშენებლობასა და სტაბილურ განვითარებაში. პროგრამის ორგანიზატორია "სიარეს-საქართველო", ადგილობრივ პარტნიორ ორგანიზაციებთან - "საქართველოს გაეროს ასოციაცია" და "სოხუმის მოზარდთა სახლი" - ერთად. გარდა ამისა, პროგრამას მხარს უჭერენ და მის განხორციელებაში აქტიურად მონაწილეობენ სხვა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებიც: "ადამიანის რესურსების განვითარების ფონდი", "საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი", "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია", "საქართველოს ინგლისური ენის მასწავლებელთა ასოციაცია",

## ვაშენოთ მომავალი

"საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია", "პარტნიორები საქართველო" და "მშვიდობისა და თანამშრომლობის საერთაშორისო ახალგაზრდული ქსელი", რომლებიც ძირითადად ტრენინგებში არიან ჩართულნი.

პროგრამის ფარგლებში, 15-17 წლამდე ასაკის მოზარდებს შესაძლებლობა მიეცემათ ჩაერთონ ადგილობრივი სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მომზადებულ ტრენინგებსა და ღონისძიებებში, რომელიც გააღრმავებს მათში ეთნიკურ ურთიერთგაგებასა და პატივისცემას, დემოკრატიისა და თავისუფალი ბაზრის ფასეულობების გათავისებას და ამასთან, წაახალისებს მოზარდებს საზოგადოების პრობლემების გადაჭრაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად.

*"პროგრამის „ვაშენოთ მომავალი" ძირითადი მიზანია, რომ ტრენინგების გავლის შედეგად მიღებული თეორიული მასალა, ცოდნა და გამოცდილება მოზარდებმა რეალურად გამოიყენონ თავიანთ ცხოვრებაშიც; განახორციელონ პროექტები და ორგანიზება გაუკეთონ სხვადასხვა ღონისძიებებს, რაშიც მათი თანატოლებიც აქტიურად იქნებიან ჩართულნი. მოსწავლეებს მიეცემათ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებთან დამეგობრების საშუალება, რაც გააღრმავებს მათში ეთნიკურ ურთიერთგაგებასა და პატივისცემას, დემოკრატიისა და თავისუფალი ბაზრის ფასეულობების გათავისებას. ამასთან, მოზარდები შეძლებენ უფრო შემოქმედებითად და საინტერესოდ გაატარონ გაკვეთილების შემდეგ დარჩენილი თავისუფალი დრო. ეს კი საკმაოდ აქტუალური პრობლემაა რაიონებსა და სოფლებში, სადაც მოზარდი თავისუფალი დროის დიდ ნაწილს, ფაქტობრივად, უსაქმოდ ატარებს,"* — პროგრამის ძირითად მისიაზე მიანიშნებს პროგრამის კოორდინატორი **ნინო ბიგვავა.**

ბავშვთა და ადამიანთა უფლებები, ბიზნესეთიკა, პროექტების შემუშავება-განხორციელება, ტოლერანტობა, კონფლიქტების მოგვარება, მშვიდობის შენება, გუნდური მუშაობის პრინციპების გათავისება, სამოქალაქო განათლება, ადვოკატირება, ინგლისური ენის გაღრმავება, დაფინანსების წყაროების მოძიების ხერხების თეორიული გაცნობა და შემდეგ მისი პრაქტიკაში გადმოტანა, სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება — ეს იმ თემების არასრული ჩამონათვალია, რომელთა გაანალიზებასაც მოზარდები თავად შეეცდებიან პროგრამის ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მომზადებული სპეციალური ტრენინგების დახმარებით. გარდა ამ ტრენინგებისა, მათ ჩაუტარდებათ სპეციალური პროფესიული სწავლება, განსაკუთრებით იმ სფეროებში, რომლის მიმართაც ინტერესს თავად გამოიჩენენ.

პროგრამის დაწყებიდან ერთი წლის მანძილზე, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით, მრავალმა მოზარდმა უკვე მიიღო გარკვეული ცოდნა, შეიძინა გამოცდილება და პრაქტიკული უნარ-ჩვევები. პროგრამის ხელმძღვანელთა განცხადებით, პროგრამის მთავარი მიზანია ლიდერის გაზრდა, რომელმაც იცის, რა არის თავისუფლება და აღიარებს დემოკრატიულ პრინციპებს. თუმცა, ამავე დროს, არ ივიწყებს საკუთარ ვალდებულებებს და აქტიურად არის ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

## „მოზარდთა კლუბები"




პროგრამის ერთ-ერთ უმთავრეს კომპონენტს საშუალო სკოლების ბაზაზე "მოზარდთა კლუბების" დაფუძნება წარმოადგენს. დღეისათვის, ქვეყნის სხვადასხვა ცენტრალურ რაიონში უკვე დაარსებულია 20-მდე მოზარდთა კლუბი. აღნიშნული ცენტრალური კლუბების ქსელი მოიცავს შემდეგ ქალაქებს: თბილისი, ახალციხე, ბორჯომი, ხაშური, ჭიათურა, ტყიბული, ზესტაფონი, ქუთაისი, სენაკი, ზუგდიდი, ქობულეთი, ფოთი, ბათუმი, გორი, რუსთავი, მარნეული, ბოლნისი.

სკოლების შერჩევა ხორციელდება სპეციალური სააპლიკაციო პროცესისა და წინასწარ დადგენილი შესარჩევი კრიტერიუმების საფუძველზე, რომელიც სკოლის ტექნიკურ შესაძლებლობებს ითვალისწინებს. ამას ემატება სკოლის დირექტორის სამოტივაციო წერილი, სადაც ასახულია სკოლის ხედვა პროგრამასთან მიმართებაში და მასში მონაწილეობის სურვილის დასაბუთება.

*"ჩვენ შევხვდით სკოლების დირექტორებს და სრულად გავაცანით მათ პროგრამა. რა თქმა უნდა, სკოლების შერჩევისას გავითვალისწინეთ მათი ტექნიკური შესაძლებლობები, რამდენადაც სკოლამ უნდა შეძლოს კლუბების ტექნიკური მხარდაჭერა. დირექციამ კლუბის წევრებს უნდა დაუთმოს ერთი საკლასო ოთახი და გადაიხადოს კომუნალური გადასახადები. სკოლის დირექტორების მიერ მოწოდებულ სამოტივაციო წერილზე დაყრდნობით მოხდა სკოლების შერჩევა ადგილზე. აღსანიშნავია, რომ კლუბის წევრი არ ისარგებლებს რაიმე პრივილეგიით სხვა მოზარდებთან შედარებით და თავის მხრივ, სკოლის დირექციაც არ გამოიყენებს კლუბს პირადი ინტერესებისა თუ პოლიტიკის გატარებისათვის. ეს ჩვენი უმთავრესი მოთხოვნაა",* — პროგრამის დეტალებზე საუბრობს პროგრამის კოორდინატორი **ნინო ბიგვავა.**

მოზარდთა კლუბის წევრები საშუალო სკოლების მე-10, მე-11 კლასელები არიან, რომლებიც დემოკრატიული პრინციპების გათვალისწინებით, თავიანთი სკოლელებისა და თანატოლების მიერ არიან არჩეულნი. თითოეულ კლუბში 40 წევრია და ისინი როტაციის პრინციპით იცვლებიან ყოველ წელს, ღია არჩევნების სისტემის მიხედვით. მათ ადგილს კი მომავალი თაობა დაიკავებს. კლუბს ჰყავს ერთი ხელმძღვანელი (რომელიც ამავე სკოლის პედაგოგია) და ორი ასისტენტი — ამ სკოლის კურსდამთავრებული 18-19 წლის მოზარდი. პროგრამის მიმდინარეობის განმავლობაში დაგეგმილია მოზარდთა კლუბების რაოდენობის გაზრდა 203 კლუბამდე.

*"მოზარდთა კლუბს არ გააჩნიათ ერთი კონკრეტული მიმართულება. ის მრავალფეროვანი იდეებითაა დატვირთული. განიხილება მოზარდებისათვის საინტერესო და ახლობელი სხვადასხვა თემები. საბოლოოდ კი, გამორიცხული არ არის, რომ გამოიკვეთოს ერთი მიმართულება და კლუბი ორიენტირებული გახდეს ამა თუ იმ დარგზე. არჩევანში კლუბის წევრები თავისუფლები არიან. პროგრამის თვითმიზანი არ არის მხოლოდ იმ მოზარდებთან ურთიერთობა და მუშაობა, რომლებიც კლუბის წევრები არიან. ჩვენი მიზანია კლუბის წევრების ლიდერებად ჩამოყალიბება, რომლებიც მიღებულ ცოდნას გაუზიარებან თანატოლებს და გადასცემენ საზოგადოებას პროგრამის დასრულების შემდეგაც. ამიტომაც ძირითადი მიმართულებაა ტრენინგები, შეხვედრები სტუმრებთან, დებატების გამართვა, პროექტების შემუშავება და მათი განხორციელება მცირესაგრანტო პროგრამების დახმარებით. ჩვენ არ ვერევით კლუბების საქმიანობაში. ჩვენი ურთიერთობა სრულდება იქ, სადაც მთავრდება ინფორმაციის მიწოდება. არჩევანსა და გადაწყვეტილების მიღებაში ისინი თავისუფლები არიან"* — აღნიშნავენ პროგრამის ხელმძღვანელები.

პროგრამის ფარგლებში, თითოეული სკოლის მოზარდთა კლუბს გადაეცა ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, პრინტერი, ციფრული ფოტოაპარატი და სხვადასხვა საკანცელარიო ნივთები.

შემეცნებითი ტრენინგების გარდა, კლუბებში დაგეგმილია გასართობი ღონისძიებების განხორციელება, კერძოდ, სხვადასხვა შეხვედრები და სპორტული შეჯიბრებები, რაც მოზარდებს უფრო მეტად დაახლოებს ერთმანეთთან როგორც სკოლის, ქალაქისა და რაიონის შიგნით, ასევე ქვეყნის მასშტაბით. სისტემატურად მოეწყობა რეგიონებს შორის ტურნირები, რაც საშუალებას მისცემს მათ გაეცნონ სხვადასხვა მხარის კულტურას, ტრადიციებს, ისტორიას, გამოავლინონ საკუთარი ნიჭი და გაუზიარონ თანატოლებს საკუთარი გამოცდილება.

თვითმართვად მოზარდთა კლუბებში მომავალი ლიდერები მიღებულ გამოცდილებასა და გამომუშავებული პასუხისმგებლობის უნარს გამოიყენებენ სკოლის, თემისა და საკუთარი ქვეყნის საკეთილდღეოდ მიმართული პროექტების განსახორციელებლად. ამ მიზნით, პროგრამა „ვაშენოთ მომავალი" ყოველწლიურად თითოეულ კლუბს მისცემს მცირესაგრანტო პროგრამის გამოყენების საშუალებას.

სამომავლოდ, მოზარდთა კლუბებისათვის სკოლების შერჩევა არა მხოლოდ ცენტრალურ ქალაქებში, არამედ მათ მიმდებარე რეგიონებსა და სოფლებშიც მოხდება. პროგრამის ფარგლებში შეიქმნება კლუბების მაქსიმალურად ვრცელი და კარგად ორგანიზებული საკომუნიკაციო ქსელი, რათა ინფორმაციისა და ცოდნის მიღება ხელმისაწვდომი გახდეს ყველა დაინტერესებული მოზარდისათვის.

## საზაფხულო ბანაკები

პროგრამის "ვაშენოთ მომავალი" ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს საზაფხულო ბანაკები. მიმდინარე წელს დაგეგმილი იყო 3 საზაფხულო ბანაკის განხორციელება: ორი საქართველოს ტერიტორიაზე (ლიკანსა და ახალდაბაში), ხოლო მესამე - თურქეთში (ტრაბზონი).

საზაფხულო ბანაკებში არჩეული არიან სხვადასხვა რეგიონის მოზარდთა კლუბის წევრები. ბანაკის მონაწილეთა არჩევა ხდება მოზარდთა კლუბის წევრებს შორის კონკურსის წესით, დემოკრატიული პრინციპების გათვალისწინებით.

ყოველ წელს, ათი დღის განმავლობაში, სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ოთხასამდე მოზარდი შეიძენს ბევრს ახალ მეგობარს, ახალ გამოცდილებასა და უნარ-ჩვევებს და დაისვენებს კარგად ორგანიზებულ, უსაფრთხო და სასიამოვნო გარემოში.

*"საზაფხულო ბანაკების ძირითად დანიშნულებას შეძენილი რესურსების ნაყოფიერად და ეფექტურად გამოყენება წარმოადგენს. ბანაკის მთავარი დატვირთვა საგანმანათლებლო ფუნქციაა. არასამთავრობო ორგანიზაციები ბანაკის წევრებს ჩაუტარებენ მრავალფეროვან თემატურ ტრენინგებს სხვადასხვა თემებზე. გარდა სწავლებისა, ბანაკის პროგრამა ითვალისწინებს სპორტული და გასართობი ხასიათის თამაშობების მოწყობას. ყოველწლიურად იმუშავებს ცეკვის, ხატვის, სპორტული წრეები. მოეწყობა სხვადასხვა სახის პრეზენტაციები და შეხვედრები. უმთავრესი მიზანი კი დემოკრატიული პრინციპების გათავისება და სხვადასხვა ეროვნების მოზარდთა დამეგობრებაა",*



— აღნიშნავს საქართველოს გაეროს ასოციაციის საგანმანათლებლო და ახალგაზრდული პროგრამების კოორდინატორი **თამარ თანდაშვილი.**

CRS CATHOLIC RELIEF SERVICES

ვაშენოთ მომავალი

# მათ უკვე იციან, როგორ ააშენონ მომავალი!



25 აგვისტოდან 5 სექტემბრის ჩათვლით, ლიკანსა და ახალდაბაში ფუნქციონირებდა საზაფხულო ბანაკები, რომლებიც გაიხსნა პროგრამის "ვაშენოთ მომავალი" ფარგლებში. ათი დღის განმავლობაში, 400-მა მოზარდმა დაისვენა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შეიძინა ახალი მეგობრები, მეტი გამოცდილება და ახალი უნარ-ჩვევები, რაც სამომავლოდ, ქვეყნის აღმშენებლობისათვის გამოადგებათ.

დემოკრატიული პრინციპების გათავისება და სხვადასხვა ეროვნების მოზარდთა დამეგობრება, ბანაკში სხვადასხვა ტრენინგების შედეგად შეძენილი რესურსების ეფექტურად და ნაყოფიერად გამოყენება - ეს საზაფხულო ბანაკების დანიშნულება და მიზანი იყო. *"ბანაკში ცხოვრება საინტერესო რომ ყოფილიყო, შევიმუშავეთ სპეციალური განრიგი — დღის განმავლობაში თემატური ტრენინგები, საღამოს კი ღონისძიებები - ანუ ეწყობოდა კონცერტები, რომლებსაც თავად მოსწავლეები ამზადებდნენ, გასართობი და სპორტული ხასიათის თამაშობები: "პეინტ-ბოლი" და "საგანძურის მაძიებლები". ჩატარდა თემატური დღეებიც, რომლებიც სიყვარულს, მეგობრობასა და ტოლერანტობას მიეძღვნა. თითოეული თემატური დღის ბოლოს ბანაკის წევრები აწყობდნენ პრეზენტაციებს დღის თემასთან დაკავშირებით. გაიმართა შეხვედრები ოფიციალურ პირებთან, რომლის დროსაც მოსწავლეებს მათთან გასაუბრებისა და საკუთარი აზრის თავისუფლად გამოთქმის საშუალებაც მიეცათ. მოზარდები გახდნენ უფრო აქტიურები და შეიძინეს მეტი გამოცდილება",* - ასე გაგვაცნო საზაფხულო ბანაკებში მოზარდთა საქმიანობა საქართველოს გაეროს ასოციაციის საგანმანათლებლო და ახალგაზრდული პროგრამების ასისტენტმა **თამარ თანდაშვილმა.**

*„ყველაზე მთავარი კი მაინც ის იყო, რომ ბანაკმა თავისი დანიშნულება შეასრულა, ასობით მოზარდი ერთმანეთს დააახლოვა, დაამეგობრა, გააცნო და შეაყვარა. მათ ისწავლეს ერთმანეთისათვის შთაბეჭდილებების გაზიარება, დიალოგი, დახვეწეს ერთმანეთის მოსმენის კულტურა... ეს იმის მაჩვენებელია, რომ პროგრამა წარმატებულია. ამასთან, ბავშვებმა ტრენინგების შედეგად უკვე იციან, რა არის ბავშვთა და ადამიანთა უფლებები, ტოლერანტობა, ბიზნეს-ეთიკა, რას წარმოადგენს გუნდური მუშობის პრინციპი, სამოქალაქო განათლება, ადვოკატირება, როგორ მოაგვარონ კონფლიქტები და ა.შ. მათ ამ საკითხებში მხოლოდ თეორიული ცოდნა არ მიუღიათ. ტრენინგები დატვირთული იყო პრაქტიკული დავალებებითა და სახალისო სავარჯიშოებით. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ როდესაც პროგრამა დასრულდება, მოზარდებს იმხელა ცოდნა და გამოცდილება ექნებათ, რომ შეძლებენ დამოუკიდებლად არსებობას და ეცოდინებათ, როგორ ააშენონ მომავალი"* — ამბობს რუსთავის მე-12 სკოლასთან არსებული მოზარდთა კლუბის ხელმძღვანელი **ირინა მელქაძე.**

მის აზრს **ქეთი ფერაძე** (ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია) აგრძელებს: *„ვამაყობ, რომ ასეთი კარგი თაობა მოდის. დარწმუნებული ვარ, ეს ბავშვები ჩვენი საზოგადოების საუკეთესო ნაწილი იქნებიან და გამოადგებიან ქვეყანას. მიხარია, რომ ამაში ჩვენი წვლილიც იქნება".*

სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსული მოზარდების დამეგობრება პროგრამის ერთ-ერთი საკვანძო მისიაა. საზაფხულო ბანაკები კი ამ მისიის განხორციელების საუკეთესო საშუალება აღმოჩნდა. *"მოზარდები ბანაკებში სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოვიდნენ. ჩვენ ისინი შეგნებულად განვათავსეთ ოთხებში არეულად, ანუ ერთ ოთახში სხვადასხვა რაიონის ბავშვები ცხოვრობდნენ. ეს იმიტომ მოხდა, რომ ისინი უკეთ გაცნობოდნენ ერთმანეთს და დამეგობრებულიყვნენ. დამეგობრება კი ძალიან ადვილი აღმოჩნდა. ჩვენთან არაქართველი მოზარდებიც ისვენებდნენ, რომელთაც ქართველი თანატოლები სიამოვნებით უთარგმნიდნენ ტრენინგებს და პარალელურად, ქართულსაც ასწავლიდნენ. მათი ამგვარი მონდომებითა და დამოკიდებულებით კმაყოფილი და ბედნიერი ვარ",* - საკუთარ შთაბეჭდილებებს გვიზიარებს "სიარეს-საქართველოს" წარმომადგენელი **სოფო სამუშია**.

რაც შეეხებათ თავად მოზარდებს, შთაბეჭდილებებით ისე არიან დატვირთულნი, რომ უჭირთ საუბრის დაწყება. "აქაურობა, შეძენილი მეგობრები მომენატრება, ასევე ის ადამიანური ურთიერთობები მომენატრება, რაც აქ დავინახე", - ამას ნინო ამბობს, თუმცა ბანაკის ყველა წევრი ეთანხმება მას.

## მოზარდებმა ბანაკში მარიამობის ბრწყინვალე დღესასწაული იზეიმეს

აუცილებლობელი მოთხოვნები - დილით ადრე ადგომა, ვარჯიში, მერე ტრენინგები - ბავშვებს დღის ასეთი განრიგი თავიდან რთული ეჩვენათ, თუმცა მალე მიეჩვივნენ. როგორც ყველა მოზარდს, ბანაკელებსაც განსაკუთრებით მაინც ე.წ. თავისუფალი დრო უყვარდათ. ამ დროს "ლიკანელები" თუ ოლიმპიურ ჩემპიონთან ზურაბ ზვიადაურთან საუბარში ატარებდნენ, "ახალდაბელები" "პეინტ-ბოლით" ან „განძეულის მოძიებით" იყვნენ დაკავებულნი. ამის გარდა, იყო სხვა, დაუგეგმავი ღონისძიებებიც.

მათ შორის, გამორჩეული იყო მარიამობის ბრწყინვალე დღესასწაული. მარიამობა ახალდაბის ბანაკელებმა ორიგინალურად აღნიშნეს. მათ მთელი ღამე ღია ცის ქვეშ, კოცონის გარშემო გაატარეს. ამ ღამის შემდეგ ერთმანეთისთვის უფრო ახლობლები გავხდითო, - იხსენებდნენ ბავშვები.

**ნიკოლოზი:** — ბანაკში გატარებული დღეები ჩემთვის დაუვიწყარი იქნება. აქ ყოველდღე რაღაც შთამბეჭდავი ხდებოდა, თუმცა მარიამობის საღამოს ვერაფერი შეედრება. მთელი ღამე ბანაკის ბავშვებმა ღია ცის ქვეშ, ულამაზესი კოცონის გარშემო გავატარეთ. ადრე გაცნობიერებული არც კი მქონდა ამ დღესასწაულის მნიშვნელობა. ვფიქრობ, პროგრამის ხელმძღვანელებმა ამ საღამოს ასე ლამაზად ორგანიზებით ასობით მოზარდს ქრისტიანული დღესასწაულებისადმი განსაკუთრებული პატივისცემისა და მოწიწების გრძნობა გაგვიჩინეს.

ბანაკებში ყველა ბავშვი თანასწორუფლებიანია. ალბათ, ამიტომაც არის, რომ იქ მნიშვნელოვანი მხოლოდ სახელია და ოთხასივე ბავშვი ერთმანეთს სახელებით იცნობს. გვარების დამახსოვრება ალბათ, გაგვიჭირდებოდაო, - ამბობენ. ჩვენც სახელებით გაგვეცნენ. გიორგი თბილისელია. ამბობს, რომ ვიდრე ბანაკში მოვიდოდა, ერთი მეგობარიც კი არ ჰყავდა არათბილისელი. ახლა?

**გიორგი**: - ახლა ბევრი მეგობარი შევიძინე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან და მივხვდი, რა მდიდარი და ლამაზი ყოფილა ჩვენი სამშობლო. აღმოვაჩინე, რომ ბევრი რამ არ მცოდნია ჩვენს ქვეყანაზე და რომ საკმარისი არ ყოფილა მხოლოდ წაკითხულით ან მოსმენილით მისი შეცნობა. ადამიანური ურთიერთობები კი ეს არის ბანაკში ჩემი მთავარი შენაძენი.

**ელენე:** -- აქ ჩამოსვლამდე ვფიქრობდი, რომ გამიჭირდებოდა ბანაკში ყოფნა. ახლა ბედნიერი და კმაყოფილი ვბრუნდები შინ. აქაურობა და ბანაკში შეძენილი მეგობრები მომენატრება, თუმცა პირობა დავდეთ, რომ ხშირად შევეხმიანებით ერთმანეთს. აქ დიდი გამოცდილება მივიღე, ვცდილობ, უფრო გახსნილი ვიყო და თავისუფლად გამოვთქვა საკუთარი აზრი. მოკლედ, კმაყოფილი ვარ.

**ხათუნა:** -- მომენატრება აქაურობა და გამიჭირდება აქ შეძენილი მეგობრების გარეშე, თუმცა, შინ საუკეთესო შთაბეჭდილებებით ვბრუნდები. ბანაკში საინტერესო ტრენინგები გვქონდა, რამაც დიდი გამოცდილება შემძინა. აუცილებლად გადავცემ აქ შეძენილ ცოდნასა და გამოცდილებას ჩემს მეგობრებს, თანაკლასელებსა და თანაკლუბელებს.

ბანაკში ბავშვებს მოსაწყენად დრო ნამდვილად არ რჩებოდათ. დილით ადრე დგებოდნენ, მთელი დღე ტრენინგებზე იყვნენ, მერე სექციებში მუშაობდნენ. თუმცა მათი "საქმიანობა" ხშირად დღის განრიგიდან ამოვარდებოდა ხოლმე. ეს იმ შემთხვევაში, თუ მაგალითად, სასტუმროს ეზოში ოლიმპიური ჩემპიონი **ზურაბ ზვიადაური** სეირნობდა. ჩემპიონს, რომელიც ლიკანში მსოფლიო ჩემპიონატისათვის მოსამზადებლად იყო ჩასული, ბავშვები მარტო არასდროს ტოვებდნენ, ესაუბრებოდნენ, შეკითხვებს უსვამდნენ. ზვიადაურიც არ ზარდებოდა მათ და უამრავ შეკითხვას პასუხობდა.



**ზურაბ ზვიადაური**: - "ლიკანში მსოფლიო ჩემპიონატისათვის ვემზადებით. აქ 24 აგვისტოს ჩამოვედით. მეორე დღეს ბანაკის ბავშვები ჩამოვიდნენ და მას მერე ყველაფერი შეიცვალა. ძალიან კარგები არიან, მათთან ურთიერთობამ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს ის თაობაა, რომლისთვისაც სულ ერთი არ არის საკუთარი ქვეყნის მომავალი. ეს მათთან საუბარშიც იგრძნობა. უამრავ თემაზე ვსაუბრობთ, ბევრს მეკითხებიან, ზოგს სპორტი აინტერესებს, ზოგიც ჩემი ჰობით ინტერესდება, მოკლედ, ჩემს შესახებ ყველაფრის გაგება სურთ. მათთგან სიყვარულსა და თანადგომას ვგრძნობ. მიხარია, რომ ასეთი ბანაკები არსებობს, სადაც სხვადასხვა კუთხის ბავშვებს შესაძლებლობა აქვთ, უკეთ გაეცნონ ერთმანეთს და დამეგობრდნენ. მნიშვნელოვანია, რომ დასვენებასთან ერთად ისინი გარკვეულ ცოდნასა და გამოცდილებასაც იღებენ. სპორტით რომ არ ვიყო დაკავებული და ასაკიც ხელს მიწყობდეს, უარს არ ვიტყოდი ამგვარ ბანაკში დასვენებაზე".

ბანაკური ცხოვრების კიდევ უფრო გასახალისებლად ბავშვებმა ე.წ. "ლავბოქსის" მეთოდი დანერგეს. ერთ ყუთში თავსდება ბანაკელთა სასიყვარულო წერილები და მერე მათ აუდიტორიის წინაშე კითხულობენ. ასე ირკვევა, ვინ არიან ბანაკელთა ფავორიტები.

ყველა ბანაკელი კი ბორჯომის ხეობის ტრფიალი გახდა. "ლიკანი ყველაზე ლამაზი ადგილია საქართველოში, - ამტკიცებენ ლიკანის ბანაკელები, "ახალდაბელებს" კი ახალდაბა ურჩევნიათ. ერთში კი ყველა თანხმდება - ლიკანსა და ახალდაბაში გატარებული ათი დღე მათ ცხოვრებაში სასიამოვნო მოგონებად დარჩება, რადგან აქ უამრავი მეგობარი შეიძინეს და თანაც, ბანაკებში მიღებული ცოდნა და გამოცდილება აუცილებლად გამოადგებათ საკუთარი უბნის, თემის, ქალაქისა



თუ მთლიანად ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში. პროგრამის მიზანიც ხომ სწორედ ეს არის. **"ბანაკის წევრებმა უამრავი მეგობარი შეიძინეს, თან ბევრი რამეც ისწავლეს. ამგვარი ბანაკები, ამერიკის მთავრობის დახმარებით, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში იმართება. ეს თვით ამერიკელი ბავშვების სურვილია. ასე ვიტყოდი, ეს არის ამერიკელი ბავშვების საჩუქარი ქართველი ბავშვებისთვის", - განმარტავს** USAID**-ის კავკასიის მისიის დირექტორი დენი რობერტსონი.**

ამგვარ გართობასა და დასვენებას სოლიდარობას ესტრადის ქართველი მომღერლებიც უცხადებენ. ლიკანში ჩამოსული ნეკა სებისკვერაძე და ქრისტინე იმედაძე ბავშვებთან შეხვედრის შემდეგ კმაყოფილებას ვერ მალავდნენ.

**ნეკა სებისკვერაძე;** - "მივესალმები ასეთი ბანაკების არსებობას. მსგავს ბანაკებში მეც ვარ ნამყოფი ბავშვობაში და ყოველთვის ძალიან მიყვარდა. ვფიქრობ, ეს დამეგობრების საუკეთესო საშუალებაა. აქ იმიტომ ჩამოვედი, რომ მათ გვერდით ვიყო და მხარი დავუჭირო ამ საქმეში".

**ქრისტინე იმედაძე:** - "ბავშვებს ველაპარაკე და მითხრეს, რომ აქედან წასვლა აღარ უნდათ, რადგან გარდა იმისა, რომ ბევრი მეგობარი შეიძინეს, ბევრიც გაიგეს და ისწავლეს. ამბობენ, ამ ცოდნას ჩვენს თანატოლებს გადავცემთო. ასეთ მონდომებაზე უკეთესი სხვა რა უნდა იყოს?"

ძნელია ბანაკში მიღებული შთაბეჭდილებების მოკლედ გადმოცემა და შეფასება. მაინც ვეცადეთ და ამაში ახალგაზრდული პროგრამების კოორდინატორის **ბელა კოპალიანის** სიტყვები მოვიშველიეთ: **"ბანაკებში გატარებული თითოეული დღე საოცარი იყო. წარმოიდგინეთ, 400 მოზარდი ბანაკში და აქედან არცერთი უკმაყოფილო. ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ პროგრამამ "ვაშენოთ მომავალი" თავისი სიტყვა თქვა!"**

## რას წერენ ჩვენზე

**ჟურნალი "რეიტინგი" — ბუკლეს ამბები:** მინდა გითხრათ, ისე დამევასა მოზარდების თამაშობანი და გართობა, ვიფიქრე, იქნებ ასაკი მოვიკლო და დავრჩე-მეთქი, მაგრამ მერე მასალებს ვინღა დაწერდა? მოკლედ, გართობას საქმე ვარჩიე და წვიმიან თბილისში დავბრუნდი. მოზარდები კი მართლა მაგრად ისვენებენ. "ნიკოლშოუს სიმღერაც გაუჯაზებიათ და მშობლებს ასე შეგვეგებნენ — "გამოვა ეს ბანაკი ყველაზე მაგარი". ლიკანში დამსვენებელ თინეიჯერებს განსაკუთრებით ის ახარებთ, რომ შეუძლიათ [illegible]ერა ოლიმპიურ ჩემპიონს ზურაბ ზვიადაურს გაესაუბრონ... ახალდაბელთა ბანაკური ცხოვრებიდან კი ყველაზე მეტად ე.წ. "ლავბოქსებით" მოვიხიბლე. უფროსკლასელები ყუთში სასიყვარულო წერილებს ყრიან და ერთმანეთისადმი სიმპატიებს გამოხატავენ. მოგვიანებით, ფართო აუდიტორიის წინაშე ხმამაღლა იკითხება, ვინ ვისით არის მოხიბლული. მოკლედ მაგარი საკაიფო რამეა...

**გაზეთი "24 საათი" — ნანა ქადაგიშვილი:** - უზარმაზარი, წიწვოვან-ფოთლოვან-ტყიანი მთების რკალში მოქცეული ბანაკები, სადაც ყოველი დღე გამჭვირვალე ჰაერზე დილის გამამხნევებელი ვარჯიშით იწყება და უამრავი სიახლითა და მოგონებებით მთავრდება, ჩვენთვისაც ერთ დღეში იქცა ზღაპრულ ადგილად. ბანაკის დამსვენებლები მოზარდთა კლუბებიდან ტესტირების შედეგად შეარჩიეს. ტესტირება მხოლოდ წარჩინებული მოსწავლეების გამოსავლენად არ ჩაუტარებიათ. ბანაკებში ის მოზარდები მოხვდნენ, ვისაც ყველაზე მეტად უნდოდა და სჭირდებოდა იქ ყოფნა...

**გაზეთი "ახალი ვერსია" — ია შაშვიაშვილი:** პროგრამის "ვაშენოთ მომავალი" მთავარი ამოცანაა, მოზარდებმა მიღებული ცოდნა, გამოცდილება და გამომუშავებული პასუხისმგებლობის უნარი სკოლის და საკუთარი ქვეყნის საკეთილდღეოდ მიმართული პროექტების განსახორციელებლად გამოიყენონ. თავის მხრივ, პროგრამა დაეხმარება მოზარდებს ინიციატივების განხორციელებაში და ყოველწლიურად თითოეულ კლუბს მისცემს მცირე-საგრანტო პროგრამის გამოყენების საშუალებას. კლუბის წევრებს საქმიანობაში, არჩევანსა და გადაწყვეტილების მიღებაში სრული თავისუფლება აქვთ მინიჭებული და მართვას დამოუკიდებლად ახორციელებენ.

**გაზეთი "ხვალინდელი დღე" — ნინო ნონიაშვილი:** ორგანიზატორების განცხადებით, ეს პროგრამა არის ამერიკელი ხალხის საჩუქარი ქართველი ბავშვებისათვის, რათა მოხდეს მათი დაახლოება-დამეგობრება. პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს მოზარდებს ჩაერთონ ქვეყნის დემოკრატიის მშენებლობისა და სტაბილურ განვითარებაში... საზაფხულო ბანაკებში ყოველწლიურად 10 დღის განმავლობაში, 400-მდე მოზარდი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან ახალ მეგობარს, გამოცდილებასა და უნარ-ჩვევებს შეიძენს. ამასთან, დაისვენებს კარგად ორგანიზებულ, უსაფრთხო და სასიამოვნო გარემოში.

**გაზეთი "Свободная Грузия" — ალექსანდრე თარხნიშვილი:** პროგრამის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს ყოველწლიური "საზაფხულო ბანაკები", სადაც სპეციალური ტესტირების საფუძველზე შეიძლება მოხვდნენ მხოლოდ უფროსკლასელები სხვადასხვა მოზარდთა კლუბებიდან. სწავლასთან ერთად, სხვადასხვა რეგიონებიდან ჩასულმა 400-მდე მოზარდმა 10 დღის განმავლობაში შეიძინა ახალი მეგობარი, მიიღო ცხოვრებისეული გამოცდილება და დაისვენა უსაფრთხო და სასიამოვნო გარემოში.

**გაზეთი "Georgia Today" — მარიამ კობალაძე:** აშშ-ს განვითარების სააგენტოს (USAID) კავკასიის მისიის ხელმძღვანელის დენი რობერტსონის თქმით, ახალგაზრდობა წარმოადგენს ქვეყნის მომავლის ფორმირების ნაწილს. მათ ნამდვილად სჭირდებათ ერთმანეთთან ურთიერთობა, დაახლოება, ახალი და მათთვის უცნობი უნარ-ჩვევების გათავისება, ახალი მეგობრების შეძენა ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან, მათი კულტურისა და ტრადიციების გაცნობა.

**გაზეთი "ახალი თაობა" — შორენა კოკორაშვილი:** პროგრამის ფარგლებში 15-17 წლის მოზარდებს შესაძლებლობა აქვთ, ჩაერთონ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მომზადებულ ტრენინგებსა და ღონისძიებებში, რომელიც გააღრმავებს მათში ერთმანეთის ურთიერთგაგებასა და პატივისცემას. გარდა სწავლებისა, საზაფხულო ბანაკის პროგრამა ითვალისწინებდა სპორტული და გასართობი ხასიათის თამაშობების მოწყობას, როგორიცაა "პეინტ-ბოლი" და "საგანძურის მაძიებლები", ფუნქციონირებდა ცეკვის, ხატვის, სპორტული წრეები და იმართებოდა სხვადასხვა სახის პრეზენტაციები.

# მედია-ტური საგაზაფხულო ბანაკებში

**2 სექტემბერს ახალდაბისა და ლიკანის საზაფხულო ბანაკებში მედია-ტური მოეწყო, რომელშიც მას-მედიის თითქმის ყველა წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას.**

ჟურნალისტები გაეცნენ ბანაკის ცხოვრებას, გაესაუბრნენ "მოზარდთა კლუბების" წევრებს, მათ ხელმძღვანელებს, იმ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომლებიც ათი დღის განმავლობაში ბანაკის წევრებს მრავალფეროვან თემატურ ტრენინგებს უტარებდნენ და საერთო ძალებით სხვადასხვა სახის პრეზენტაციებსა და ღონისძიებებსაც აწყობდნენ. როგორც აღვნიშნეთ, ბანაკური ცხოვრება სპორტულ და გასართობი ხასიათის თამაშობებსაც ითვალისწინებდა, როგორიცაა "პეინტ-ბოლი" და "საგანძურის მაძიებლები".

ბანაკებში ჟურნალისტების სტუმრობა "პეინტ-ბოლის" თამაშით დასრულდა. მართალია, შერკინებაში ჟურნალისტებმა გაიმარჯვეს, თუმცა ბანაკელებს წყენა გულში არ ჩაუდვიათ და სამახსოვრო ფოტოც გადაიღეს.

"საერთოდ, ბანაკი დამეგობრობის საუკეთესო საშუალებაა. ბავშვებმა გაგვიმხილეს, რომ არცერთს აქედან წასვლა არ სურს, ჩვენც გული დაგვწყდა, რომ 17 წლის ასაკს კარგა ხანია გადავაბიჯეთ... მთების რკალში მოქცეული ბანაკები, სადაც ყოველი დღე სუფთა ჰაერზე გამამხნევებელი ვარჯიშით იწყება და უამრავი სიახლით სრულდება, ჩვენთვისაც ერთ დღეში იქცა ზღაპრულ ადგილად" — ასეთი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ ჟურნალისტები წვიმიან თბილისში, სადაც უამრავი საქმე ელოდათ, უპირველესად კი, ნანახის ფურცელზე გადატანას ჩქარობდნენ. ასე რომ, მათ გართობასა და დასვენებას ისევ საქმე არჩიეს, იმ იმედით, რომ მედია-ტურში მონაწილეობას მომავალ წელსაც მიიღებენ.



CRS CATHOLIC RELIEF SERVICES
UNAG

# გათავისუფლება

## ბესიკ ხარანაულის ახალი წიგნის გამო

დათო მაღრაძე

### წინათქმა

წინათქმით ვიწყებ ჩემს მცირე ჩანაწერს, შთაბეჭდილებას ბესიკ ხარანაულის ახალი წიგნის შესახებ - "ეპიგრაფები დავიწყებული სიზმრებისთვის". წინათქმით ვიწყებ, რადგან წინად სთქვა პოეტმა:

"მე მამავლი ვარ, შენ რომ მიმხატე
ჭრელ ფარდაგზე,
მომწყინდა და ძირს ჩამოვფრინდი".

ეს სტრიქონები ახალი წიგნის წინასიტყვაობად მივიჩნიე. ხოლო რაც შეეხება ახალ წიგნს, ის მოგვითხრობს ფარდაგიდან ჩამომხტარი, საკუთარი ფრთების ჯვარზე გაკრული პოეტი რა გზით, რა ცხოვრებით ბრუნდება მშობლიურ მხარეში - ასე ძოწი, ან ფირუზი უბრუნდება კარედში ბუდეს.

ფარდაგიდან ჩამოფრენილი პოეტი წავიდა დიდ ქალაქში. თან წაილო საკუთარი ლექსების რვეული, რომელიც 8-10-ისა და 14-15-ის (ესენი პერსონაჟებია, - ბესიკ ხარანაული სხვადასხვა ასაკში) განცდასა და შთაბეჭდილებას ინახავდა. წავიდა... და მას მერე წვეთ-წვეთად, ნაწილ-ნაწილ მიჰქონდა ფარდაგის სიუჟეტები, სურნელება, ჭრილობები და სიხარული. წვეთ-წვეთად მიჰქონდა და არა ყველაფერი ერთად, რადგან ყოველივეს ერთი ნათქვამი ვერც დაიტევს და მეორეც, - სადღაც გამუდმებით ცოცხლობს ეჭვი, ვინ იცის, დიდმა ქალაქმა ყველაფერს ერთად შეაქციოს ზურგი და არ გახდეს შენი ტკივილისა და დღესასწაულის გულისხმიერი თანაზიარი. ვინ იცის, რამდენ რამეს არ გაიტან დიდი ქალაქის სამსჯავროზე, რამდენ რამეს უთქმელს დატოვებ, რომ დიდი ქალაქი მთელი სიმძიმით არ დააწვეს შენს წრფელ, ფაქიზ სულიერ კავშირებს მშობლიურ წიაღთან.

წინამდებარე რომანი კი ყოველი ზემოთქმული ეჭვის მისხალისგანაც გათავისუფლების წიგნია. ეს არის წიგნი, სადაც პოეტი აგინებს იმ ერთადერთ სიმართლეს, რომელიც დიდ ქალაქზეც მეტია, განაპირა პროვინციაზეც და მათ თანაარსებობაში ჩამალულ უხერხულობებზეც.

წინათქმის დასაწყისში ჯვარცმა ვახსენე, მაგრამ მიმაჩნია, რომ "ეპიგრაფები დავიწყებული სიზმრებისათვის" არ არის ჯვარცმის წიგნი. ის უფრო გარდამოხსნის წიგნია.

### ავტოპორტრეტი

ის, რაც ბესიკ ხარანაულის ახალ წიგნში ამოვიკითხე, არა ვარ დარწმუნებული, რომ ყოველივე აღნიშნულ წიგნში წერია. ზოგი რამ შესაძლოა მომეჩვენა, ან ჩემში იყო და მეგონა, რომ ახალ წიგნში ამოვიკითხე, ანდა პირიქით...

ერთი კი ეჭვგარეშეა, რაც ახალ წიგნში ამოვიკითხე, ამ წიგნში თუ არა, ამ წიგნით ამოვიკითხე.

ერთ დილას, როცა ხარანაულების დიდმა ოჯახმა გაიღვიძა, მაგიდაზე წიგნი დახვდათ, წიგნი მათ შესახებ. თითოეული მათგანი ამ წიგნის ავტორიც იყო და ამავე დროს პერსონაჟიც, უფრო მართებულად - გმირი.

ხარანაულებმა კენჭი ჰყარეს, ვინ დაწერილიყო წიგნის ავტორად.

კენჭისყრის შედეგი:

ავტორი - ბესიკ ხარანაული.

სათაური - "ეპიგრაფები დავიწყებული სიზმრებისათვის".

ბესიკ ხარანაულმა დაწერა წიგნი, რომელსაც ჟანრობრივად სხვათა ენაზე რომანი ჰქვია, ჩემებურად კი ბესიკ ხარანაულის სულიერი თავგადასავალი.

"ეპიგრაფები დავიწყებული სიზმრებისათვის" სარკესა ჰგავს, რომელშიც დიდმა ოჯახმა, დიდმა სამყარომ ჩაიხედა. უფრო მეტად კი ჰგავს ოჯახურ ფოტოს, ოღონდ სხვა ოჯახური ფოტოებისაგან ის განასხვავებს, რომ ოჯახის წევრები ფოტოს გადასაღებად თავიანთ ეზოში არ დამსხდარან საგანგებოდ გამოწყობილნი. არც არავის ულვაში აუპრეხია, არც გაცვეთილი კაბა დაუმალავს ვინმეს მოსასხამის ქვეშ. არც ფოტოატელიეში წასულან და ბუტაფორიის წინ განლაგებულან. ამ ფოტოს გადაღებისას ავტორ-ფოტოგრაფს არ შეუძახია: - მოემზადეთ, ვიღებო!

ავტორ-ფოტოგრაფი თავად ჩადგა ოჯახის შუაგულში, დიდი სამყაროს შუაგულში და ფოტოობიექტივისკენაც მხოლოდ ერთი - ავტორი იყურება. დანარჩენები თავიანთი ცხოვრებით არიან გართულნი და ეჭვიც არა აქვთ, რომ ფოტოს უღებენ.

წიგნის ავტორ-პაპარაცს არ სჭირდება სადმე დამალვა, ან ჩასაფრება, რათა თავისიანების სულის მოძრაობის შენიღბული ლაბირინთები გააშიშვლოს და შემდეგ სამწერლო ლაბორატორიაში გაამჟღავნოს და დაბეჭდოს. მას ყველა ენდობა, რადგან ყველამ იცის, ყველა გრძნობს, რომ ავტორს ისინი თავდავიწყებით უყვარს, რომ ავტორი ერთი მათგანია და მათის მეშვეობით, მათი წყალობით საკუთარ პორტრეტს ქმნის და ძერწავს.

ლურჯა-ღმერთისაგან, ფშავ-ხევსურეთის სალოცავებისაგან, სასწორჩარექთა მქონეთაგან ერთ დროს გზადალოცვილი და წასული ავტორი ბრუნდება მშობლიურ მხარეში. ნახეტიალებმა, დიდი ქალაქის ცხოვრებით ნაცხოვრებმა უკვე სამუდამოდ იცის, რომ ერთადერთი სიმართლე მშობლიური წიაღია. თუ არ წახვალ, ვერც დაბრუნდები...

ერთ დროს გზადალოცვილი და წასული 8-10-ისა და 14-15-ის ბესიკი ბრუნდება და ბრუნდება არა როგორც დანარჩენასაკოვანი, არამედ ერთი მთლიანი და დაუნაწევრებელი. ბრუნდება და უკანა გზაზე იმარჯვებს ყველა იმ უხერხულობაზე, რაც ჰქონია ცხოვრების გზაზე, რაც საწერად აქამდე იქნებ საჩოთიროდაც გვეჩვენებოდა.

ბრუნდება და უკანა გზაზე იმარჯვებს "სირცხვილზე" და თავად მეშჩანურ სირცხვილობას აქცევს სამარცხვინო რამედ.

წიგნი დაიწერა, როცა გულწრფელობის გარდა ყველაფერი სირცხვილია.

როცა პოეზიის გარდა სხვა დანარჩენი - სირცხვილია.

პოეზიაა, როცა პოეტი თავისუფლდება თავისი გათავისუფლებით, როცა სხვა ყველასაც ათავისუფლებს.

ათავისუფლებს გარდაცვლილ დედას აკვიატებული ხილვებისაგან, რასაც მოგონებას ვერ დაარქმევ. გადაჭრის ჭიპლარს და მხოლოდ თავისუფლებაში გასული, გადარჩენილი სრულფასოვნად ერწყმის 8-10-ისას და 14-15-ისას.

გათავისუფლებამდეც თითქმის სულ ერთად არიან 8-10-ისა, 14-15-ისა და დანარჩენსაკოვანი, ერთ მთლიანობად გრძნობენ თავს, გარდა ერთი საბედისწერო შემთხვევისა.

დედის გარდაცვალებაზე პოეტი დგას, როგორც მხოლოდ დანარჩენასაკოვანი. ალბათ, 8-10-ისა, 14-15-ისა დასაობლებლად არ გაიმეტა. ამ ეპიზოდში ბედი გაიყო, რათა სამუდამოდ შეერთდეს.

8-10-ისასთან და 14-15-ისასთან ერთ დიდ ჰარმონიად შერწყმა ხდება გათავისუფლების შემდეგ, როცა პოეტი აკვიატებული ხილვების ნაცვლად, საპირისპიროდ სულის უკვდავების იდეას ჩაისახლებს.

P.S.

რომანში "ეპიგრაფები დავიწყებული სიზმრებისათვის" ერთგან ვკითხულობთ: "ცხოვრების ფიცარნაგზე ორ მოქმედ პირს უნდა ეთამაშა - გიჟსა და სოფელს". ეს სიტყვები შესაძლოა ასეც გამოითქვას, ან დაიწეროს - პოეტსა და სოფელს.

და თუ ასეა, პოეტი უკვე ავიდა ფიცარნაგზე.

რაც შეეხება სოფელს, იგი მუდამ ფიცარნაგზეა და პოეტის ასვლას ელოდება.

ორივე ერთად კი, პოეტიცა და სოფელიც, პარტერში მკითხველს უხმობენ.

მაშ, იჩქარე და დაიკავე შენი ადგილი მკითხველო, ამ წიგნით დიდებული წარმოდგენა გელის.

# ლაშა და პატრული

**ლაშა ბუღაძე**: დღეს ჩვენი გადაცემა მიეძღვნება პატრულს. ჩვენი სტუმარია მაიზერ ლიპარტელიანი, და ყველასთვის ცნობილი მუსიკოსი პანჩო.

პატრული ხელისუფლების ძალიან წარმატებული ნაბიჯია. ბევრი ადამიანი აღნიშნავს იმას, რომ პოლიციისგან სხვანაირ დამოკიდებულებას იყო შეჩვეული, სხვა ტიპის ტონი იყო, ლექსიკაც. დღეს სიტუაცია შეიცვალა, ყველა ხაზს უსვამს, რომ პატრული უფრო თავაზიანია და ეთიკური.

ბატონო მაიზერ, რა ჯილდო მიიღეთ გუშინ?

**მაიზერ ლიპარტელიანი**: მადლობა მინდა გადავუხადო პრეზიდენტს, შინაგან საქმეთა მინისტრს და ყველას, ვინც ჩემს მიმართ სითბო გამოიჩინა. დიდი მადლობა თქვენც მოწვევისთვის.

რაც შეეხება ჯილდოს, რომელიც გადმომცეს, მიჭირს ამაზე საუბარი, ვერ გამიცნობიერებია, რამხელა ნდობა და სიხარული გამოავლინეს ჩემს მიმართ. ეს არის ოროთახიანი საცხოვრებელი ბინა მეტრო "ახმეტელის" მიმდებარე ტერიტორიაზე.

**ლაშა ბუღაძე**: კიდევ დაჯილდოვდა რამდენიმე სხვა პატრულიც, იქნებ შეგვახსენოთ მათ შესახებაც.

**მაიზერ ლიპარტელიანი**: საპატრულო პოლიციის ოთხ თანამშრომელს საჩუქრად გადაეცა ავტომანქანა "ნივა", ჩემს გარდა ბინით დაჯილდოვდა ქალაქის საპატრულო პოლიციის ხელმძღვანელი გიორგი გრიგალაშვილი. თუ არ ვცდები, ათასამდე პატრულ პოლიციელს წოდებრივი ჯილდოები ხვდათ წილად.

**ლაშა ბუღაძე**: პრეზიდენტმა თქვა, რომ დაწყვილდნენ კიდეც პატრულში.

**მაიზერ ლიპარტელიანი**: პატრულის პირველი წყვილი "ნივით" დაჯილდოვდა.

**პანჩო:** თქვენ პირადად რისთვის დაგაჯილდოვეს?

**მაიზერ ლიპარტელიანი**: თავიდან ვიყავი ოცმეთაური, ჩემმა ოცეულმა თავი გამოიჩინა ბევრ შემთხვევებში დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, შემდეგ ასმეთაურის მოვალეობის შემსრულებლად ვიმუშავე და ორივე პერიოდში ნაყოფიერი შრომის შედეგი იყო, ალბათ, ის, რომ დავჯილდოვდი.

**პანჩო:** ესე იგი, ოცეულის დამსახურებაც ყოფილა.

**მაიზერ ლიპარტელიანი**: რა თქმა უნდა, ისინი გვერდით დამიდგნენ და მათი დახმარებით შევძელი მთელი რიგი სამუშაოების შესრულება.

**ლაშა ბუღაძე**: როცა ხელისუფლების პოზიტიურ ნაბიჯებზე ლაპარაკობენ, პირველ რიგში, შემოიფარგლებიან პატრულის და განათლების რეფორმით. სხვა სფეროების მიმართ საზოგადოება კრიტიკულია და ეს ცალკე თემაა. პანჩო, შენი დამოკიდებულება როგორია პატრულის მიმართ? ადრე იყო სტერეოტიპი, რომ მილიციელებს ეძახდნენ ძაღლებს, ახლა ეს ტერმინიც კი გაქრა ლექსიკიდან.

**პანჩო**: მე, როგორც მოქალაქე, კმაყოფილი ვარ, იმით, რომ თბილისში აღარ არიან ძაღლები. ადრე ამ ტერმინს იყენებდნენ იმიტომ, რომ მილიციაში უზრდელი და გაუნათლებელი ხალხი ხალხი მუშაობდა და ეს იწვევდა იმას, რომ არასასურველი ურთიერთობა ყალიბდებოდა მილიციასა და მოსახლეობას შორის. პატრული კი, როგორც მე ვიცი, ზრდილობიანი და თავის საქმის მცოდნეა. "ბუკიას" ბაღთან ვცხოვრობ, ყოველ ღამე ოცი წლის განმავლობაში იყო ჩხუბი, ექსცესები. ეხლა რომ გადავხედავ ხოლმე, ვგრძნობ, როგორი სხვანაირი სიტუაციაა. მილიცია სულ სხვაგვარად მოქმედება, მოვარდებოდნენ, ჩაყრიდნენ მანქანებში, ცემდნენ, განყოფილებაში წაიყვანდნენ. გუშინაც მოხდა რაღაც, მოვიდა 5-6 მანქანა, ზრდილობიანად ელაპარაკნენ, დააწყნარეს და გაუშვეს. ძალიან გამიკვირდა, ადრე ეგეთი რაღაცეები არ ხდებოდა.

**ლაშა ბუღაძე**: ბატონო მაიზერ, როგორ მოხდა პატრულის შერჩევა, რა ტრენინგები გაიარეს და რა კრიტერიუმების დაკმაყოფილება მოუხდათ?

**მაიზერ ლიპარტელიანი**: მიუხედავად იმისა, რომ ბატონო ლევან, თქვენს მიმართ დიდი სიმპათიები გამაჩნია, უნდა გეკამათოთ. მილიციას, რომელიც პატრულამდე მუშაობდა, ნამდვილად ვერ ვუწოდებ გაუნათლებელს. ძალიან ბევრი ღირსეული ადამიანი იყო მათ შორისაც. თუმცა, ცხადია, იყო რაღაც მიზეზები რაც მილიციელი-ძაღლის სტერეოტიპს ქმნიდა.

პატრული კი ტესტების საფუძველზე შეირჩა. მოთხოვნა იყო უმაღლესი განათლება, უნდა სცოდნოდათ მინიმუმ ორი ენა, უნდა ყოფილიყვნენ კომუნიკაბელურნი. ვიცი, რომ შემფასებლები ძალიან ბევრი სტრუქტურიდან იყვნენ მოწვეულნი. ძალიან ბევრი იყო მსურველიც,.

**ლაშა ბუღაძე**: ძირითადად, ეს დამოკიდებული იყო ანაზღაურებაზე, ალბათ.

**მაიზერ ლიპარტელიანი**: მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც გაცილებით ნაკლებ ხელფასსზეც პასუხისმგებლობით მოეკიდებოდნენ საქმეს. საზოგადოების დამოკიდებულებაც შეიცვალა. როცა გრძნობ, რომ ადამიანი გენდობა, გიღიმის, გესალმება - ეს სტიმულს გაძლევს, რომ ემსახურო ხალხს, მეტი ენთუზიაზმით, გაძლევს იმის ძალას, რომ ბოროტება და განსაცდელი აარიდოს საზოგადოებას.

**ლაშა ბუღაძე**: გაჩნდა ნდობა პატრულის მიმართ, ეს ფაქტია. იყო დრო, როცა ხალხი დასახმარებლად კრიმინალურ ავტორიტეტს მიმართავდა, რამდენად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახლა პირველ რიგში ხალხი პატრულს მიმართავს?

**პანჩო**: ადრე მანქანების გატაცების უმეტესი შემთხვევა მილიციასთან იყო დაკავშირებული, თვითონ იპარავდნენ და თვითონვე აბრუნებდნენ. ეხლა ეს რამდენადაც ვიცი, არ ხდება. რაც არ უნდა მოხდეს ქუჩაში, მიმართავ პატრულს - ხალხი მიეჩვია ამას.

**მსმენელი**: ვფიქრობ, რომ პატრულმა გაამართლა. სტატისტიკას თუ დავუჯერებთ, ქვეყანაში იმატა დანაშაულებათა რიცხვმა, მაგრამ ეს ყველაფერი კონტროლდება და იძიება. მაგრამ ხდება ისეც, რომ პატრულს არ მიმართავენ. ვთქვათ, მუხიანში რომ ვილაცას მობილურ ტელეფონს "ახევენ", რატომ არ ატყობინებს ის პატრულს?

**მაიზერ ლიპარტელიანი**: სტატისტიკა, რომელიც დღემდე არსებობდა, არ იყო რეალური. რომ ვივარაუდოთ, დანაშაულის 80 პროცენტი არსად არ იყო დაფიქსირებული იმიტომ, რომ ალბათ, მართლაც რაღაც გეგმა ჰქონდათ შესასრულებელი. ახლა კი ყოველ დანაშაულზე, რომელიც პატრულის ყურამდე მივა, აუცილებლად ხდება რეაგირება. დღეს არავითარი გეგმა არ არსებობს. რაც შეეხება პიროვნებას, რომელსაც მუხიანში მობილურს "ახევენ", მინდა, ვუთხრა, რომ უნდა მიმართოს პატრულს და ჩვენ შევეცდებით, დავეხმაროთ. ყველანი ერთმანეთს უნდა გვერდში დავუდგეთ.

**პანჩო:** აი, მაგაზე მინდა, გეკამათოთ. არ მომწონს ეს ჩაშვების ინსტიტუტი. გენეტიკურად არ მოგვდევს ეს ქართველებს, ღალატი ჩვენს გენეტიკაში არ დევს და მშიერ კაცს რომ ეტყვი, რომ ათას ლარს მოგცემ და ვიღაც ჩაუშვიო...

**ლაშა ბუღაძე**: მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როცა შენს თვალწინ ხდება დანაშაული და არაფერს ამბობ, სწორედ ასეთი სტერეოტიპის გამო.

**პანჩო:** სხვა რამ ვიგულისხმე: როცა შენ ათასი ლარი გინდა და ეძებ იმას, რომ ვინმე ჩაუშვა, ეს არ არის მოსაწონი.

**მაიზერ ლიპარტელიანი**: მინდა, კითხვით მოგმართოთ. ის თუ ზის ჩვენს მენტალიტეტში, რომ როცა ხედავ როგორ აყაჩაღებენ ქუჩაში მანდილოსანს, თვალი დახუჭო და გზა გააგრძელო?

**პანჩო:** ეგ რა თქმა უნდა, ცუდია, მაგრამ როცა ვილაცას ეძებ, რომ დააბეზღო, ეგ სხვა რამეა.

**დათო ოქიტაშვილი**: გადაჭარბებული შეფასება არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ პატრული ერთადერთი პროექტია, რომელიც ნორმალურად ვითარდება. არის ხარვეზებიც, მაგრამ დროთა განმავლობაში დალაგდება. ეს ბიჭები მართლაც ძალიან ბევრ რამეს აკეთებენ. როგორც იცით, წელს ზღვაზე მოხდა ასეთი შემთხვევა: ბავშვები რომ გადაერჩინათ, პატრულმა თავი გაწირა.

**ლაშა ბუღაძე**: ზუსტად ახლა ვლაპარაკობდით მტკივნეულ თემაზე. პანჩო ფიქრობს, რომ როცა ჯილდოს უწესებ რაღაც ინფორმაციის სანაცვლოდ მოქალაქეს, ეს კარგი არ არის. შენი აზრი როგორია?

**დათო ოქიტაშვილი**: მეც წინააღმდეგი ვარ მსგავსი ინსტიტუტის. შეიძლება უდანაშაულო კაცს დასწამონ ცილი. ქართველებს სხვა მენტალიტეტი გვაქვს.

**ლაშა ბუღაძე**: თუმცა, ალბათ, ტერმინი უნდა განისაზღვროს. რას ვგულისხმობთ, როცა ვამბობთ ამ სიტყვას - "ჩაშვებას".

**პანჩო**: ვთქვათ იხდიან 30 ათას დოლარს ვილაცის მოსაძებნად - ეს სხვა მომენტია. მაგრამ რომ იძახი, რომ ათასი ლარი ყველას, ვინც ვილაცას ჩაუშვებს, ეს არ არის მართებული.

**ლაშა ბუღაძე**: თუმცა, ბატონმა მაიზერმა ახსენა, რომ არის ხანდახან კონკრეტული კრიმინალი, რომელსაც შემთხვევით შეესწრები, ამ შემთხვევაში როგორ მოიქცევა ადამიანი? ვთქვათ, დაინახე, რომ მანქანის მძღოლმა გაიტანა ფეხით მოსიარულე და მიიმალა. დარეკვა იქნება ჩაშვება?

**პანჩო**: ყველა სხვადასხვაგვარად მოიქცევა. ინდივიდუალურია. ზოგი დარეკავს, ზოგი - არა. თუ აბეზღებ, მაშინ იქნება ჩაშვება.

**მსმენელი**: მე პატრულს ხშირად ვხედავ მეტროში. იქნებ უბნებსა და გარეუბნებშიც იყოს პატრული, რათა სიტუაცია გააკონტროლონ.

**მაიზერ ლიპარტელიანი**: რამდენადაც ვიცი, მიმდინარეობს მუშაობა იმ თვალსაზრისით, რომ უწინ არსებული უბნის რწმუნებულის ინსტიტუტი აღდგეს.

**მსმენელი:** ცვლილება არ არის მხოლოდ ის, რომ პოლიციელებს აცვიათ ახალი ფორმა, დადიან ახალ მანქანებში, ახალგაზრდები არიან. ცვლილების არსი მდგომარეობს საზოგადოებისადმი დამოკიდებულებაში. თუ ჩვენ ვიტყვით რაღაცეებზე, რომ ეს ჩვენს მენტალიტეტში არ ზის და არ ვითანამშრომლებთ პატრულთან და დავარქმევთ ამას ჩაშვებას, ვფიქრობ, რომ ეს კეთილგანწყობა დიდხან არ გასტანს და საზოგადოებაში კვლავაც ჩამოყალიბდება აზრი, რომ პოლიცია არ იცავს ჩვენს უფლებებს და დავბრუნდებით ისევ წარსულში. ვფიქრობ, რომ ეს ფულადი წახალისება იმ ადამიანების გამოვლენის მიზნით, რომლებიც წამლავენ ჩვენს ახალგაზრდებს, სწორია.

**პანჩო:** ვთქვათ ვილაც ვილაცას ჩაუშვებს, ის მერე ავტომატურად თქვენი აგენტი ხდება თუ არა?

**მაიზერ ლიპარტელიანი**: ეს ჩემს პრაქტიკაში არ ყოფილა. წარმოშობით სვანი ვარ, დაბადებული და გაზრდილი ვარ იქ და როგორც იცით, სულ სხვა მიდგომაა იქ. როგორც ქართველს, შეიძლება არ მსიამოვნებს, რომ ვილაც ვილაცას აბეზღებს, მაგრამ მეორე საკითხია - იმ დამბეზღებელს მიეცემა თუ არა საშუალება, რომ ეს ქმედება ჩაიდინოს, მაგრამ თუ მაგ კუთხით ვსაუბრობთ, თუ არ მიეცა ამის საშუალება ხომ მაინც ჩამშვებია?

**პანჩო**: მართალია, მაგრამ თქვენ უბიძგებთ. როცა კაცს არ აქვს ფული და აძლევ ათას ლარს, ეს წახალისება აღარ არის.

**ლაშა ბუღაძე**: სხვათაშორის, ერთ ჩინოვნიკთან გვქონდა საუბარი რომელიც პროკურატურაში მუშაობს. მან გვითხრა სწორედ, რომ როცა ამაზე დაიწყო საუბარი, კალამს ვერ ვაგდებინებთ ხალხს ხელიდანო. ანუ, არც თუ ისე ერთგვაროვანია დამოკიდებულება. სამუწხარო ტრადიციები აქვს ამ ქვეყანასაც, 37 წელი აქვს გავლილი.

**მსმენელი:** ჩვენ ვიცოდით, რომ როცა ვილაცაზე ვიტყოდით, მან რაღაც დააშავა, მას წაიყვანდნე სცემდნენ, წაართმევდნენ უამრავ ფულს და ვიცოდით, რომ მისი დასჯის მეთოდი არ არსებობდა და ამიტომ არავის არ სურდა დამნაშავის მხილება. მაგრამ ახლა როცა ვიცით, რომ 99 პროცენტ შემთხვევაში ის სათანადოდ დაისჯება, არ ვიფიქრებ, რომ ცუდს რამეს ვაკეთებ.

**პანჩო:** შენ გგონია, ახლა ფულს არ იხდიან და არ უშვებენ?

**მსმენელი**: მე ვფიქრობ, რომ თქვენ თვითონ გაქვთ არასწორი მენტალიტეტი. მე როცა რაღაც დანაშაულს დავინახავ და დავრეკავ პატრულში, აბსოლუტურად არ ნიშნავს იმას, რომ გასამრჯელოს მოვითხოვ.

**პანჩო:** მე დანახულ დანაშაულზე არ ვამბობ. მე ვგულისხმობ იმ ადამიანს, რომელიც შინ ზის და ეძებს ათას ლარს.

**ლაშა ბუღაძე**: გვაქვს საქმე ფასეულობებთან, ან ფსევდო-ფასეულობებთან და მეორეს მხრივ, კრიმინალთან. დასავლეთში საზოგადოების აქტივობას ჩვენთან ჩაშვებად ნათლავენ. თუმცა, იქაც არის რიგი შემთხვევები, როცა აქტიურობა პათოლოგიად მეჩვენება, მაგალითად, როცა ოდნავ აწეულ მუსიკაზე მეზობელი რეკავს პოლიციაში.

**მსმენელი:** კრიმინალმა რომ იმატა, როგორ შეიძლება ბოლო მოეღოს ამას? როგორ უნდა ვებრძოლოთ?

**მაიზერ ლიპარტელიანი**: კრიმინალმა კი არ იმატა, ჩვენთვის გახდა გასაგები, დავინახეთ. აფიშირება ხდება ამის უფრო მეტად. უკვე ცნობილია, რომ თურმე, კონკრეტულ ადგილზე ხდება დანაშაული. ამ ყველაფერს ალბათ უნდა ვებრძოლოთ ერთმანეთის თანადგომით და დახმარებით და არა იმ თვალთახედვით, რომ ვილაც უნდა ჩავუშვათ. მოდი, ნუ დაველოდებით ათას ლარს და მოვიხადოთ ჩვენი მოქალაქეობრივი ვალი. არ ვიცი დაზარალებულს ერთი წლის წინ რა ინსტანციებში უწევდა სირბილი, მაგრამ დღეს, როცა მოქალაქე უკავშირდება საპატრულო პოლიციას 022-ის მეშვეობით, ხდება მორიგე ჯგუფის გასვლა და იმ წუთიდანვე დგება პასუხისმგებლობის მომენტი, რომ უკვე ეს საქმე მოგვარდეს, რომ მოქალაქეს სარბენი არ ჰქონდეს.

**პანჩო**: ხელფასი რამდენი აქვს პატრულს დღეს, არსებობს თუ არა პრემიები და რა "ლგოტებია". რატომ მაინტერესებს, იცით? წესით უნდა ჰქონდეთ.

**ლაშა ბუღაძე**: ცხენებს ხომ არ ჩუქნიან? გუშინ ცხენებზე ამხედრებული პატრულიც გამოჩნდა.

**მაიზერ ლიპარტელიანი**: რიგით პატრულს, როგორც ვიცი, ხუთას ლარამდე ხელფასი აქვს. რა თქმა უნდა, არის პრემიალური დაჯილდოებებიც. თუ კონკრეტული პატრულის დამსახურებით, საფრთხეს გადაურჩა მოქალაქე, თუ რამდენიმე კარგი საქმე აქვს გაკეთებული, მაშინ მათ სისტემატურად ვაჯილდოვებთ. წელს, ზაფხულის სეზონთან დაკავშირებით, ქალაქის საპატრულო პოლიციიდან, დაახლოებით ასი პატრულ-პოლიციელი ქობულეთში, ბათუმში, ზღვისპირა კურორტებზე, სადაც მიეცათ უფლება, წაეყვანათ, ოჯახები, გამოეყოთ ბინები და თანხა, რითაც უზრუნველყოფილნი იყვნენ მათი ოჯახები.

**ლაშა ბუღაძე**: ახლა ჩვენ ვსაუბრობთ პოზიტივზე, მაგრამ საზოგადოება საუბრობს იმაზეც, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში არ არის ჩატარებული რეფორმა და რომ ის ოდიოზური ფიგურები, რომლებიც საზოგადოებამ იცის და რომლებიც ყველა დროს ერგებოდნენ, ისევ სამინისტროში არიან, მაგრამ თქვენ ამ შეკითხვის ძირითადი ადრესატი არ ხართ. მაგრამ, იყო თუ არა პატრულში კორუფციის შემთხვევები, დანაშაულის შემთხვევები? პატრულის მხრიდან. ვიცი, რომ არსებობდა მსგავსი რამ.

**მაიზერ ლიპარტელიანი:** მინდა, მოგახსენოთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში რეფორმა ტარდებოდა და აღფრთოვანებული ვარ, არა მარტო პატრულის შექმნით, არამედ საფინანსო პოლიციის და სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის საქმიანობით, სერიოზულ წარმატებებს აღწევენ. რაც შეეხება ქრთამს, ხშირად ხდება ისე, რომ კაცს ჰყავს ხუთი შვილი, თვითონ პროფესორია, სტუდენტებს ჭკუას არიგებს, არადა მისი ერთი შვილი დაადგება ცუდ გზას. ეს ხომ მამის სურვილი არ იყო? მაგრამ ეს ხდება, და როგორ გინდათ, რომ 3-4 ათას თანამშრომელში, ვილაც არ შემოგვეპაროს, მაგრამ ჩვენი მოვალეობაა, რომ ვამხილოთ, დროზე ადრეც - სანამ დანაშაულს ჩაიდენენ და ჩვენს რიგებს მოვაშოროთ ან სათანადოდ დაისაჯონ.

**ლაშა ბუღაძე**: თუმცა, მე ისიც მაქვს ნანახი, პატრული როგორ ეუბნება დამტვრეული რუსულით, ქრთამს რომ აძლევენ, ეს შევარდნაძის დროს გაჰყვაო. მაინტერესებს, რამდენად იზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ ვიდეო-პატრულში ხშირად ირღვევა უდანაშაულობის პრეზუმფცია.

**მაიზერ ლიპარტელიანი**: ვერ გეტყვით, იმდენად რამდენადაც, მე მაგ კუთხით არ მქონია შეხება.

**პანჩო:** რაღაც კუთხით ალბათ ირღვევა, მაგრამ გაცილებით ნაკლებად, ვიდრე წინათ იყო. მაინტერესებს, ხშირია შემთხვევა, რომ პატრულმა იმსხვერპლა ადამიანი, რომლის მოკვლაც არ იყო აუცილებელი? რაღაც მსგავსი მასალები ვნახე და გამიჩნდა ეჭვი, რომ შეიძლებოდა ის ადამიანი დაეჭირათ და არ მოეკლათ. ხშირია მსგავსი შემთხვევები?

**მაიზერ ლიპარტელიანი**: შეუცდომელი არავინ არის, მაგრამ ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ხშირი იყოს. თუ ვინმე გადააჭარბებს თავის ქმედებას, უნდა დაისაჯოს. ეს გათავისებული უნდა ჰქონდეს ყოველ პატრულს.

**მსმენელი:** ახლობელს გადახდა თავს ერთი კვირის წინ. კაცი მართალი იყო, შეიტანა საჩივარი პატრულთან ვაკე-საბურთალოში და ისეთი რაღაც ხდება, რომ ის, ვინც დააზარალა, იქ ჰყავს ნათესავი, გამომძიებლის ახლობელია და ჩაგრავენ ჩემს ნაცნობს.

**მაიზერ ლიპარტელიანი**: შემიძლია თქვენთან ვითანამშრომლო, დატოვეთ თქვენი კოორდინატები, დაგიკავშირდებით, და მოდით, ერთად გავარკვიოთ. მიგულეთ თქვენს სამსახურში.

**ლაშა ბუღაძე**: დიდ მადლობას მოგახსენებთ მობრძანებისთვის. პატრულს ვუსურვოთ წარმატება და იმედი ვიქონიოთ, რომ დროთა განმავლობაში ნაკლებ დანაშაულს ჩაიდენენ ადამიანები.

**პანჩო:** მე კი სიმღერებს დავუწერ.




# ტორტი, ოშო და სუბუ

ახალგაზრდული ოლიმპიადის მომგებმა ქართველმა ბიჭებმა ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფშიც პირველი ადგილი დაიკავეს. ეს ძალიან კარგია. მით უმეტეს, რომ ორივე ტურნირზე ჩვენებმა, სულ ცოტა, ერთი წლით უფროსებს აჯობეს. ფაქტია - გამოჩნდა ნიჭიერი თაობა, რომელიც მალე ქართული ფეხბურთის ლოკომოტივად უნდა იქცეს და უმცროსებისთვის სამაგალითო გახდეს. ამისთვის კი ყველაზე მეტი შრომა ახლაა საჭირო.

დაახლოებით ასეთ მდგომარეობაში ვართ: მაცივარში გვიდევს კარგი ცომი. მისი გამოღება და გარეთ დიდხანს დატოვება არარეკომენდებულია - დამჟავდება. უბრალოდ ღუმელში შეგდებაც ვერაა მთლად კარგი იდეა, უგემური გამოვა. ასეთი იაღლიშები ხომ ბევრჯერ მოგვივიდა ბოლო წლებში, რაც შეფ-მზარეულისა და მისი ხელქვეითების უცოდინარობამ და ცომის მასალის პერმანენტულმა მოტეხვამ გამოიწვია. ამიტომ, თუ ტორტით პირის ჩაკოკლოზინება გვსურს, ჯერ სწორად უნდა გამოვაცხოთ. აი, რეცეპტიც - გამოვიღოთ მასა მაცივრიდან, კარგად მოვზილოთ, გარეთ არ დავტოვოთ, რომ ბუზი არ დააჯდეს, ღუმელში შევდგათ, იქიდან დროზე გამოვიღოთ, გაციება ვაცალოთ, წინასწარ მომზადებული კრემით მოვრთოთ და მივირთვათ. ღმერთმა შეგვარგოს.

რეცეპტის ერთ-ერთი პუნქტიც რომ დაირღვეს, მშივრები დავრჩებით ჩვენც და მომდევნო თაობებიც.

■ ■ ■

ბოლო ხანებში სვეტები დამიმძიმდა. რისი ბრალია, არ ვიცი. შეიძლება ოშოსი. ოშო ვინ არის? ერთი ჭკვიანი ბიძაკაცი იყო, სხვანაირად მოაზროვნე. ამ კაცმა ამერიკის საუკეთესო უნივერსიტეტებში მიიღო განათლება, მაგრად ისწავლა, ინტელექტით დაიძაგა და მერე ამერიკაშივე დაიწყო თავისი ფილოსოფიური შეხედულებების მიმოფანტვა. მალე წვერებიან ინდოელს მილიონობით მიმდევარი გამოუჩნდა და საქმე იქამდე მივიდა, რომ იგი შტატებიდან გამოადეპორტეს.

არადა, ისეთს არაფერს უბერავდა. უბრალოდ, ამბობდა - ადამიანი განვითარების უმაღლეს საფეხურს მაშინ აღწევს, როცა ტვინი მთლიანად დაცარიელებული აქვს ცივილიზებული ნაგვისგან, თავადაა საკუთარი გონების მმართველი და არა პირიქითო. ოშო ამტკიცებს, რომ გონებაგასუფთავებულ ადამიანს ყველაფრის კეთება შეუძლია. უპარტნიოროდ და ასე შემდეგ ორგაზმის მიღწევაც კი.

ამისთვის, ანუ გონების სრული ჰიგიენიზაციისთვის, თავად ოსტატს წლები და ულევი განათლება დასჭირდა, რადგან არაა ეს იოლი საქმე - ეტყობა, ინტელექტი იმ ზღვრამდე უნდა მიიყვანო, რომლის შემდეგაც უკუპროცესი იწყება და ადამიანი თავის ჭეშმარიტ ცენტრს პოულობს. ეს კი ჭიპია და არა ტვინი.

ამ დიად მოაზროვნეს, ფროიდებისა და კანტების ჯიბეში ჩამსმელ კაცს, ნაშრომებში სულ რამდენიმე ქალაქი აქვს მოხსენიებული. მათ შორისაა ტიფლისიც - ოშო რაღაც ამბავს იხსენებს, გურჯიევისა და ვილაცის შეხვედრას, რომელიც სწორედ თბილისში შედგა.

თუმცა, ცოცხალი რომ იყოს, ოშო აუცილებლად დაინტერესდებოდა ჩვენს დედაქალაქში მიმდინარე ამბებით და ერთ კაი კაცურ გამოკვლევასაც ჩაატარებდა. და რას გაიგებდა? თუნდაც იმას, რომ ამდენი წვალება და მედიტაციები სულაც არაა საჭირო ჭკუის გამოშიგვნისთვის. ეს პრობლემა წვეთი ოფლის გარეშე იჭრება პატარა აბის საშუალებით. საერთოდ მას სუბუტექსი ჰქვია, ჩვენთან კი მოფერებით სუბუს, ან კიდევ ფრანგულს ეძახიან.

იმისთვის, რისთვისაც ეს პრეპარატი ვიღაც ქალმა გამოიგონა, კინაღამ ნობელის პრემია ჩაახუტეს. ამ აბებს ცივილიზაციაში არაცივილიზებულ ადამიანებს (ლოთებს, ლომკიან მორფინისტებს, ერთი სიტყვით, ბომჟებს) და ეპილეფსიით დაავადებულებს ასმევენ კრიტიკული მომენტის გადასაგორებლად. სუბუტექსი აბსოლუტურად არ შეიცავს ოპიატებს და მისი ინექციით მიღება კატეგორიულად აკრძალულია!

ყურადღება მიაქციეთ - არ შეიძლება შპრიცით ორგანიზმში შეყვანა და არ შეიცავს კაიფის გამომწვევ მთავარ ელემენტს - ოპიუმს. თბილისში კი იჩხირავენ და კაიფობენ, კაიფობენ და ყიდიან, ყიდიან და ამით სხვებს კლავენ, კლავენ და წარბსაც არ იხრიან, რადგან ეს საწამლავი ადამიანს ცხოველად, პირველყოფილ ორანგუტანგად აქცევს. სუბუს ყურმოჭრილ მონებს არა მარტო ტვინი, ყველაფერი უცარიელდებათ - კაცობა, როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით, სინდისი, სამეგობრო წრე, ფინანსები, სიყვარულის მარაგი... მთელი ცხოვრება ნაგვის ყუთში თავსდება და ეს ცხოვრება იქ ისევე იხრწნება, როგორც დამპალი ვაშლი. განსხვავებაც ესაა ოშოსა და სუბუს შორის - პირველს სულის ჰარმონიისკენ მივყავართ სიყვარულის გზით, მეორეს - უსულობისკენ, ძალიან ბინძური ბილიკებით.

ალბათ მიხვდით, რომ პირობითად ავიღე ეს ორი პოლუსი. ჩემი მთავარი სათქმელი კი აი, ესაა: ერის ზნე იმდენად დაეცა, უკვე იმდენი ბავშვი, ბიჭი (გოგოც) და კაცია დაავადებული ამ პატარა სატანური აბისადმი მიდრეკილებით, რომ გაჩნდა თაობების დაკარგვის საფრთხე. ეს პრობლემა სულ ცხვირწინ მიტრიალებს, სადარბაზოში დაყრილი შპრიცებით იწყება და ყოველი მეორე შემხვედრის დაქლიავებული თვალებით მთავრდება.

გენოფონდის განადგურება ყველაფერს მოსპობს, რაც ჯერ კიდევ გვაქვს. ჩემი პროფილიდან გამომდინარე, კონკრეტულად ფეხბურთზე ვამახვილებ ყურადღებას და ეს ერთგვარი ანტინარკომანული მანიფესტიც სოკერზე ფიქრისას შევქმენი, რადგან თუ ასე გაგრძელდა, მალე, და ეს ძალიან დიდხანს გაგრძელდება, არა მარტო თერთმეტი კარგი ფეხბურთელის, თერთმეტი ჯანსაღი მამაკაცის შეკრებაც კი გაგვიჭირდება.

უკვე რამდენიმე თაობაა რეალობასთან არაადეკვატურ ურთიერთობაში. ნახევარ საქართველოს ფეხბურთი აინტერესებს იმდენად, რამდენადაც ტოტალიზატორში ფულის შოვნის, ამ ფულით წამლის ყიდვის და კაიფში ახალი ფსონების "მოფიქრების" საშუალებაა. ქვეყანაში საფეხბურთო და არა მხოლოდ საფეხბურთო ინტელექტი მინუსებშია გადასული. უყურეთ ქართულ საფეხბურთო გადაცემებს, იქ შემავალ ზარებსაც კარგად მიაყურადეთ და თავად დარწმუნდით ამაში.

ტორტი გვინდა, მაგრამ არავინ აცლის გამოცხობას, ყოველ მეორეს ჰგონია, რომ მან იცის სწორი რეცეპტი და წამდაუწუმ ცდილობს ღუმელის გაღებას. ტორტს კი სტაბილური ტემპერატურა და მზრუნველობა უხდება, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩავარდება.

*მომავალ შეხვედრამდე*


# საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა

"საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა", საქართველოს ელექტროენერგიის 500 და 220-კილოვოლტიანი გადაცემის ქსელის სახელმწიფო ოპერატორი აცხადებს ვაკანსიას კვალიფიცირებული პერსონალისათვის მენეჯმენტური პროფილის შემდეგ პოზიციაზე:

**გადაცემის აღმასრულებელი მენეჯერი**

**ფუნქციები:**

- სსე-ს გადაცემის ქსელის სტრატეგიული მართვა მისი ბიზნეს მიზნების მისაღწევად;
- გადაცემის სექტორისათვის ტექნოლოგიური მართვის უზრუნველყოფა გადაცემის ტექნოლოგიის პოლიტიკის, სტრატეგიისა და გეგმების ფორმულირებისა და განხორციელების გათვალისწინებით;
- გადაცემის სექტორისათვის ფინანსური და კომერციული ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა;
- პასუხისმგებლობა ქსელის ხარისხსა და გარანტიაზე;
- რესურსების მართვა;
- შესაბამის შიდა და გარე აქციონერებთან კომუნიკაციის მაღალი დონე.

**მინიმალური მოთხოვნები:**

- უმაღლესი განათლება ინჟინერიაში;
- სასურველია მენეჯმენტის კვალიფიკაცია;
- გადაცემის სფეროში ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის სულ მცირე 10 წლის გამოცდილება.

**უნარ-ჩვევები:**

- შესაბამისი კანონმდებლობის ბრწყინვალე ცოდნა;
- გადაცემის სფეროს ცოდნა;
- ფინანსური და საერთო მენეჯმენტის ცოდნა;
- მაღალვოლტიანი და მეორადი კომუტაციის სადგურების ექსპლუატაცია და მართვა;
- კომუნიკაციის ბრწყინვალე უნარ-ჩვევები.

განაცხადები, რომლებსაც თან ერთვის შესაბამისი რეზუმე, გაუგზავნეთ ქალბატონ გულსუნდა ტოლიაშვილს ფოსტით მისამართზე: თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა 2,

ან

ელექტრონული ფოსტით მისამართზე:
gulsunda.toliashvili@gse.com.ge.

**განაცხადის წარდგენის ბოლო ვადაა 2005 წლის 28 სექტემბერი.**

# "მის-საქართველო 2005-ის" კონკურსანტები

## კონკურსი გაიმართება ბათუმში 1 ოქტომბერს
















ეკა ბუაძე N 3
ასაკი: 19 წლის
სიმაღლე: 175 სმ.
პარამეტრები: 87-63-93

**- რას მოელი ამ კონკურსზე?**

- საერთოდ, სილამაზის კონკურსში პირველად ვმონაწილეობ და ისიც, გართობის მიზნით. ვიცოდი, რომ აქ ბევრ მეგობარს გავიჩენდი, ეს არის ჩემთვის მთავარი.

**- მეგობრული ხარ?**

- როგორც ბავშვებისგან ვიცი - კი, საკმაოდ.

**- მათ დაკარგვას თუ ეგუები?**

- მეგობარი არასდროს დამიკარგავს.

**- რას აფასებ ყველაზე მეტად მეგობრებში?**

- ერთგულებას და შინაგან სამყაროს.

**- როგორ ფიქრობ, ძლიერი ადამიანი ხარ?**

- ჰოროსკოპით თხის რქა ვარ და შესაბამისად, ძლიერი ადამიანიც: რასაც დავისახავ მიზნად, ვაღწევ.

**- რა გიტაცებს?**

- ჩემი ჰობი ჩოგბურთის თამაში და წიგნის კითხვაა. ვკითხულობ ინგლისურენოვან ლიტერატურას, ძალიან მომწონს აგატა კრისტი.

**- თვითონ თუ წერ, ან ოდესმე თუ გიცდია?**

- წერა არასდროს მიცდია.

**- შეყვარებული ხარ? ან თუ ყოფილხარ?**

- შეყვარებული ვყოფილვარ... არა, არ ვყოფილვარ.

**- როგორი წარმოგიდგენია საკუთარი თავი რამდენიმე წლის შემდეგ?**

- მინდა ვიყო პროფესიონალი მოდელი.

**- მისაბაძი მოდელები თუ გყავს?**

- კაროლინა კურკოვა და ჟიზელი მომწონს ძალიან, შეიძლება ითქვას, მოდელის ეტალონები არიან ჩემთვის. მათში ქალურობასა და სინაზეს ვაფასებ ყველაზე მეტად.

**- კონკურსზე ჟიურის ობიექტურობის იმედი თუ გაქვს?**

- ნამდვილად მაქვს, რადგან წინა კონკურსებს ვადევნებდი თვალს და ჩვენი აზრები დაემთხვა.

ნათია ბიბუაშვილი N 13
ასაკი: 17 წლის
სიმაღლე: 174 სმ.
90-62-89

**- როგორ წარადგენ საკუთარ თავს?**

- წელს დავამთავრე სკოლა, ჩავაბარე გორში სუხიშვილების მცირე აკადემიაში, იურიდიულ ფაკულტეტზე.

**- საერთო ეროვნული გამოცდებით კმაყოფილი დარჩი?**

- მომეწონა. ცოტა კი გვეშინოდა, გვეგონა, არ ვიყავით სათანადოდ მომზადებულები, მაგრამ ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

**- სილამაზის კონკურსებში მონაწილეობის გამოცდილება გაქვს?**

- ორი წელიწადია ვმონაწილეობ კონკურსში "მის შიდა ქართლი". შარშან ვერანაირი ჯილდო ვერ მივიღე, წელს კი "მის შიდა ქართლი" გავხდი. საერთოდ, მომწონს კონკურსებში მონაწილეობა, რადგან ვეჩვევი გამარჯვებასაც და დამარცხებასაც.

**- ცხოვრებაში ხშირად მარცხდები?**

- დიდი მარცხი არ მიგემია; იმედია, არც მომავალში მელის.

**- იურისტობა როდის და რატომ გადაწყვიტე?**

- მამა მყავს იურისტი; ბავშვობიდან მოდელობა მსურდა, მოგვიანებით - იურისტობა. საერთოდ, მომწონს საქმის გამოძიება. ცხოვრებაშიც ასეთი ვარ, როდესაც რამეს ვერ ვიგებ, ვერ ვიტან, ვცდილობ, ბოლომდე გავარკვიო სიმართლე.

**- სილამაზის კონკურსის ჟიურიში რომ იყო, რა ნიშნით შეარჩევდი გოგონებს?**

- რა თქმა უნდა, კონკურსანტი ლამაზი უნდა იყოს, მაგრამ მარტო სილამაზეც არ არის საკმარისი. ადამიანს შეხედავ თუ არა, ატყობ ბუნებით როგორია. ჟიურიში რომ ვიყო, ალბათ ჩავწვდებოდი კონკურსანტის ხასიათს. უპირატესობას მივანიჭებდი კეთილ და ნაზ გოგონას.

**- ხშირად ოცნებობ?**

- ჩემი ოცნება იყო მოვხვედრილიყავი "მის საქართველოზე" და მჯერა, ამის შემდეგ ყველაფერი თავისთავად გაგრძელდება.

თეონა ფეიქრიშვილი N 14
ასაკი: 18 წლის
სიმაღლე: 175 სმ.
პარამეტრები: 90-62-90

**- გაგვეცანი.**

- წელს დავამთავრე სკოლა. ჯერჯერობით პროფესია არ ამირჩევია, მაგრამ სურვილი ამქვს გავხდე მსახიობი, თანაც - ცნობილი. ისე, ძალიან ცვალებადი ხასიათი მაქვს და შეიძლება მალევე გადავიფიქრო. რას ვიზამ, ზუსტად არ ვიცი.

**- მოდელობა როგორ გადაწყვიტე?**

- სამი წელია, რაც "იმიჯ ცენტრში" ვარ და სწორედ ამ დროს გამიჩნდა მსახიობობის სურვილი. არადა, ყველა მეუბნება, რომ არ მაქვს მსახიობის ნიჭი, რომ ძალიან პირდაპირი ვარ... არ ვიცი, ვნახოთ.

**- მისაბაძი მსახიობი ვინ გყავს?**

- საყვარელი მსახიობია ანჯელინა ჯოლი, მაგარი ქალია; მოდელი - ძალიან ბევრი მომწონს. მაგალითად, ლეტიცია. არა, კიდევ ბევრია, მაგრამ მათი სახელები არ მახსოვს.

**- რა განსაკუთრებულს ხედავ მათში?**

- არა იმდენად სილამაზეს, არამედ შარმს ვაფასებ.

**- ბედნიერი ხარ?**

- ბედნიერი ვყოფილვარ იმდენად ხშირად, რომ მენატრება უხასიათოდ ყოფნა, ამიტომ ასეთი უცნაურობა მჭირს, საკუთარ თავს ვუქმნი ხოლმე ცუდ განწყობას; ჩავრთავ მუსიკას, წარმოვიდგენ ისეთ რამეს, რაც არ შეიძლება მოხდეს ჩემს ცხოვრებაში და "ვიგრუზები".

**- გაგიხარდა კონკურსის ბათუმში გადატანა?**

- სასწაული იყო. დერეფანში ვიყავი გასული და მომესმა გოგონების წივილი. მაგრად გაგვიხარდა ყველას. საშინელი დაღლილები ვართ, სახლში წასვლა-მოსვლას დრო მიაქვს, ზოგიერთი შორს ცხოვრობს, ბათუმში კი ყველანი ერთად ვიქნებით სასტუმროში. ბათუმში მაგარი იქნება.

ხმა მიეცით თქვენს რჩეულს
და აირჩიეთ
**"ტელემაყურებლის სიმპათია"**:
SMS მაგთი 1060
SMS ჯეოსელი 1040
ეწვიეთ ჩვენს საიტს
www.missgeorgia.ge
და გამოავლინეთ
**"მის-ფოტოგენურობა"**





**საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს**

**სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის**

წარმოების დასაფინანსებლად

გამარჯვებული პროექტ(ებ)ი ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსდება მაქსიმუმ 75%-ით.

კინოცენტრიდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 400 000 ლარს.

ეროვნული კინოცენტრი არ განიხილავს პროექტებს, რომლებიც მონაწილეობდნენ 2005 წლის 26 აპრილს გამოცხადებულ კონკურსში და ვერ დააგროვეს 45 ქულაზე მეტი.

პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 2005 წლის 24 ოქტომბერი, 17:00 სთ.

ყოველ სამშაბათს, 12 საათზე ჩატარდება კონსულტაცია დაინტერესებულ პირთათვის.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი
0105 თბილისი, მარჯვენა სანაპირო 4,
ტელ/ფაქსი: 984201
E-mail: office@filmcenter.ge
www.filmcenter.ge

